„საქართველო ევროპაში დაბრუნდა არა მარტო და არა იმდენად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მრავალათასწლოვანი ისტორიით, არამედ მომავალზე ორიენტირებული აწმყოთი — უმძიმეს პირობებში, დროის მცირე მონაკვეთში ჩამოყალიბებული სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მყარი საფუძვლებით“.

1999 წლის 27 აპრილს სტრასბურგში, ევროპის სასახლის წინა მოედანზე აღიმართა საქართველოს სახელმწიფო დროშა.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

რუსთავცემენტი
Rustavcement
შეიძინეთ მხოლოდ ამ ნიშნით!

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №110 (3151) ოთხშაბათი, 28 აპრილი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

კანონმდებლები

„ჩვენ მოვიპოვეთ ევროპული მგზავრობის ბილეთი, იმის საშუალება, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ დაიწყოს საქართველოს ინტეგრაციის პროცესი სხვა ევროპულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებთან“

27 აპრილის საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას მიეძღვნა. საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოს პარლამენტარები და მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები შემოქმედებითი კავშირებისა და სამეცნიერო წრეებიდან, მოსწავლე ახალგაზრდობა, ჟურნალისტები, საზეიმო სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

ზურაბ ჟვანია, ჩვენი ქვეყნის ევროპის საბჭოში გაწევრიანების თარიღთან დაკავშირებით მოწვეულ სტუმრებს საქართველოს პარლამენტის სახელით გულთბილად მიესალმა და აღნიშნა, რომ დღეიდან, საქართველო, კავკასიის ქვეყნებს შორის პირველი გახდა ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი.

იხ. მე-3 გვ.

მოვლენა

„აღსრულდა ყველა დროის, ყველა თაობის ქართველთა ოცნება — საქართველო დიდი ევროპის ბინადარი გახდა“



ზუსტად სამი თვის წინათ, 27 იანვარს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებას. ასეთი ერთსულოვნება საკმაო იშვიათობაა ამ ორგანიზაციის პრაქტიკაში. ეს საქართველოს პრეზიდენტის, მთლიანად ქართველი ხალხის დამსახურებააო, — ითქვა მაშინ.

და აი, გუშინ, 27 აპრილს სტრასბურგში, ევროპის სასახლეში გაიმართა საზეიმო ცერემონიალი საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა.

საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტის დასრულების შემდეგ, 26 აპრილს ღამით, ჩავიდა სტრასბურგში.

ამაღელვებელი იყო ეს ცერემონიალი თავისი დიდებულებითა და ისტორიულობით.

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის დანიელ ტარშისის სიტყვა:

— რამდენიმე წუთში ამ შენობის წინ აღიმართება საქართველოს დროშა, რომელიც ქართულ ფერებს შეიტანს ევროპის ეროვნულ ფერებში. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ევროპისათვის, მოვლენა, რომელიც ერთი ნაბიჯით გვაახლოებს ევროპის საბჭოს დამაარსებელთა თავდაპირველ იდეასთან — გაეერთიანებინათ მთელი ევროპა დემოკრატიული ერების ერთ ოჯახად. კეთილი იყოს ქართველი მეგობრების შემობრძანება ჩვენს ოჯახში.

ბატონო საქართველოს პრეზიდენტო, თქვენ კარგად გიცნობდნენ ევროპაში მანამ, სანამ საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდით. თქვენ იმ პოლიტიკას ედექით სათავეში, რომელმაც შესაძლებელი გახადა ბერლინის კედლის დანგრევა, ევროპაში ცივი ომის დასრულება და ევროპის გაერთიანება.

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა სტრასბურგში, ევროპის სასახლეში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე

ტელეფოტო.

ქალბატონებო და ბატონებო!

გამოგიტყდებით, მსოფლიოს ტრიბუნებსა და აუდიტორიებს შეჩვეული არცთუ ახალგაზრდა კაცი, მღელვარებას ვერ ვფარავ. აუწერელია იმ სიხარულისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელსაც ახლა განვიცდი. ვლაპარაკობ რა არა მარტო ჩემს თანამედროვეთა და თანამოქალაქეთა სახელით. ასე მგონია, აქ — ევროპის ცენტრში თავს დაგვტრიალებენ ჩვენი დიდი წინაპრების სულები და მე მათი სახელითაც გამოვედივარ თქვენს წინაშე. დღეს აღსრულდა ყველა დროის, ყველა თაობის ქართველთა ოცნება — საქართველო დიდი ევროპის ბინადარი გახდა. მადლობა შენ, უფალო, საუკუნეთა და ათასწლეულთა ოცნება რომ აუხდინე ჩემს ხალხს.

იხ. მე-2 გვ.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ევროპა ის სივრცეა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და უსაფრთხო განვითარება უნდა უზრუნველყოს

სტრასბურგი, 1999 წლის 27 აპრილი. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ლორდი რასელ ჯონსტონი:

ბატონო პრეზიდენტო, სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ორივემ მივიღეთ მონაწილეობა საზეიმო ცერემონიაში, რომელიც ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებას მიეძღვნა. თქვენს გამოსვლაში აღნიშნეთ, თუ როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს გაწევრიანებისადმი. ის მოვლენები, რომლებიც დღეს ვითარდება საქართველოში, სწორედ ისეთი ადამიანის ძალისხმევით ხდება, როგორიც თქვენ ბრძანდებით. დიდია ჩვენი თქვენდამი პატივისცემა.

მე პირველად მაშინ შეგხვდით, როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრძანდებოდით და მაშინ ჩამოგართვით ხელი. მიხეილ გორბაჩოვთან ერთად თქვენ დემოკრატი ბრძანდებით და ეს დემოკრატობა სწორედ თქვენი სახელმწიფოს წინსვლას მოახმარეთ. თქვენ გადაურჩით სიცოცხლის ხელყოფის მცდელობას, თქვენს სახელმწიფოში არჩეულია პარლამენტი დემოკრატიული გზით. თქვენ ბრძანდებით ძალიან გაბედული კაცი, რომელსაც აქვს მოვლენების წინასწარ განჭვრეტის უნარი.

მინდა სიტყვა გადმოგცეთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

პატივცემულო დეპუტატებო,

ქალბატონებო და ბატონებო,

ნება მიბოძეთ, მადლობის სიტყვებით მოგმართოთ საპარლამენტო ასამბლეის ყველა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელს და ეროვნული დელეგაციების წევრებს ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანების დიდ საქმეში ერთსულოვანი მხარდაჭერისათვის. დიდი მადლობა თქვენ.

ამ მაღალი ტრიბუნიდან მსურს მადლიერებით აღვნიშნო ევროპის საბჭოს ერთგულება დემოკრატიის და ადამიანის უფლებების, პლურალიზმის და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებისადმი, რითაც ორგანიზაციამ, მთელი თავისი 50-წლიანი არსებობით, უდიდესი წვლილი შეიტანა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა განმტკიცებაში.

უპირველეს ყოვლისა, ეს გამოვლინდა „ევროპული საჯარო წესრიგის“, როგორც ერთიანი პოლიტიკური, სამართლებრივი და, მე დავუმატებდი, კულტურული სივრცის ფორმირებაში.

ევროპის საბჭო, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პირმშოა. იგი ჩამოყალიბდა, როგორც ევროპის სულიერი აღორძინების ინსტიტუტი, თუმცა მისი მოქმედების არეალი ცივი ომის გამო მხოლოდ დასავლური დემოკრატიებით შემოიფარგლა. იმ პირობებში საერთო-ევროპული ოჯახის იდეას განხორციელება არ ეწერა, რადგან „რკინის ფარდის“ მიღმა დარჩენილი აღმოსავლეთ ევროპის დიდი ნაწილი, მათ შორის საბჭოთა იმპერიაში შემავალი ხალხები, რამდენიმე ათეული წლით ჩამოსცილდნენ დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებულ დასავლურ ცივილიზაციას.

ასეთი თვალთახედვით, „ცივი ომის“ დასრულება ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, ევროპის ცხოვრებაში მართლაც მეორე უდიდეს მოვლენად აღიქმება. მან კვლავ მოგვცა ევროპის სულიერი სივრცის აღდგენა-განვითარების ისტორიული საშუალება და იგი განახლებული ევროპის საბჭოს ახალ, უმნიშვნელოვანეს ფუნქციად ჩამოაყალიბა.

ევროპამ ახალი სუნთქვა შეიძინა და საერთო ოჯახში თავიანთი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრეს აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში შემავალმა მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა.

დამოუკიდებელი საქართველოც ამ მოვლენების წიაღში იშვა. ჩვენ საკუთარ თავს ევროპის ერთიანი სივრცის ნაწილად განვიხილავდით და განვიხილავთ. ეს ის სივრცეა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და უსაფრთხო განვითარება უნდა უზრუნველყოს.

იხ. მე-2 გვ.

ინტეგრაცია

ევროპული საქართველო — უპირველეს ყოვლისა

საქართველო ოფიციალურად გახდა ევროპის საბჭოს წევრი. ეს ჩემთვის განსაკუთრებული დღეა. რვა წლის წინათ პირველად ვესტუმრე ამ ორგანიზაციას. მაშინ დავდიოდი კაბინეტიდან კაბინეტში. ვესაუბრებოდი ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან ოფიციალურ პირს, ვინც ზოგჯერ უბრალოდ ცნობისმოყვარეობის გამო თანხმდებოდა მოესმინა 23 წლის სტაჟიორი სტუდენტისათვის მათთვის ნაკლებად ცნობილი ქვეყნიდან.

საქართველოს რამდენიმე თვის გამოცხადებული ჰქონდა დამოუკიდებლობა, რომელსაც არავინ ცნობდა, უფრო მეტიც, სწორედ იმ დღეებში ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოზე მიანიშნა როგორც დამოუკიდებლობის არასასურველ მაგალითზე: ევროპის საბჭო ჯერ კიდევ იყო ელიტური დასავლური კლუბი, რომლის წევრობაზე წამყვანი აღმოსავლურ-ევროპული ქვეყნები მხოლოდ ოცნების დონეზე თუ ფიქრობდნენ.

იხ. მე-3 გვ.

აღმოჩენა

ქართველი მეცნიერი-მედიკოსი იური მალაშხია ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატია

ეს, მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული პრემია, 1901 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად გაიცემა. მისი დამაარსებლის, ალფრედ ნობელის ანდერძით, პრემია ენიჭება რასის, ეროვნების, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად ფიზიკის, ქიმიის, მედიცინისა და ფიზიოლოგიის, მხატვრული ლიტერატურის დარგში მნიშვნელოვანი და უახლესი მიღწევებისათვის.

ოქროს მედალი ალფრედ ნობელის გამოსახულებით მკერდს უმკობდა მეოცე საუკუნის ბუმბერაზ მეცნიერებს: აინშტაინს, ბორს, რეზორფორდს, ფერმის, სკლადოვსკაია-კიურის...

ქართველ მეცნიერთაგან ეს პატივი ჯერჯერობით არავის ხვდომია. და აი, ორიოდე დღის წინათ, ცნობა მოვიდა, რომ ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატად მეცნიერულ აღმოჩენათა საერთაშორისო ასოციაციის (აშშ) მიერ, წარდგენილია იური მალაშხია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის ნევროლოგიის აკადემიის წევრი.

იხ. მე-5 გვ.

გვწერენ

საფუძველი ქვეყნის შენებისა

პატივცემულო რედაქცია!

დიდ ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის და უმორჩილესად გთხოვთ გამოგვიქვეყნოთ ეს მისალოცი ბარათი. ჩვენ არ ვიცოდით, რა მისამართით გაგვეგზავნა იგი, არც იმაში ვიყავით დარწმუნებული, ბარათი ნამდვილად მივიდოდა თუ არა ადრესატამდე. ამიტომ ერთადერთ რეალურ გზად „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით მილოცვა ვარჩიეთ.

პატივისცემით,

ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი რუსლან ძირკვაძე; მიწათმომწყობი ლია ძირკვაძე; ბუღალტერ-ეკონომისტი ეთერ ქათამაძე; ფილოლოგი მერი ძირკვაძე. ხულოს რაიონი.

ძვირფასო პრეზიდენტო!

დიდი მოკრძალებით და წრფელი გულით გვინდა მოგილოცოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ჩაწერილი 17 აპრილის გამარჯვება — სუფსის ტერმინალისა და ფოთის ნავსადგურში საბორნე გადასასვლელის გახსნა. ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე თქვენ აღადგინეთ საქართველოს სატრანზიტო მისია. აღუდგინეთ ჩვენს ქვეყანას ისტორიულად ის დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რაც დიდი აღმაშენებლის, სულმნათ თამარ მეფის დროს ჰქონდა. მოლოცვასთან ერთად მადლობაც გვინდა გადაგიხადოთ ასეთი დიდი ძალისხმევისათვის.

ღმერთმა ქნას თქვენი ღვაწლი ღირსეულად დაფასებულიყოს და ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა გამხდარიყოს ქვაკუთხედი XXI საუკუნის მშენებარე საქართველოსი.

ვიზიტი

მთიანი ყარაბაღისა და აფხაზეთის კონფლიქტები აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს

27 აპრილს, ევროპის სასახლის პრესისა და ინფორმაციის ცენტრში გამართულ საქართველოს პრეზიდენტის პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები სხვა მრავალ საკითხთან ერთად განსაკუთრებით დაინტერესდნენ კავკასიის რეგიონში, კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებითაც. კავკასია, როგორც ევროპასა და აზიას შორის საკომუნიკაციო სივრცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონი, თამამად შეიძლება ითქვას, დღეს უკვე გლობალური ინტერესების ცენტრად მიიჩნევა. ამის დასტურია ვაშინგტონში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში გამართული შეხვედრა, რომელზეც განიხილეს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოწესრიგებისა და რეგიონული თანამშრომლობის საკითხები. ეს იყო სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს პრეზიდენტების შეხვედრა ამერიკის სახელმწიფო მდივანთან მადლენ ოლბრაიტთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ეუთოს მინსკის ჯგუფის წევრი ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის, დანიის, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე, ნორვეგიის — ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი.

როგორც ამერიკის სახელმწიფო მდივანმა თქვა, თავად ის ფაქტი, რომ ეს სახელმწიფოები ერთად განიხილავენ კავკასიის პრობლემებს, უკვე უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო რეგიონის ქვეყნებისათვის, არამედ გლობალური მასშტაბითაც. „ჩვენი სურვილია, რომ კავკასია მშვიდი და სტაბილური რეგიონი იყოს, რადგან იგი ევროპისა და აზიის შემაერთებელი ხიდია და მისი სტაბილურობა ხელს შეუწყობს მშვიდობასა და სტაბილურობას მთელს კონტინენტზე“. ამ თვალსაზრისით მადლენ ოლბრაიტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს მთიანი ყარაბაღისა და აფხაზეთის კონფლიქტები. მისი აზრით, უნდა გაძლიერდეს ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურების ძალისხმევა რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის სახელმწიფო მდივნის აზრით, უფრო ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ ის საერთაშორისო პროექტები, რომლებიც სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემების განვითარებას ითვალისწინებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ამ უაღრესად აქტუალური შეხვედრის ორგანიზებისათვის. ედუარდ შევარდნაძის აზრით, ამგვარი კონტაქტები ხელს უწყობს პოზიციათა დაახლოებასა და ნდობის ატმოსფეროს აღდგენას. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სომხეთი შეუერთდა „მშვიდობიანი კავკასიისათვის“ მოძრაობას.

უფრო ვრცლად ხვალინდელ ნომერში.

უკანასკნელ საათს

პრეზიდენტმა ბორის ელცინმა შინაგან საქმეთა მინისტრი სერგეი სტეპაშინი პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნა მინისტრის პორტფელის შენარჩუნებით. იგი ვადიმ გუსტოვის ადგილს დაიკავებს და რეგიონებთან ურთიერთობის კურირება დაევალება.

საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა გუშინ პირველად შეძლეს შეხვედროდნენ სამ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც იუგოსლავიის ხელისუფლებას ჰყავს დატყვევებული. მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო გუშინ მოსკოვს ეწვია რუსეთთან კავშირის თაობაზე მოლაპარაკებების გასამართავად. ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტ ბორის ელცინთან დღევანდელი შეხვედრისას იუგოსლავიის საკითხსაც განიხილავენ, თუმცა სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტში იუგოსლავიის წინადადება ჯერ არ ფიგურირებს.

საქართველოს რესპუბლიკა
№110. ოთხშაბათი, 28 აპრილი, 1999 წელი.

მოვლენა

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა სტრასბურგში, ევროპის სასახლეში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე

(პირველი გვერდიდან)

მე წარმოვადგენ ერს, რომლის მრავალი თაობა ათასწლეულთა და საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდა ევროპულ ცივილიზაციასთან ერთობაზე. ქართული კულტურა, ჩვენი ეროვნული თვითშეგნება, ღირებულებათა სისტემა, შუა საუკუნეების ის სოციალური წყობაც კი ევროპული იყო თავისი არსით. თუმცა, არც აზიური აზროვნების მწვერვალები იყო მიუწვდომელი ჩემი ერისათვის. ჩემი დიდი წინაპარი, ქართველი განმანათლებელი და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი აქ, საფრანგეთში, ამ მესანიშნავი ქვეყნის დედაქალაქში, მეფე — მზე ლუი მეთოთხმეტის ბრწყინვალე კარზე დიდი ყურადღებით, პატივითა და ზარ-ზეიმით მიიღეს. მაშინ საფრანგეთმა და მისი სახით ევროპამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო. მაგრამ, ვაი რომ, საქართველო მაშინ ცოტა შორს იყო ევროპისაგან, ისევე როგორც ევროპა — საქართველოსაგან.

თქვენ მოგმართავთ, ჩემო მრავალტანჯულო სამშობლოს შვილებო! ბედნიერი ვართ, რომ საქართველოს ხანგრძლივი და გმირული ისტორიის მესამე ათასწლეულის მიწურულს სწორედ ჩვენს თაობას ხვდა წილად ეტვირთა აწ უკვე აღსრულებული აზრის სიმძიმე. ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანება იმავდროულად ხომ უდიდესი პასუხისმგებლობაც არის.

ჩვენი მრავალჭირგამოვლილი სამშობლოსათვის ევროპული ოჯახის წევრობა გულისხმობს როგორც ადამიანის უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას, ასევე საკუთარ სახელმწიფოში სუვერენული ძალმოსილებისა და რეალური დამოუკიდებლობის ყოველდღიურ დადასტურებას, ვინაიდან ევროპული თანამეგობრობა თავისუფალ ერთა კავშირია.

რამდენიმე წუთში საქართველოს დროშა აღიმართება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შენობასთან. ჩვენი სახელმწიფო დროშა ქართველი ერის გმირული ისტორიის ანარეკლია.

მინდა ყველამ, ვინც ამ საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობს, ნათლად გააცნობიეროს, რომ ეს არის ტრიუმფი, დაგვირგვინება, გამარჯვებით დასრულება იმ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა, რომელსაც მცირერიცხოვანი, მაგრამ მაღალი კულტურის მქონე ერი აწარმოებდა ენის, მამულისა და სარწმუნოების გადასარჩენად.

საქართველო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ევროპული ცივილიზაციის განაპირა გოდოლი, მისი პირველი და უკანასკნელი ციხესიმაგრე გახდა. ეს დროშა, სიმბოლურად რომ ვთქვათ, არასდროს დაშვებულა. იგი კვლავაც ფრიალებს, ვითარცა ნიშანი ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ ერის მარადიული სწრაფვისა.

ჩემი ქვეყნის სახელით დიდ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც შენიშნა და აღიარა საქართველოს კეთილშობილური, გულწრფელი სწრაფვა და ყველაფერი იღონა ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად.

გმადლობთ.

„აღსრულდა ყველა დროის, ყველა თაობის ქართველთა ოცნება — საქართველო დიდი ევროპის ბინადარი გახდა"

(პირველი გვერდიდან)

თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ისტორია იქმნება უცნობი მომავლის ჭვრეტით, უცნობი მომავლის, დაბრკოლებათა გადალახვით, მომავლისათვის გზის გაკვლევით. ამიტომ ჩვენ თქვენნაირი გამბედაობა და ლიდერობის უნარი გვჭირდება ერთიანი დემოკრატიული ევროპის იდეის განსახორციელებლად. ბოლოს, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ სტრასბურგს ეწვიეთ როგორც სამიტის ერთ-ერთი მონაწილე. ახლა თქვენი ქვეყანა — საქართველო უერთდება იმ დემოკრატიულ იდეალებზე დაფუძნებულ ქვეყანათა მთელ სპექტრს, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს და აღიარებენ კანონის უზენაესობას. ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ ბოლო 50 წლის განმავლობაში ძალზე კარგი და მყარი საფუძველი შევქმენით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის გამყოფი კედელი დაინგრა და ევროპის საბჭო დაადგა ახალი წევრების მიღების გზას. ჩვენ არ ველით, რომ ქვეყნად ეთნიკური დაპირისპირება შეწყდება და ტოლერანტობა დამკვიდრდება. დღეს ჩვენ ყველანი კოსოვოს ტრაგედიისა და მოსახლეობის მასობრივი განდევნის მომსწრენი ვართ. საქართველომ კარგად იცის ეს და თავად გამოუცდია ასიათასობით ადგილნაცვალი პირის გაჭირვება, ის სიზიფის შრომა, გახლეჩილი საზოგადოების გასაერთიანებლად რომ სჭირდება.

დროა, ვისწავლოთ შეცდომებზე, ერთმანეთის მაგალითზე სწავლაა ევროპის საბჭოს საქმიანობის არსი. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, ვისწავლოთ ერთმანეთის შეცდომებზე, დავეხმაროთ ერთმანეთს იმაში, რომ არ გავიმეოროთ წარსულის შეცდომები. საბჭოს სხვა წევრებმა ეს უკვე იციან, ხოლო საქართველო ახლა დაინახავს, რომ გაწევრიანების ცერემონია მალე დასრულდება, შემდეგ კი იწყება დიდი და რთული შრომა. გაწევრიანება არ არის დასასრული, ეს მხოლოდ დასაწყისია.

ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო! თქვენ მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის ხელმოწერით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება ამ გზაზე. საქართველო, როგორც ევროპული ოჯახის წევრი, კვლავინდებურად შეასრულებს იმ ვალდებულებებს, მან რომ იკისრა წევრი ქვეყნების წინაშე.

ევროპის საბჭო არის ევროპის მოქალაქეთა საერთო საქმე და საერთო პასუხისმგებლობა, და მოქალაქეებს სურთ, რომ შესრულდეს მოცემული პირობები. მათ სურთ, რომ მივაღწიოთ წარმატებას. ჩვენდამი ნდობის შესანარჩუნებლად უნდა ვაკეთოთ ეს, ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი შვილებისათვის უნდა ვიღვაწოთ.

გულთბილად მივესალმები ქართველ ხალხს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება იქ, სადაც თქვენი ადგილია, ანუ ევროპის დემოკრატიული ერების ოჯახში.

ბატონ ტარშისის სიტყვის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ხელი მოაწერა ოქმს ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ. მან ასევე ხელი მოაწერა ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა და ევროპის სამართლის დარგში ურთიერთდახმარების კონვენციებს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ** (სიტყვა ქვეყნდება დღევანდელ ნომერში).

სიხარულისა და პასუხისმგებლობის გრძნობა დაუფლებოდა არა მხოლოდ ტრიბუნაზე მდგომ საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა ამ საოცნებო მოვლენის აღსრულებაში, არამედ დარბაზში მყოფი ზეიმის მონაწილე საქართველოს დელეგაციის ყველა წევრს: საქართველო დაუბრუნდა ევროპის დიდ ოჯახს, რომელსაც, ოდესღაც გამოაკლდა ჟამთა სიავის გამო.

მე ვარ ქართველი და, მამასადამე, ვარ ევროპელი! — წლეულს იანვარში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ სტრასბურგში წარმოთქმული ეს სიტყვები გუშინ დოკუმენტურად დადასტურდა.

სიტყვა წარმოთქვა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იანოშ მარტონმა:

— ბატონო მდივანო, ქალბატონებო და ბატონებო, მოგესალმებით — მე წილად მხვდა დიდი პატივი წარმოვდგე თქვენს წინაშე და მოგილოცოთ ეს ბრწყინვალე დღესასწაული. და მინდა მივულოცო იგი ბატონ შევარდნაძეს. ჩვენ ახლა მოვისმინეთ თქვენი სიტყვა, რომელმაც პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მჭევრმეტყველებით, თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ ყველაზე უფრო ძნელ პერიოდში, ყველაზე გარდამტეხ პერიოდებში მსოფლიო პოლიტიკის წარმატებით წარმართვისათვის. ასევე ბევრი რამ გააკეთეთ ჩვენი ორგანიზაციისთვისაც. ბოლოს თქვენ ოქტომბერში მოგვმართეთ. თქვენ ჩვენი ორგანიზაცია მიიჩნიეთ არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციად, არამედ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად, პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების განსახორციელებლად. მაშინ იმედი გამოთქვით რომ საქართველო გახდებოდა ჩვენი ორგანიზაციის წევრი და რომ ეს მოხდებოდა ჩვენი ორგანიზაციის დაარსების 50-ე წლისთავზე. ყველანი ბედნიერნი ვართ, რომ ეს დღეც დადგა.

ჩვენ ვიცით, საიდან ჩამობრძანდით. ეს არის ქვეყანა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვანძო ქვეყანაა შავი ზღვის რეგიონში. მოხარული ვართ, რომ საქართველო — ამიერკავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი — ჩვენი დიდი ორგანიზაციის, ჩვენი ოჯახის წევრი გახდება. თქვენ გაამდიდრეთ ჩვენი ოჯახი. მინდა დიდი სიხარული გამოვთქვა ამის გამო.

საქართველო ამავე დროს დიდი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრიც არის. თქვენ დიდ მოღვაწეობას ეწევით იმისათვის, რომ საქართველოში გაიაროს იმ ისტორიულმა გზამ, რომელსაც „აბრეშუმის გზა" ჰქვია, და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო სულ მალე ჩაებმება ამ დიდ ფერხულში.

ბედნიერი ვარ, რომ გავეცანით იმ წერილებს, ირაკლი მენაღარიშვილმა რომ გამოგვიგზავნა, დავესწარით, აგრეთვე ევროკავშირის წესდებასთან შეერთების ცერემონიას. მოხარული ვართ, რომ საქართველო ჩვენთან ერთად განახორციელებს ამ პოლიტიკას რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს კონფლიქტები და სადაც ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა პოლიტიკური დავა.

საქართველო უკვე მონაწილეობდა და აქტიურადაც მონაწილეობდა ჩვენი ორგანიზაციის სხვადასხვა საქმიანობაში. საქართველო იყო ჩვენი ასამბლეის სპეციალური წარმომადგენელი და ჰქონდა გარკვეული ვალდებულებანი, რომელთაც მშვენიერად გაართვა თავი, და ეს განსაკუთრებით გააქტიურდა ამა წლის იანვრის შემდეგ. ახლა უკვე ვიმედოვნებთ, რომ საქართველო მშვენივრად გაართმევს თავს იმ ვალდებულებებსაც, რომლებსაც მას ჩვენი ორგანიზაცია უსახავს. საქართველო გახდება ამ დიდი ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი, საქართველო იქნება ქვეყანა, რომელიც დიდ ტოლერანტობას გამოიჩენს სხვა ქვეყნების მიმართ. საქართველოს ბევრი რამ აქვს სხვა ქვეყნებთან გასაზიარებელი, მაგრამ სხვა ქვეყნებისგანაც ბევრ რაიმეს ისწავლის, როგორც ჩვენი ოჯახის წევრი.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო მინისტრო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამ დიდ ევროპულ ოჯახში — ევროსაბჭოში, რომელსაც დემოკრატიის ტაძარი ჰქვია. მინდა კიდევ ერთხელ მოგახსენოთ მადლობა და დიდი კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ საშუალება მეძლევა, მოგილოცოთ ეს დიდი დღესასწაული.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ლორდმა რასელ ჯონსტონმა თავის მისალმებაში განაცხადა:

— ამა წლის 27 იანვარს საპარლამენტო ასამბლეამ რეკომენდაცია მისცა საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში. ახლა ჩვენ უკვე ვესწრებით საქართველოს გაწევრიანების ცერემონიას და მინდა ეს ღირსშესანიშნავი დღე მივულოცო ქართველ ხალხს.

საქართველოში ჩემი ვიზიტის დროს ლანა ღოღობერიძემ და ზურაბ ჟვანიამ წამიყვანეს მაღალმთიან სოფელ მატილში. საქართველოს ამ მთიანი რეგიონის მოსახლეობა ძალიან რთულ პირობებში ცხოვრობს, მაგრამ ხალხი აქაც გათვითცნობიერებულია იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რასაც ევროპულ ოჯახში საქართველოს გაწევრიანება და საქართველოს აღიარება ჰქვია. ჩვენ ძალზე სასიამოვნო გრძნობებით ვართ აღსავსე. საქართველო ოდითგანვე ძალიან მჭიდრო კავშირურთიერთობას ამყარებდა ევროპასთან — ჯერ კიდევ პრომეთეს დროიდან, როცა კავკასიის მთაზე მიჯაჭვულ პრომეთეს ზევსის ბრძანებით არწივი ხორცს უკორტნიდა. ზევსმა წამების სანაცვლოდ ის მშვენიერი ბუნება შესთავაზა კავკასიის სახით, რომელსაც პრომეთე ყოველდღე ხედავდა.

ამ ქვეყანაში არის გადაუჭრელი პრობლემები — ორი კონფლიქტი და შეიარაღებული კონფლიქტებისა და დაძაბულობის მოგვარება აფხაზეთში ჯერ კიდევ შეუძლებელია. თუმცა საქართველომ გარკვეულწილად წარმატებებსაც მიაღწია ცხინვალის რეგიონში, და ყოველგვარი ასეთი დადებითი მოვლენების სათავეში ქვეყნის გამოჩენილი პრეზიდენტი შევარდნაძე დგას. იგი იმ თვისებების მქონე კაცია, რომელიც ძალიან სჭირდება დღევანდელ ევროპასაც.

ევროპის საბჭოში გაწევრიანება დასასრული კი არა, დასაწყისია. ჩვენ ვართ ორგანიზაცია, რომელსაც ძალიან ბევრი წევრი სჭირდება, მაგრამ ძალიან ბევრსაც მოითხოვს სანაცვლოდ. 41-ე წევრის შემოერთებით ჩვენ კიდევ უფრო გავმდიდრდით და გავიზარდეთ.

დიდი მადლობა, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოვ, კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება შინ!

საქართველოს პრეზიდენტი, დელეგაციის წევრები და ცერემონიალის მონაწილე ოფიციალური პირები გაემართნენ ევროპის სასახლის მიმდებარე მოედანზე. იქ, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით, ევროსაბჭოს წევრი 40 სახელმწიფოს დროშების გვერდით აღიმართა საქართველოს დროშა.

საქართველო დაუბრუნდა ევროპის დიდ ოჯახს!

ჩვენ ვართ ქართველები და ვართ ევროპელები!

აწ და მარადის!

საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ, მის პატივსაცემად, ევროპის სასახლეში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის ლორდ რასელ ჯონსტონის სახელით გაიმართა ოფიციალური სადილი. იმავე დღეს ევროპის სასახლის პრესისა და ინფორმაციის ცენტრში მოეწყო ედუარდ შევარდნაძის პრესკონფერენცია, რომლის დამთავრების შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტი ეწვია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, შეხვდა და ესაუბრა სასამართლოს თავმჯდომარეს ლუციუს ვილდჰაბერს. საღამოს ევროპის სასახლეში ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანებისა და ევროსაბჭოში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის აღსანიშნავად გაიმართა დარბაზობა.

ევროპა ის სივრცეა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და უსაფრთხო განვითარება უნდა უზრუნველყოს

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე

(პირველი გვერდიდან)

საქართველოსათვის „ევროპის საჯარო წესრიგის" ფარგლებში ყოფნა ნიშნავს არა მარტო საერთო ფასეულობების გაზიარებას, არამედ საკუთარი, კონკრეტული წვლილის შეტანას ამ წესრიგის განვითარებაში და განმტკიცებაში. ევროპის საბჭოში მიღება, რომელიც თავისთავად საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს, სამინაო და საგარეო პოლიტიკის აღიარებაა, ამ მიმართებით საქმიანობის მშვენიერ წინაპირობას გვიქმნის.

საქართველო ევროპაში დაბრუნდა არა მარტო და არა იმდენად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მრავალათასწლოვანი ისტორიით, არამედ მომავალზე ორიენტირებული აწმყოთი — უმძიმეს პირობებში, დროის მცირე მონაკვეთში ჩამოყალიბებული სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მყარი საფუძვლებით.

საქართველოში დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებამ, პრეზიდენტისა და პარლამენტის თავისუფალმა და სამართლიანმა არჩევნებმა, აგრეთვე სასამართლო რეფორმის პროცესის დაწყებამ, საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსებამ განსაზღვრა ზემოაღნიშნული პროცესის განვითარების ძირითადი ორიენტირები.

ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რეფორმები ადამიანის უფლებების დაცვისა და განმტკიცების სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფის ნიშნით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს: მიღებულია სამოქალაქო და სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსები, პენიტენციალური სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის. გაუქმდა სიკვდილით დასჯა, შეიქმნა სახალხო დამცველის ინსტიტუტი.

ცვლილებები თითქმის ყველა სფეროს შეეხო: გადაადგილების თავისუფლების და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოში ჩაწერის სისტემის გაუქმება. აღსანიშნავია, აგრეთვე ქვეყანაში დამოუკიდებელი მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საქართველოსა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობა საქართველოს სამართლებრივი სისტემის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ასპექტში, როგორც პლურალისტური დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით და სხვა მრავალი მიმართულებით.

საქართველო უკვე შეუერთდა ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ რამდენიმე კონვენციას. ჩვენი ურთიერთობის მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო ევროპის საბჭოს მიერ საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის სამართლებრივ და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში თანამშრომლობის 1999 წლის პროგრამის განხილვითა და დამტკიცებით.

ჩვენი წარმომადგენლები მეთვალყურის სტატუსით მონაწილეობენ ევროპის საბჭოს კორუფციასთან ბრძოლის კომიტეტის საქმიანობაში, სადაც მუშავდება სამოქალაქო სამართლის კონვენცია კორუფციაზე. საქართველომ კორუფციასთან ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა. ჩვენ არა მარტო ხელი მოვაწერეთ ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციას", არამედ ვაპირებთ კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური სამსახურის შექმნას საქართველოს პრეზიდენტის ეგიდით.

საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერით დასრულდა სასამართლო სისტემის რეფორმის პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა ხელისუფლების დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი შტოს ჩამოყალიბებას. რეფორმების განხორციელების ფორმების შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერა ამ პროცესისადმი ერთმნიშვნელოვანია. რეფორმის შეუქცევადობის თვალსაზრისით სერიოზული განაცხადი გაკეთდა კანონის „საერთო სასამართლოს შესახებ", ამ კანონის მიღებითა და ახალი მოთხოვნების შესაბამისად მოსამართლეთა კორპუსის დაკომპლექტებით.

ვფიქრობ, ცალკე უნდა გამოიყოს საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს ვალდებულებების შესრულება. ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ, რომ ისინი უკავშირდება ჩვენი საზოგადოების წინაშე მდგარ იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარება. ამ მიმართებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება აბსოლუტურად თანხვედება საქართველოს მომავლის ჩვენეულ აღქმას და ხედვას.

ევროპის საბჭოში ღირსეული ადგილის დამკვიდრება ხანგრძლივ და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. ჩვენ ეს კარგად გვესმის. აღნიშნული პროცესი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ევროპის საბჭოში თანამშრომლობას განიხილავს, როგორც ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შეუქცევადობის გარანტიას.

ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფუნქციას ჩვენ არა მარტო „ევროპული საჯარო წესრიგის" გაღრმავება-განვითარებაში, არამედ ამ წესრიგის სამხრეთ კავკასიაზე გავრცელების ხელშეწყობაში ვხედავთ. ამ მხრივ აღსანიშნავია 15 მარტს სტრასბურგში ევროპის საბჭოს ეგიდით და საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის ლორდ რასელ ჯონსტონის ინიციატივით შემდგარი აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეთა შეხვედრა.

ამ რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში შევხვდით სამი პრეზიდენტი — აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს პრეზიდენტები. შეხვედრა იყო საინტერესო და მოვილაპარაკეთ, რომ შემდეგი ასეთი საუბარი, ასეთი დიალოგი გაიმართება უკვე თბილისში.

ევროპული წესრიგის გავრცობა ჩვენს მეზობელ კავკასიის სახელმწიფოებზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება კავკასიური სახელმწიფოების ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაციისა და განვითარების თვალსაზრისით; იგი პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგებისა და ევროპაში უსაფრთხოების განმტკიცების პროცესზე.

ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში აზერბაიჯანსა და სომხეთს ევროპის საბჭოს სრულუფლებიან წევრებად ვიხილავთ.

„ევროპული საჯარო წესრიგის" ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვა, როგორც პიროვნების უსაფრთხოების გარანტია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ერთგვარი კვინტესენციაა. ჩვენი შეხედულებით, „ევროპული საჯარო წესრიგის" ფორმირების ამოცანა უფრო ფართოდ უნდა იყოს გააზრებული. კერძოდ, მან უნდა მოიცვას უსაფრთხოება სოციალური იერარქიის ყველა დონეზე, იქნება ეს ინდივიდი, ინდივიდთა ჯგუფი, საზოგადოება თუ სახელმწიფო. სწორედ, ეს კრიტერიუმი უნდა გახდეს განმსაზღვრელი, როდესაც ვლაპარაკობთ ევროპული „ურთიერთშემავსებელი და ურთიერთდამაკავშირებელი ინსტიტუტების" საქმიანობის ეფექტიანობაზე.

ასეთი წესრიგის ფარგლებში დაუშვებელია ევროპულ სივრცეში არსებული კონფლიქტების გრადაცია და ზოგიერთი მათგანის, ასე ვთქვათ, „გაყინული კონფლიქტების" ან „დაკონსერვებული კონფლიქტების" კატეგორიაში გადაყვანა. ევროპული წესრიგისათვის კოსოვოში განხორციელებული „ეთნიკური წმენდა" ისევე კატასტროფულია, როგორც აფხაზეთში, საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩატარებული ანალოგიური ქმედება, რის შედეგადაც 300 ათასი ადამიანი, უმეტესად ქართველი განიდევნა მამა-პაპათა მიწა-წყლიდან და ათასობით ადამიანი დაიხოცა".

ჩვენ არაერთხელ გაგვიფრთხილებია საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ მსოფლიოში გახშირებული „მცირე ინტენსივობის" კონფლიქტები დამანგრეველი, დესტრუქციული მუხტის მატარებელია: პოსტტოტალიტარულ სივრცეში არსებულ, ერთი შეხედვით მცირემასშტაბიან ეთნიკურ დაპირისპირებებს, რასაც ზოგჯერ ლოკალურ კონფლიქტებსაც უწოდებენ, შეიძლება ჯაჭვური რეაქცია მოჰყვეს და მსოფლიო ომის საფრთხის წინაშეც კი დაგვაყენოს; ყოველ შემთხვევაში, კოსოვოს მაგალითი ამ მხრივ ძალზე დამაფიქრებელია. მე არაფერს არ ვაჭარბებ, ეს არის რეალური საფრთხე.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში უკვე კარგა ხანია განიხილება ისეთი გამოწვევები, როგორიცაა აგრესიული სეპარატიზმი, ეთნიკური თუ კონფესიური კონფლიქტები, საქმე რიტორიკასა და დეკლარაციებს არ გასცდენია. ეს უნდა ვაღიაროთ.

შიდა კონფლიქტების გამო საერთაშორისო წესრიგის ამგვარი „მოუწესრიგებლობის" შედეგები მძიმე და, მე ვიტყოდი, ტრაგიკულ ტვირთად აწევს საქართველოსაც.

ამდენად, ცოტაოდენ კატეგორიულობასაც თუ მომიტევებთ, ვიტყვი, რომ ევროპული წესრიგი ვერ იარსებებს და აზრსაც კი კარგავს იმის გაცნობიერების გარეშე, რომ ევროპულ სივრცეში მიმდინარე ყველა კონფლიქტს თანაბარი ყურადღება და ძალისხმევა სჭირდება.

ამ საკითხზე ფიქრი მართებს ევროპის საბჭოსაც, რადგან ის, რაც კოსოვოში ხდება, გაცილებით უფრო რთული და მასშტაბური მოვლენაა, ვიდრე ცალკეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკური კონფლიქტი. ფაქტობრივად, ერთმანეთს უპირისპირდება ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო წარმოდგენა საერთაშორისო წესრიგზე, რომელთაგან ერთის საფუძველი ტოტალიტარული რეჟიმია, ხოლო მეორე — დემოკრატიულ ფასეულობებზეა დაფუძნებული. საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში — აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტიც სწორედ ასეთი დაპირისპირების გამოხატულება და ასეთი დაპირისპირების შედეგია.

ჩვენთვის აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების ძირითად გზად გაეროს ეგიდით სამშვიდობო პროცესის წარმართვა ისახება: ჩვენ დიდი ხანია განვსაზღვრეთ ჩვენი პოლიტიკა ამ თვალსაზრისით. საქართველოს მთავრობის მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი უცვლელია — აფხაზეთს უნდა ჰქონდეს ფედერაციის სუბიექტის მაღალი სტატუსი, რომლის ფარგლებში, ისევე როგორც სხვაგან საქართველოში, უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის უფლებები, აგრეთვე აფხაზების, როგორც ეთნიკური ჯგუფის უსაფრთხო და ყოველმხრივი განვითარება.

ჩვენი მიღწევები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საქმეში, დღესდღეობით მიმდინარე ორმხრივი პოზიტიური დიალოგი, საქართველოს კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკის გენერალური ხაზის ანარეკლია, რომელიც სრულიად უპასუხებს საქართველოში მცხოვრები ხალხების ინტერესებს.

პატივცემულო დეპუტატებო!

სტრასბურგში ვაშინგტონიდან ჩამოვედი, სადაც ნატოსა და ევროატლანტიკური საბჭოს უმაღლესი დონის შეხვედრა გაიმართა. მასზე მიღებული დოკუმენტები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ იმას, თუ როგორი იქნება ევროპა და არა მხოლოდ ევროპა მომავალში. ეს მომავალი კი, ამ საუკუნეში გადატანილი ორი მსოფლიო ომისა და ლამის ნახევარსაუკუნოვანი ცივი ომის მიუხედავად, კვლავაც არაა უღრუბლო და ამის მიზეზი, ალბათ, ისიც გახლავთ, რომ რაღაც სერიოზული, ძნელადასახსნელი მოხდა ჩვენს ცნობიერებაში. როგორც ჩანს, ჩვენ მოგვიდუნდა საფრთხის ადეკვატურად შეგრძნების უნარი და ყველაფრის პატიება, განურჩეველი შემწყნარებლობა ლამის მაღალი ცივილიზებულობის ნიშნად ვაქციეთ. ადამიანურობის წინააღმდეგ, კაცობრიობის წინააღმდეგ დღეს ჩადენილ დანაშაულზე ზანტი რეაქცია ფაშისტების მიერ დატრიალებულ ტრაგედიაზე თვალის დახუჭვის ტოლფასია. ცხადია, ჯერჯერობით მასშტაბები განსხვავდება, მაგრამ მათი ბუნება მსგავსია და გვაქვს კი იმის გარანტია, რომ ჩვენი უმოქმედობის და ზღვარგადასული მიტევების წყალობით ეს დანაშაულობანი იგივე შედეგს არ მოგვიტანს.

სხვათა შორის, თავის დროზე, არც ბოლშევიზმის მიერ ჩადენილ დანაშაულს ეღირსა სამართლიანი შეფასება. ეთნიკური წმენდა, რომელსაც დღეს ახორციელებენ დანაშაულებრივი რეჟიმები, იმ ავადსახსენებელი ბოლშევიზმის პირმშოა, როცა საბჭოთა თვალუწვდენელ სივრცეზე, მათ შორის კავკასიაშიც, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით, ერთი ღამის მანძილზე „წმენდნენ", თუ ასე შეიძლება ითქვას, ქალაქებსა და სოფლებს, და ხანდახან მთელ ხალხებს აგდევნიდნენ მშობლიურ კუთხეებს.

ეთნოწმენდისა და გენოციდის დღევანდელი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები საკმაოდ ოსტატურად იყენებენ მოლაპარაკების ინსტიტუტს და ამ პროცესის უსასრულოდ გაჭიმვით ჩადენილი დანაშაულის შედეგების დაკანონებას, უსამართლო სტატუს-კვოს სამარადჟამოდ დამკვიდრებას ცდილობენ. არ შეიძლება დაუსრულებელი მოლაპარაკებები იყოს თვითმიზანი. იგი უნდა იყოს სამართლიანობის უსამართლობაზე ზეიმის საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით მოლაპარაკებები საზოგადოდ, სამშვიდობო პროცესი აბსოლუტურად დისკრედიტებული იქნება.

ამას რომ ვამბობ, რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტს არ ვგულისხმობ მარტო, არამედ ზოგად პრინციპებს და ზოგად დამოკიდებულებას. უნარის გამომუშავება, უსაფრთხოების მტკიცე გარანტიების, ძალით ზურგგამაგრებული დიპლომატიის, მათ შორის მშვიდობის ძალდატანებითი დამყარების პრინციპის რეალური ამოქმედების გარეშე მსოფლიო ვერ განიკურნება კონფლიქტების ეპიდემიისაგან, რომელსაც ბოლოს და ბოლოს საყოველთაო განუკითხაობისა და ქაოსისაკენ მივყავართ.

ამ ახალ საფრთხეებს უნდა დავუპირისპიროთ ისეთი პარტნიორობა, რომლის ამოსავალი წერტილი იქნება არა მარტო გეოპოლიტიკა და ძალთა ბალანსი, არამედ ზნეობრივი მიდგომები და ერთიანი მსოფლმხედველობის სივრცე, იმის რწმენა, რომ ყველა პარტნიორი ქვეყნის, დიდის თუ პატარის სატკივარი ჩვენი ევროატლანტიკური ოჯახის ერთობლივი საზრუნავია.

ევროპული სივრცის ფორმირების თვალსაზრისით აქტუალურად გვესახება რეგიონული ინტეგრაციის საკითხების „ევროპა ცვალებადი გეომეტრიით" ჭრილში ხედვა. ვგულისხმობ ისეთ რეგიონულ გაერთიანებებს, რომლებიც თავიანთი გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით ევროპული სივრცის ნაწილად მოიაზრება.

ამ მიმართებით, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ 1992 წელს თურქეთის ინიციატივით სტამბოლში შექმნილ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოც გახლავთ. შარშან იალტის სამიტზე ბისეკი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია. მის დღითიდღე მზარდ ავტორიტეტზე მეტყველებს ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ინტერესი. ორგანიზაციაში მეთვალყურის სტატუსით შემოსვლის სურვილი გამოთქვეს გერმანიამ, საფრანგეთმა და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფოებმა. სულ რამდენიმე დღეში საქართველო, როგორც ბისეკის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყანა, უმასპინძლებს ორგანიზაციაში მონაწილე 11 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს, მეთვალყურის სტატუსის მქონე სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რაც, ვიმედოვნებ, ბისეკის განვითარებას ახალ იმპულსს შესძენს.

შავი ზღვის და კასპიისპირეთის სახელმწიფოთა სუბრეგიონული თანამშრომლობის პროცესში პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თანხვედრამ შესაძლებელი გახადა ტრასეკას, ინოგეიტის, „განახლებული დიდი აბრეშუმის გზის" პროექტების რეალური ამოქმედება, რომელთაც ჩვენ განვიხილავთ როგორც ევრაზიის სივრცეზე სტაბილურობისა და კეთილდღეობის გლობალურ სარტყელს. გასული წლის ბაქოს სამიტზე 14 სახელმწიფოს პრეზიდენტმა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იურიდიულად გააფორმეს თავიანთი ნება — გადააქციონ „განახლებული დიდი აბრეშუმის გზა" ურთიერთგაგებისა და საერთო ინტერესების არედ.

დიდი აბრეშუმის გზის პროექტის განხორციელებაში უკვე გამოიკვეთა საქართველოს საკვანძო როლი. ამ დღეებში დამთავრდა კასპიის ადრეული ნავთობის დასავლეთის მიმართულების მილსადენის და ტერმინალის მშენებლობა, კასპიის ნავთობის დატვირთულმა პირველმა ტანკერებმა ევროპისაკენ აიღეს კურსი.

გადაწყვეტილია კასპიისა და ყაზახეთის დიდი ნავთობსადენის — ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დაპროექტების საკითხი, უმოკლეს დროში უნდა დაიწყოს და დამთავრდეს თურქმენეთის გაზის თურქეთისა და დასავლეთის ბაზრებისათვის მიწოდების პროექტის რეალიზაცია აზერბაიჯანში და საქართველოში გაყვლით.

საქართველოს ნავსადგურებში აიგო და მოქმედებს სარკინიგზო ბორნის გადასასვლელები, რომლებიც ჩვენს რეგიონს უკრაინასთან, ბალკანეთისა და დუნაისპირა ქვეყნებთან დააკავშირებს. გვაქვს სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების მშენებლობის დიდი პროექტები, რასაც ტვირთნაკადების გარდა მილიონობით ტურისტთა მასები შეუერთდება.

საქართველომ, როგორც ევროპისა და აზიის მესაყარზე მდებარე სახელმწიფომ უკვე დაიმკვიდრა ამ პროექტის განხორციელებაში საიმედო პარტნიორის სახელი. ყველაფერს ამას ხელი შეუწყო თვით ქვეყანაში გატარებულმა მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა რეფორმებმა. მწვავე ენერგეტიკული კრიზისის მიუხედავად სახეზეა წინა წლებში გაჩერებული მრეწველობის ცალკეული დარგებისა და აგრარული სექტორის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება.

სწორედ ამგვარი ფუნქციური დატვირთვით, როგორც სუბრეგიონული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელოვანი სუბიექტი, შემოვიდა საქართველო ევროპაში.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობისა და ინტელექტუალური პოტენციალის სრულად რეალიზებისათვის კეთილგანწყობილი საერთაშორისო გარემოს ფორმირება წარმოადგენს. მით უმეტეს მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს ჩვენი ქვეყნის შეერთება ევროპის კულტურულ კონვენციასთან, რომელიც საქართველოს თვითმყოფადი კულტურის მისთვის მშობლიურ, ევროპულ გარემოში დაბრუნებისა და დამკვიდრების, მისი განვითარების ხელშესაწყობად გადადგმული ნაბიჯია.

ჩვენ გვესმის ამ საკითხის მთელი სერიოზულობა და მაქსიმალურად ვცდილობთ შევასრულოთ კონვენციის ყველა მოთხოვნა. ჩვენი ქვეყანა მონაწილეობს ევროპის საბჭოს შესაბამისი კომიტეტების მიერ ორგანიზებულ სხდომებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ევროპის საბჭოს კულტურის, განათლებისა და სპორტის დირექტორატი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან ურთიერთობას.

2000 წლის თებერვალში თბილისში გაიმართება კონფერენცია „დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა". საგულისხმოა, რომ ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ბატონმა დანიელ ტარშისმა უყურადღებოდ არ დატოვა ჩვენი ინიციატივა ზემოაღნიშნული კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით. ჩვენ უკვე დავიწყეთ მზადება, შევქმენით საორგანიზაციო კომიტეტი და ვიმედოვნებთ, რომ ის დიდი ვალდებულება, რომელიც ქართულმა მხარემ აიღო ევროპის საბჭოს წინაშე წარმატებით იქნება შესრულებული. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქვეყნის სამინისტროები და უწყებები, რომლებიც ემსახურებიან განათლებისა და კულტურის სფეროს, აქტიურად თანამშრომლობენ ევროპის საბჭოს მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა პროექტების შედგენასა და განხორციელებაში.

ჩვენ ვადასტურებთ XXI საუკუნის ევროპაში ეკონომიკური განვითარების, ჰუმანიზაციის, სოციალური სამართლიანობის, შემოქმედებითი თვითრეალიზაციისა და ინდივიდუალიზაციისაკენ სწრაფვაში ადამიანისათვის ხელისშემწყობი პირობების შექმნის აუცილებლობას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროპის საბჭოს წიაღში შობილ და „ბრძენთა კომიტეტის" რეკომენდაციებით მიმდინარე თვითგანახლების პროცესებს.

პატივცემულო დეპუტატებო,

ევროპის საბჭო ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის მყუდრო და საიმედო ბინა იქნება.

მაგრამ იგი განსაკუთრებული ღირებულებისაა მცირე სახელმწიფოებისათვის, მათი თვითგამოხატვის, თვითდამკვიდრების, ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების გარანტიაა, რაც ამავე დროს თითოეული ჩვენგანის მიერ ევროპული და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში შეტანილ წვლილსაც მოასწავებს.

დღეისათვის განახლებული ევროპის სახეს ჩემთვისა და ჩემი თანამემამულეებისათვის განსაზღვრავს ის რწმენა, რომ სტრასბურგი ისევე ახლოა თბილისთან, როგორც ევროპული სახელმწიფოს ნებისმიერ სხვა დედაქალაქთან.

სწორედ ასეთი რწმენით აპირებს საქართველო თანამშრომლობას ევროპის საბჭოსა და საპარლამენტთაშორისო ასამბლეასთან XXI საუკუნის ევროპული წესრიგის ფორმირების საქმეში.

ამ საკითხში, როგორც პოლიტიკის ნებისმიერ სხვა სფეროში, ნება მიბოძეთ, გამოუსწორებელ ოპტიმისტად დავრჩე.

გმადლობთ, ყურადღებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 110. ოთხშაბათი. 28 აპრილი, 1999 წელი.

კანონმდებლები

„ჩვენ მოვიპოვეთ ევროპული მგზავრობის ბილეთი, იმის საშუალება, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ დაიწყოს საქართველოს ინტეგრაციის პროცესი სხვა ევროპულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებთან“

(პირველი გვერდიდან)

„ეს არის უნიკალური ორგანიზაცია, უნიკალური სწორედ იმით, რომ მისი წევრობა გასაზღვრავს არა რაიმე განსაკუთრებულ ეკონომიკურ პრივილეგიებს, უკავშირდება არა რაიმე თავდაცვითი ხასიათის შეთანხმებებს, არამედ იმის დასტურია, რომ ქვეყანა, რომელიც ამ ორგანიზაციაში შედის, იმ საერთაშორისო თანასაზოგადოებას მიეკუთვნება, სადაც რეალურად აღიარებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პრიორიტეტები, დემოკრატიული ცხოვრების პრინციპების უზენაესობა“, – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ.

მისივე თქმით, ბოლო თვეების განმავლობაში რამდენჯერმე გაიჟღერა აზრმა, რომ საქართველო, ევროპის საბჭოს წევრი, თითქოს, თავისთავად გახდა, რაც ზურაბ ჟვანიას განმარტებით, რა თქმა უნდა, ძალზე მცდარი მტკიცება და საკმაოდ სახიფათო სიყალბეა. ევროპის საბჭოში გაწევრიანების აქტს წლების განმავლობაში ასეულობით ჩვენი თანამემამულე ამზადებდა, მათ შორის, საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის, პოლიტიკური წრეებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, ცალკეულ ეროვნულ უმცირესობათა თუ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები, ყველა, ვინც კი საქართველოში მოღვაწეობს, სტრასბურგიდან ჩამოსულ ათობით დელეგაციასთან მათი საუბრისას ყოველთვის დასტურდებოდა, რომ ხალხთა ერთიან ევროპულ ოჯახში დაბრუნება, საქართველოსათვის უმაღლეს პრიორიტეტს წარმოადგენს. „დღეს, თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ საქართველოს გაწევრიანება ევროპის საბჭოში იმ ურთულესი გზის რეალურად აღიარებაა, რაც ბოლო წლების განმავლობაში სრულიად საქართველომ, ყველამ ერთად გამოვიარეთ. პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მიმდინარე წლის 27 იანვარს სტრასბურგში, საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე საქართველოს გაწევრიანებას მხარი დაუჭირა.

ზურაბ ჟვანიამ საქართველოს მხრიდან აღებულ ვალდებულებებზეც ისაუბრა: „მინდა ამ მომენტზეც შევჩერდე, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს პრესაში გაიჟღერა აზრმა, თითქოს, სტრასბურგში ჩვენთვის მიუღებელი რამ მოგვახვიეს თავს, პატივცემულ დეპუტატებს, ფრაქციებს, კომიტეტებს დაურიგდათ ის დოკუმენტი, რომელსაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე კენჭი ეყარა. კოლეგებო, თვალის ერთი გადავლებითაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ იქ ჩამოყალიბებული თემების აბსოლუტური უმრავლესობა ის საკითხებია, რაზეც საქართველოს პარლამენტი თუ საქართველოს მთავრობა ისედაც მუშაობდა და რასაც, ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში საკმაოდ მაღალი ადგილი ეკავა. ეს არ არის შემთხვევითი დამთხვევა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რეფორმებს ვახორციელებთ არა იმის გამო, რომ ვიღაცას ევროპაში თუ სხვაგან თავი მოვაწონოთ, არამედ იმიტომ, რომ იმ გზით მივდივართ, რა გზითაც ვთვლით, რომ საქართველო ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწევს და ეს დემოკრატიული აღმშენებლობის გზა არის“.

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ევროსაბჭოში გაწევრიანებით საქართველომ ძალიან მაღალი ტრიბუნა მოიპოვა, საიდანაც წარმოთქმულ ჩვენს სატკივარს საერთაშორისო თანასაზოგადოება გაიგებს. „ჩვენ მოვიპოვეთ ევროპული მგზავრობის ბილეთი, იმის საშუალება, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ დაიწყოს საქართველოს ინტეგრაციის პროცესი სხვა ევროპულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებთან“, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ. მისივე შეფასებით, „1999 წლის 27 აპრილი ჩვენი სამშობლოსათვის არის ის ისტორიული დღე, როდესაც შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველო ევროპულ ოჯახს დაუბრუნდა, საქართველომ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე თავისი ადგილი დაიბრუნა“. მანვე აღნიშნა, რომ ერთიანი თანამედროვე ევროპა, არ ნიშნავს მხოლოდ საერთო ბაზარს, უვიზო მიმოსვლასა და ერთიანი ვალუტის შექმნას, „ეს არის მთლიანი სივრცე, რომლის შიგნითაც ისეთი ცნებები, როგორიც არის ადამიანის უფლებები, დემოკრატიული ღირებულებები, სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობა, თითოეული მოქალაქის ღირსება და თავისუფლება ერთიანად არის გაგებული და ამ ერთიანობას ვერ წამლის და ვერ დაანაწევრებს ვერანაირი პოლიტიკური საზღვრები. კენჭისყრა, რომელიც ევროპის საბჭოს პლენარულ დარბაზში შედგა, იმის დასტურია, რომ ჩვენ, ქართველებს, ერთხელ და სამუდამოდ, ამ ერთიანი სივრცის განუყოფელ და ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად გვაღიარებენ“.

ზურაბ ჟვანიას თქმით, ევროპულ ოჯახში დაბრუნება ქართული უნიკალური მემკვიდრეობის შენარჩუნების დამატებით გარანტიებს შექმნის, ხოლო ევროპულ მრავალფეროვნებას ქართული კულტურა და თვითმყოფადობა დაამშვენებს, ევროსაბჭოში შესვლა, ერთიანი ეკონომიკური სივრციდან გამომდინარე, თითოეული ქართული ოჯახის კეთილდღეობის პირობებს შექმნის, საქართველოსთან მიმართებაში უსაფრთხოების გარანტიები ამუშავდება.

„მე მინდა განვაცხადო, ღრმად მწამს, რომ ამ აქტით საქართველო თავის ერთადერთ ისტორიულ ნავსაყუდელს უბრუნდება, საიდანაც ჩვენი განვითარების, პრაქტიკულად ახალ ეტაპს დავიწყებთ“, – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ და გაიხსენა ის სახელმწიფო თუ სასულიერო მოღვაწენი, ვინც საუკუნეების განმავლობაში ევროპისაკენ მისასვლელ გზას კვალავდნენ. საქართველოს პარლამენტის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს პარლამენტის თითოეულ წევრს, თითოეულ პოლიტიკურ ჯგუფს, ვინც ფასდაუდებელი შრომა გასწია იმისათვის, რომ ყოველგვარი ბარიერი და ეჭვი საქართველოსთან მიმართებაში გაფანტულიყო და შემდგარიყო სწორედ ისეთი ერთსულოვანი კენჭისყრა, როგორიც 27 იანვარს ევროპის სასახლეში მოხდა. „განსხვავებული მიდგომები, ყოველგვარი პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად, ამ საკითხში არ არსებობს და დღეს, მინდა ამ ერთიანობას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, ვინაიდან ეს ის არის, რასაც ასეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში აუცილებლად უნდა ვუფრთხილდებოდეთ“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

დღეს უეჭველია, რომ სრულდება ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის პოლიტიკის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. ეტაპი, რომელსაც ერქვა დაბრუნება ევროპისაკენ. მაგრამ დღესვე, დარწმუნებული ვარ, არანაკლებ მნიშვნელოვანი და განვითარების ბევრად უფრო უმტკივნეულო გზა იწყება, ამჯერად, უკვე ჩვენი ევროპული განვითარების ეტაპი“, – აღნიშნა გამოსვლის დასასრულს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს ევროსაბჭოში მიღებასთან დაკავშირებით, სტუმართა წინაშე საზეიმო სიტყვით წარსდგა, აღნიშნა, რომ სწორედ ამ აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და მის თანამოაზრეთა მრავალწლიანი მიზანმიმართული მუშაობა წარმატებით დაგვირგვინდა. „ამ აქტით, მარტო საქართველომ კი არ დაადასტურა კიდევ ერთხელ, რომ იგი საკუთარ თავს უბრუნდება, არამედ ევროპამაც დაგვიდასტურა, რომ საკუთარ თავთან დაბრუნების ჩვენი მცდელობები კანონიერი, პერსპექტიული და მიღწევადია... და ყოველივე ეს, ახლად შექმნილი სახელმწიფოსათვის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის, მდგრადი განვითარების საიმედო გარანტია“, – აღნიშნა ვაჟა ლორთქიფანიძემ.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, ჩვენმა ხალხმა, საუკუნეობრივი ტრადიციებით ნაკარნახევი და განპირობებული ისტორიული არჩევანი ევროპის სასარგებლოდ გააკეთა და ეს არჩევანი – საქართველოს წარსულისა და მომავლის ჩვენეული ხედვა, ამჯერად დასავლეთმაც გაიზიარა. მინისტრმა აღნიშნა: „თუ სულხან-საბა ორბელიანის დროს, ჩვენ ევროპის გეოპოლიტიკურ ინტერესებში არ შევდიოდით, ახლა, სწორედ ამ გზაჯვარედინის გამო, მსოფლიოს ყურადღებისა და ინტერესთა არეალში აღმოვჩნდით – საბედნიეროდ“. სახელმწიფო მინისტრი შეეხო იმ ვალდებულებებსა და პირობებს, რასაც ევრომოთხოვნებით ცხოვრება გულისხმობს. „ევროსაბჭოს წევრობა, ჩვენი აზრით, მხოლოდ პოლიტიკური და იურიდიული აქტი არ გახლავთ, არამედ იმის აუცილებელი პირობაცაა, რომ საქართველოში ადამიანს არ შიოდეს, არ სციოდეს და არ სწყუროდეს... ევროსაბჭოს წევრობა, უპირველესად, რიგითმა მოქალაქემ უნდა იგრძნოს. საერთო ევროპულ ეკონომიკას კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა ახასიათებს, ადამიანს არჩევანის შესაძლებლობას აძლევს და მისთვის საიმედო სოციალურ გარანტიებს ქმნის. სწორედ ამიტომ, ევროსაბჭოს წევრობა ჩვენი თანამემამულეებისათვის მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივას, ცხოვრების დონის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების შესაძლებლობებს შექმნის. საქართველოს ხელისუფლება ამ პერსპექტივას აუცილებლად გამოიყენებს“, – აღნიშნა გამოსვლის დასასრულს ვაჟა ლორთქიფანიძემ.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ჩვენი ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია საერთო სახალხო ისტორიულ დღედ მოიხსენია და სრულიად საქართველოს მშვიდობა, წყალობა, სიხარული და სიყვარული უსურვა. უწმინდესმა და უნეტარესმა ევროსაბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ-გიორგი შევარდნაძის განსაკუთრებულ წვლილზე ისაუბრა და აქვე დასძინა: „უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს – ჩვენი გასაკეთებელი საქმე თავადვე უნდა გავაკეთოთ და ზედმეტი იმედები არ უნდა გაგვაჩნდეს“. მანვე აღნიშნა, რომ ევროპას მდიდარი კულტურა და ტრადიციები გააჩნია, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ორივე მსოფლიო ომის სათავე სწორედ აქედან მოდის და აქვე დაამატა: „დღეს კაცობრიობა არა მარტო უფსკრულის პირს მიადგა, არამედ მასში ჩაიხედა კიდეც. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ წარმოიშვა მესამე მსოფლიო ომი, იგი იქნება უკანასკნელი და ამით, დედამიწაზე სიცოცხლე დასრულდება. ღმერთმა დაგვიფაროს“. ილია II თქმით, დღეს, გამორიცხული არ არის, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ სწრაფადცვალებად მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსი ახალი ზესახელმწიფოების წარმოშობა. აუცილებელია, ჩვენს ქვეყანას ასეთ პირობებში უშიშროების საკუთარი კონცეფცია გააჩნდეს, ასევე ევროპასა და შეერთებულ შტატებს, რომელიც მსოფლიო გადანაწილებაში საკუთარ პასუხისმგებლობას იღებს. მან ისაუბრა საქართველოს, როგორც ევროპა-აზიის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის მნიშვნელობაზე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდაჭერაზე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განვითარებაში, აღნიშნა საქართველოს მეფეთა დიდი სულიერება და სასულიერო მოღვაწეთა თავდადება ქართველი ერის თვითმყოფადობის დაცვისა და შენარჩუნებისათვის, ისაუბრა საერო და სასულიერო პირთა შორის უკვე ტრადიციად ქცეულ თანამშრომლობაზე, იმ აუცილებელ მუშაობაზე, რომელიც საქართველოში მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის მიმდინარეობს.

ილია II გამოსვლის დასასრულს აღნიშნა, რომ მისი აზრით, დღევანდელმა პარლამენტმა საქართველოს ისტორიაში საქმიანი და მშვიდობიანი პარლამენტის სახელი უნდა დაიმკვიდროს, უწმინდესმა და უნეტარესმა დალოცა მთელი ერი და დამსწრე საზოგადოება და კიდევ ერთხელ მიულოცა სწორი არჩევანი.

საზეიმო გამოსვლების შემდეგ, პარლამენტარებსა და მოწვეულ სტუმრებს, საქართველოს მთელს მოსახლეობასთან ერთად, საშუალება ჰქონდათ, თვალყური ედევნებინათ სტრასბურგიდან, ევროპის სასახლიდან საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საზეიმო ცერემონიალის პირდაპირი რეპორტაჟებისათვის, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობითი დელეგაცია ესწრებოდა.

საზეიმო სხდომის დასასრულს, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, საქართველოს სახელმწიფო დროშის მეზობლად ევროსაბჭოს დროშა აღიმართა.

დღის მეორე ნახევარში, საქართველოს პარლამენტმა 27-30 აპრილის პლენარული სესიის პირველი დღე სამუშაო რეჟიმში კანონპროექტების განხილვით გააგრძელა.

ამით, საქართველოს პარლამენტის 27 აპრილის პლენარული სხდომა დასრულდა.

ინტეგრაცია

ევროპული საქართველო — უპირველეს ყოვლისა

(პირველი გვერდიდან)

ამ სიტუაციაში ჩემს ქადილს, რომ საქართველოც აუცილებლად გახდებოდა ევროპის საბჭოს წევრი, თანამოსაუბრეები სრული იგნორირებით ხვდებოდნენ. მხოლოდ ერთმა კეთილგანწყობილმა დეპარტამენტის დირექტორმა მოკლედ მომიჭრა: „უკეთეს შემთხვევაში ჩვენ ესაუბრობთ 30-წლიან პერსპექტივაზე“. გასაკვირი ამაში არაფერი იყო. საქართველო არ არსებობდა არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიო რუკაზე, ჩვენი დამოუკიდებლობის ოფიციალურად ცნობის შემთხვევაშიც. ყველას გეახსოვს, რაოდენ მტკივნეულად ხდებოდა ჩვენი დამკვიდრება ამ რუკაზე. მახსოვს უმწეობის გრძნობა, რომელიც გვეუფლებოდა 1993 წლის სექტემბერში მე და ჩემს რამდენიმე მეგობარ ქართველ სტუდენტს ნიუ-იორკში, როდესაც სოხუმის დაცემის წინა დღეებში ვწერდით წერილებს ამერიკულ გაზეთებში და მათ არავინ ბეჭდავდა. დავდიოდით პატარ-პატარა რადიოსადგურებში და აფხაზეთზე და რუსეთის აგრესიაზე საუბრის წინ დიდხანს გვჭირდებოდა იმის ახსნა, თუ სად იყო საქართველო.

ყოველივე ამის თქმა აუცილებელი იყო იმის გასააზრებლად, თუ რა გზა განვვლეთ დღევანდლამდე. ბევრი იმასაც იტყვის, რომ ევროპის საბჭოს წევრობა ბევრი არაფრის მომცემია. ამ ორგანიზაციას არ ჰყავს ჯარები და არც ეკონომიკური დახმარების აღმოჩენა შეუძლია. ბოლოს და ბოლოს, მისი პოლიტიკური მნიშვნელობაც იმავე ევროპის კავშირის ქვეყნებში საკმაოდ სიმბოლურია. ამ ქვეყნების ბევრმა მაცხოვრებელმა ხეირიანად არც კი იცის, რა არის ევროპის საბჭო და როგორია მისი მიზნები. სკეპტიკოსები წამოგვაძახებენ იმასაც, რომ ამ ევროპის საბჭოში უკვე არიან ბალტიის ქვეყნები, რუსეთი, უკრაინა, მოლდავეთი და საქართველომ დაიგვიანა კიდეც. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენ თავიდანვე არათანაბარი სასტარტო პირობები გვქონდა. ბალტიის ქვეყნების ანექსია დასავლეთს ბოლომდე არასდროს უღიარებია და ამიტომ ისინი ყოველთვის ითვლებოდნენ დროებით ოკუპირებულ ევროპულ ქვეყნებად. რუმინეთის მიღების შემდეგ მოლდავეთის მიღებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. რუსეთის მიღება, ისევე როგორც 50-იან წლებში თურქეთის მიღება, წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და ამ შემთხვევაში ბევრი აკრიტიკებს კიდეც ევროპის საბჭოს საკუთარი პრინციპების ღალატისათვის. ამასთან დაკავშირებით გერმანიის მაშინდელ კანცლერს ჰელმუტ კოლს მიაწერენ გამოთქმას: „სჯობს დათვი ნავში ამოვიყვანოთ, ვიდრე გარედან ცდილობდეს მის ამოყირავებას“. რუსეთის მიღებასთან ერთად გარდაუვალი იყო მის დასაბალანსებლად უკრაინის გაწევრიანების პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება.

ყველა ამ შემთხვევაში, მიუხედავად ამ ახალი წევრების ღირსება-ნაკლისა, არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ თითოეული მათგანი იყო ისტორიულად და კულტურულად ევროპის განუყოფელი ნაწილი. ბევრად უფრო რთულად ჩანდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საქმე. 1994 წლამდე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზეც კი ვერ თანხმდებოდნენ, იყო თუ არა ეს ქვეყნები გეოგრაფიულად ევროპის ნაწილი. ჩვენს წინააღმდეგ რუსეთის საინფორმაციო სამსახურების მიერ წარმოებდა და ახლაც წარმოებს ინტენსიური კამპანია ერთი და იგივე ლაიტმოტივით, რომ კავკასია და, განსაკუთრებით საქართველო, არის მუდმივი არასტაბილურობის ქვეყანა მრავალი შიდა სისუსტით, რომ ევროპის ყველა მცდელობა, გაერკვეს ამ პრობლემებში, ფუჭი და ზიანის მომტანი იქნება და ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც ძალუძს რეგიონში წესრიგი დაამყაროს, არის რუსეთი.

ჩვენ პრაქტიკულად შიშველი ხელით გვიხდებოდა ჯერ კიდევ მძლავრ პროპაგანდისტულ მანქანებთან ბრძოლა. ეს ბრძოლა ნაწილობრივ გააადვილა იმან, რომ 1996 წელს საქართველომ მიიღო სპეციალური სტუმრის სტატუსი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში. სწორედ მაშინ სტრასბურგში ბევრმა ევროპელმა დეპუტატმა პირველად შეიტყო სიმართლე აფხაზეთის ომზე და რუსეთის როლზე, ხოლო რუსეთის დეპუტაცია იძულებული შეიქნა, შეგუებოდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს თემაზე თავად საქართველოს მხრიდან ოპონირების გზით ვერ მოახერხებდა ევროპის ამ საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენებას.

1996 წლიდან დაიწყო ინტენსიური მუშაობა ჩვენი გაწევრიანების მისაღწევად. როგორც ყველა პოლიტიკურ პროცესში მნიშვნელოვანი იყო პიროვნული ფაქტორი. ბევრი კარის უნივერსალური გასაღებია საქართველოს პრეზიდენტის სახელი და ამაში ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით. ძალიან წაადგა საქმეს ზურაბ ჟვანიას პირადი მეგობრობა ასამბლეის პრეზიდენტ ლენი ფიშერთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან (აქ კარგი ფაქტორი იყო ბატონი ზურაბის პოლიტიკური გამოცდილება დასავლეთში ჯერ კიდევ ევრო-მწვანეების თანათავმჯდომარეობის დროიდან). კარგად იმუშავეს საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ყველა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა. უპირველეს ყოვლისა, ბედმა გაგვიღიმა, რომ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქალბატონი ლანა ღოღობერიძე, რომელმაც უცებ მოიხვეჭა ავტორიტეტი.

ძალზე დაგვეხმარა საქართველოს მისია ევროსაბჭოში, რომელიც 1997 წელს გაიხსნა. და მაინც, მხოლოდ პირადი კონტაქტი გადამწყვეტი ვერ იქნებოდა. ასამბლეა ჩვენ შემთხვევაში მთელი სერიოზულობით, ყველა შესაძლო პროცედურის დაცვით მიუდგა საქმეს. ჩვენ მოგვიხდა სკეპტიციზმის კედლის განგრევა. ჯერ დაინიშნა „გამოჩენილ იურისტთა“ მისია ევროპის ადამიანის უფლებების კომისიის თავმჯდომარის ტრექსელის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეისწავლა ჩვენი სამართლებრივი სისტემა. მისიის დადებითი დასკვნის შემდეგ დაინიშნენ და ორჯერ შეიცვალნენ პოლიტიკური და იურიდიული მომხსენებლები. ევროპის საბჭოს რამდენიმე კომიტეტი და ქვეკომიტეტი სრული შემადგენლობით ეწვია თბილისს და სოხუმს. გარდა ამისა, მომხსენებლები იყვნენ ცხინვალსა და ბათუმში. ამ სტუმრების თვალს არ გამორჩენია ჩვენი პოლიტიკურ-სამართლებრივი პეიზაჟის თითქმის არც ერთი ნიუანსი, ამიტომ პირად ფაქტორზე უფრო მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიული ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკური ნების და რეალობის დემონსტრირება. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს მიერ ყოველგვარი გარე დაწოლის გარეშე სიკვდილით დასჯის გაუქმებამ, სასამართლო რეფორმის ორიგინალურმა ქართულმა მოდელმა, განსაკუთრებით, მოსამართლეთა გამოცდებმა, იუსტიციის საბჭოს შექმნამ, ახალმა კანონმდებლობამ, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა (რომლის მიღებისთვის საქართველოში დღემდე გვიშრობენ სისხლს ჩვენი ოპონენტები), ადგილობრივმა არჩევნებმა, მომძლავრებულმა არასამთავრობო სექტორმა, განსაკუთრებით პრესის თავისუფლებამ.

უნდა აღინიშნოს, რომ არავის სჯერა, თუ რომელიმე ეს პროცესი დასრულებულია. აქ საუბარია ტენდენციაზე, თუმცა ჩემდა თავადაც კარგად ვიცი, არც ერთი ეს პროცესი შეუქცევადი არ არის და კონტრრეფორმის საფრთხე ყოველდღიურ ხასიათს ატარებს. მაგრამ ყველაზე მეტი შთაბეჭდილება შემსწავლელ მისიებზე მოახდინა თავად ქართველმა ხალხმა, მისმა კულტურამ, განწყობამ. საქართველომ ამჟამინდელ მსურველთაგან ყველაზე ბოლომ შეიტანა გაწევრიანების მოთხოვნა. ორწლიანი პროცედურების შემდეგ ჩვენ პირველები მიგვიღეს. ძალზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჩვენ მიგვიღეს სომხეთზე ადრე, მაშინ, როცა სომხეთის ლობი ძალზე ძლიერია რამდენიმე წამყვან ევროპულ ქვეყანაში და ეს ლობი ინტენსიურად ითხოვდა ან სომხეთის პირველად მიღებას ან სომხეთის მიღებამდე სხვა კავკასიური ქვეყნების არმიღებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებში შედის სომხეთისა და აზერბაიჯანის სწრაფი მიღება, თუმცა ეს რეალურად შეიძლება კიდევ ხანგრძლივი დროით გადაიდოს.

შემდგომი ეტაპები

ევროპის საბჭოში მიღება თავისებური პასპორტია ევროპულ სახელმწიფოდ გახდომის. ამას ჩვენთვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბელგიის ან ჩეხეთისთვის. საქართველოსთვის ეს არის ისტორიული სამართლიანობის აღდგენის დასაწყისი. ევროპის საბჭოს წევრობა ევროპაში ინტეგრირებისაკენ გადადგმული მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ჩვენ წელსვე უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება ევროპის კავშირის ასოცირებულ წევრობაზე. მე სტრასბურგში ბრიუსელიდან ჩამოვედი, სადაც შევქმენით ევროპარლამენტის და საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი ჯგუფი. სავსებით რეალურად მიმაჩნია 5-6 წელიწადში ამ ორგანიზაციის სრული წევრობა. ჩვენ აქვე უნდა გავაგრძელოთ ჩრდილოატლანტიკური უსაფრთხოების სტრუქტურებში ბევრად უფრო სწრაფი ინტეგრირება. კოსოვოს მოვლენების ფონზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ამ სტრუქტურებისაგან დისტანცირება დღეს დაუშვებელია.

რამდენიმე მითი ევროპაზე, ანუ ფრთხილად, არ მოვტყუვდეთ!

მითი № 1: საქართველო არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება ევროპა

ეს აზრი წინასწარ განზრახული სიცრუეა ან ყველაზე მცირე – უმეცრება. საქართველო არის ერთ-ერთი უძველესი ევროპული სახელმწიფო. ჩვენთან ბევრი პროცესი სხვა ევროპული სახელმწიფოების პარალელურად ან ზოგჯერ უფრო ადრეც ვითარდებოდა. ეს ეხება ქრისტიანობის მიღებას, ასევე ერთ-ერთ უმთავრესს, რაც განასხვავებდა ევროპას აღმოსავლეთისაგან – კერძო საკუთრების ინსტიტუტს, რომელიც საქართველოში ძალიან ადრე დამკვიდრდა. ჩვენში ჯერ კიდევ ინგლისის მაგნა ქარტიის მიღებამდე არსებობდა აბსოლუტიზმის ინსტიტუციური შეზღუდვის ტრადიცია. საქართველოში ევროპაზე ადრე დაიწყო კულტურული რენესანსი. ქალთა უფლებების საკანონმდებლო დაცვის კუთხით ვახტანგ VI კოდექსი თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული ნიმუში იყო. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

რაც შეეხება იმას, რომ საქართველო ვერასდროს გახდება ევროპა, ჩვენ ვართ და ყოველთვის ვიყავით ევროპული ქვეყანა. ჩვენ ვერასდროს გავხდებით და არც არის საჭირო რომ გავხდეთ ჰოლანდია, გერმანია ან ნორვეგია. ჩვენი სიძლიერე ჩვენს უნიკალურობაშია. მაგრამ ჩვენი ხალხის ცხოვრების დონე უნდა მიუახლოვდეს ჰოლანდიელების, გერმანელების და სხვა განვითარებული ქვეყნების მოქალაქეთა ცხოვრების დონეს, ჩვენ უნდა გვქონდეს ისეთივე ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, შეიარაღებული ძალები.

მითი № 2: ევროპაში ინტეგრაცია დააკნინებს ჩვენს ეროვნულ შეგნებას, მოსპობს ჩვენს თვითმყოფადობას

პირიქით, ევროპა ეფუძნება ძლიერ ეროვნულ სახელმწიფოებს. ეს ქვეყნები გაერთიანდნენ სწორედ მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ სწორედ გაერთიანება გააძლიერებდა თითოეულ მათგანს და ერთად უფრო შეეძლებოდათ თუნდაც მომძლავრებული ამერიკული მასკულტურის გავლენის შეჩერება. ინფორმაციის სწრაფი გაცვლის საუკუნეში ცალკე ყოფნა ან რუსეთის ორბიტაზე დარჩენა ვერანაირად ვერ შეაკავებს ჩვენში ამ მასკულტურას. მხოლოდ ძლიერი ქართული სახელმწიფო შეძლებს სათანადო დონეზე ენის და კულტურის განვითარებისთვის ზრუნვას, შექმნის საკუთარ ძლიერ საინფორმაციო საშუალებებს, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევენ ამერიკული ან სხვა მასკულტურის უკონტროლო შემოჭრას.

მითი № 3: დასავლეთთან, მათ შორის ევროპასთან დაახლოების შემთხვევაში მოხდება საქართველოს ახალი კოლონიზაცია. უბრალოდ, ამ შემთხვევაში რუსეთს შეცვლის დასავლეთი, ყველაფერს ხელში ჩაიგდებენ უცხოელები და ა. შ.

განსხვავებით რუსეთის დღევანდელი იმპერიული დოქტრინისაგან, რომელიც ეფუძნება სუსტი საქართველოს იდეას და რუსეთის მიერ კონტროლირებად ქაოსს, გაერთიანებული ევროპისათვის ნაკლებად მიმზიდველია სუსტი საქართველო. მხოლოდ საკუთარ ფეხზე მყარად მდგომი ქვეყანა შეიძლება იყოს საიმედო პარტნიორი. ერთიანი ევროპის კონცეფცია ემყარება არა ერთმანეთის დასუსტებას და ჩაძირვას, არამედ გაძლიერებას და ურთიერთდახმარებას. ამის კარგი მაგალითია ესპანეთი. ფრანკოს დიქტატურის შემდეგ ეს იყო ერთ-ერთი სუსტი და ჩამორჩენილი ქვეყანა და რამდენიმე წელიწადში იქცა განვითარების ყველაზე დინამიკური ტემპის მქონე დემოკრატიულ სახელმწიფოდ. ყველაზე ახალი მაგალითები თუნდაც ჩეხეთი და ესტონეთია, რომელთაც დეკომუნიზაციის შემდეგ მიაღწიეს უპრეცედენტო ეკონომიკურ კეთილდღეობას და პოლიტიკურ სტაბილურობას. (ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათ უარი თქვეს ახალი ვალების აღებაზე და დაიწყეს ძველი ვალების გადახდა).

რა უნდა ვისწავლოთ

ევროპის სიძლიერე მის მრავალფეროვნებაშია – მისი შემადგენელი სახელმწიფოები ერთმანეთს არ გვანან და ამავე დროს ავსებენ, ქმნიან ჰარმონიულ სურათს. და მაინც, არის უმნიშვნელოვანესი ღირებულებები, რომლებიც აერთიანებს ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებს. ვფიქრობ, ამ ღირებულებათა სრულ გათავისებამდე ჩვენ კიდევ ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოგვიწევს. უპირველესი ღირებულება არის ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა, კანონის უზენაესობის დამკვიდრება. გასულმა წლებმა ნათლად დაგვანახა, რომ თუნდაც ყველაზე რეფორმისტული კანონების მიღება თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, საჭიროა სოციალური მენტალიტეტის ძირეული შეცვლა. ასე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ დემოკრატია სულაც არ ნიშნავს უმრავლესობის ნების შეუზღუდავ განხორციელებას. დემოკრატიის ასეთივე ატრიბუტია ნებისმიერი უმრავლესობის შეზღუდვა, უმცირესობის უფლებების დაცვა.

მეორე უმთავრესი დაბრკოლება არის ჩვენში სახელმწიფოებრივი აზროვნების სისუსტე. აუცილებელია, მივხვდეთ, რომ ადამიანებს შორის სოლიდარობა საჭიროა არა მხოლოდ ოჯახის, სამეზობლოს ან პარტიის ფარგლებში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს დონეზე. საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატი კერძო ინტერესზე არის ის, რაც ყველაზე მეტად აკლია დღევანდელ საქართველოს. მე თვითონ არაერთხელ ვყოფილვარ იმის მომსწრე, თუ როგორ ამბობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი უარს საზოგადო, სახელმწიფო ინტერესის დაცვაზე იმის შიშით, რომ კონკრეტული ადამიანი მტრად არ მოეკიდებინათ, ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფო ინტერესი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად აბსტრაქტული ცნებაა, ხოლო კლანური ან ჯგუფური ლოიალურობა – სრულიად კონკრეტული. ამიტომ არ ვიხდით გადასახადებს, ვერ ვქმნით ძლიერ არმიას, არაკორუმპირებულ სახელმწიფო აპარატს. ამ მენტალიტეტის ხერხემლის გატეხვისათვის აუცილებელია ხელისუფლებაში მყოფი თუნდაც ერთი ნაწილის თავგანწირული მოქმედება. საზოგადოებისთვის მაგალითის მიცემა და რწმენის ოდნავ მაინც დაბრუნება. სახელმწიფოებრივი აზროვნების სისუსტის კიდევ ერთი მახინჯი გამოხატულება ჩვენში არის ის, რაშიც თავის დროზე ესპანეთს აღანაშაულებდა კულტუროლოგი ხოსე ორტეგა. ორტეგა თვლიდა, რომ ესპანეთი ევროპისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ ევროპელი ერები თავიანთ რიგებში გამოარჩევდნენ საუკეთესოებს და მათ მიჰყვებოდნენ. ხოლო ესპანელები ებრძოდნენ საკუთარ საუკეთესო ნაწილს. განა ჩვენ იგივე არ გვჭირს? განა ჩვენ არ ვკორტნით, არ ვუსპობთ გასაქანს, არ ვუთხრით ძირს ჩვენში ყველაზე ნიჭიერს და ძლიერს?! ეს სინდრომი ესპანეთმა გადალახა. ჩვენც თუ უარს ვიტყვით პირადულ მოტივებზე და ყველაფერს საზოგადოებრივი სარგებლობის კუთხით დავინახავთ, აუცილებლად მოვახერხებთ ჩვენი ერის ჭეშმარიტი ელიტის დაფასებას უკვე სიცოცხლეშივე.

ბოლო თვეებში კიდევ ახალმა – უკვე მეგონა, მივიწყებულმა – საფრთხემ – ტრაიბალიზმმა წამოჰყო თავი. ის მახინჯი მოტივები, რომელიც თან სდევდა – პირადობის მოწმობაში ეთნიკური წარმომობის ჩაწერა-არჩაწერას, კუთხური გარჩევები და სპეკულაციები საზოგადო მოღვაწეთა ეთნო-გენეტიკურ წარსულის თემაზე, ყველაფერი ეს თანდათან გამოიკვეთა ქართული სახელმწიფოებრიობისადმი ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ – მცდელობად, დავყოთ ჩვენი მოქალაქეები პირველ და მეორეხარისხოვნებად, რაც ფუჭი და დამღუპველია. ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ერთადერთი გზა არის უმცირესობათა წარმომადგენლობისათვის იმის გათავისება, რომ მათი პირადი ბედნიერება უკავშირდება საქართველოს, როგორც პირველ რიგში, ქართველი ერის ეროვნული სახელმწიფოს სიძლიერეს და მის მომავალს. სხვა თუ არაფერი, ჩვენს ისტორიაში ასეთი მიდგომის მინიმუმ ერთი წარმატებული მაგალითი მაინც მოგვეპოვება – დავით აღმაშენებლის საქართველოს სახით.

რას მოველით ხვალინდელი დღისაგან

27 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის, ევროსაბჭოს გენერალური მდივნის, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის, ჩვენი დელეგაციის მონაწილე[illegible] ევროპის სახლის წინ ა[illegible]ბა საქართველოს ეროვნული დროშა. ჩემთვის, საქართველოს დელეგაციის წევრისათვის და, უბრალოდ, ერთ-ერთი ქართველისათვის ეს არის წლების ოცნების ახდენა. მაგრამ რა მოვლენაა ეს საქართველოსთვის? წელიწად-ნახევრის წინ მე „რეზონანსში“ გამოვაქვეყნე სტატია სათაურით: „შემდეგი გაჩერება – სტრასბურგი“. ჩვენ უკვე მივაღწიეთ დანიშნულების ადგილს და მე თანდათან ვხვდები, რომ ეს ჩემი ქვეყნისათვის გაჩერება კი არა, ახალი გზის დასაწყისია.

რას უნდა მოველოდოთ ჩვენ ამ გზაზე? უპირველესი გახლავთ ის, რომ ჩვენ აღარასოდეს მიგვატოვებენ მარტოდმარტო ჩვენი პრობლემების პირისპირ. ევროპის საბჭოში შესვლით ჩვენ ვიძენთ ახალ მნიშვნელოვან ტრიბუნას და ევროპული ქვეყნების საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების პირდაპირ ბერკეტს. ჩვენ ვიძენთ ახალ მოკავშირეებს. ევროპული სახელმწიფოებრიობა ნიშნავს, რომ ჩვენი ტკივილი ბევრად უფრო გასაგები გახდება ევროპელი ხალხებისათვის, რაც ნიშნავს უსაფრთხოების უფრო მაღალ დონეს. ევროპაში პოლიტიკური ინტეგრაცია ნიშნავს ასევე ახალი ეკონომიკური პერსპექტივის გახსნას. და მაინც, ევროპის ნაწილად დამკვიდრება – ეს არ არის თვითმიზანი, იგი არის მხოლოდ საშუალება, დავმკვიდრდეთ როგორც ერის, როგორც სახელმწიფო ევროპულ სივრცეში. გადადგმული ყველა ნაბიჯი უნდა აიწონოს – იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად წაადგება იგი საქართველოს გაძლიერებას. მხოლოდ ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა გაამართლებს ჩვენს დიპლომატიურ კურსს და მხოლოდ სიძლიერე მოგვიპოვებს სხვათა პატივისცემას. ინტეგრაციას მაშინ აქვს აზრი, თუ ის ემყარება ეროვნული ინტერესების უზენაესობას. ამ ინტერესების გათავისებას და დაცვას კი ჩვენ მხოლოდ ახლა ვსწავლობთ, ამგვარად ხვალინდელი დღის ბედნიერად გათენება ისევ ჩვენს ხელთაა და ეს ასეც იქნება, თუ მოთმინებას, სულგრძელობას და სიმტკიცეს გამოვიჩენთ.

მიხეილ სააკაშვილი.

შეხვედრა

სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად

26 აპრილს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ თედო ისაკაძემ თათბირი გამართა მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის სფეროში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

სოციალური მდგომარეობა კი, როგორც ცნობილია, ქვეყანაში უმძიმესია. გაუცემელი ხელფასები და პენსიები ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. თანდათან იზრდება უპოვართა და სოციალურად დაუცველთა ფენა.

შეხვედრაზე მოწვეულმა საქართველოს სოცუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორმა ოთარ ხუფენიამ ისაუბრა პენსიონერთა საკითხზე და აღნიშნა, რომ ისინი დროულად ვერ იღებენ პენსიებს. ამასთან, მათ ისედაც მცირე თანხიდან ელექტროენერგიის გადასახადი უკავდებათ 1 ლარისა და 80 თეთრის ოდენობით, რაც უკანონოა და აუცილებლად უნდა გაუქმდეს. მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული აღწერის შედეგად პენსიონერთა რაოდენობა 50 470 ათასით შემცირდა. აღმოჩნდა რომ 4000-ზე მეტი მომუშავე პენსიონერი პენსიას ვერ ღებულობდა. ამჟამად ქვეყანაში მხოლოდ თბილისი და სამი რაიონია სათანადოდ აღჭურვილი, რაც ართულებს საერთო რეგისტრაციას. ამიტომ აუცილებელია სისტემის კომპიუტერებით უზრუნველყოფა. აქვე ბატონმა ო. ხუფენიამ დასძინა, რომ ისინი კარგა ხანია თანამშრომლობენ გერმანელ კოლეგებთან, რომლებიც ფონდისთვის 200 კომპიუტერს მალე საჩუქრად გამოაგზავნიან და გერმანიაში ქართველ სპეციალისტთა მომზადებასაც ჰპირდებიან.

როგორც ცნობილია, აქამდე პენსიაში გასასვლელად მოქალაქეს აუცილებლად სჭირდებოდა შრომის სტაჟი. ბატონი ოთარის თქმით, ალბათ, შრომის წიგნაკს მალე ყავლი გაუვა და მის სანაცვლოდ შემოვა ცნება „სადაზღვევო სტაჟის“ შესახებ, როგორც ეს მოწინავე ქვეყნებშია მიღებული. მალე საქართველოშიც თითოეულ დასაქმებულ ადამიანს ექნება პირობითი ანგარიში, ე. ი. თითოეული მათგანი იქნება აყვანილი პერსონიფიცირებულ აღრიცხვაზე, სადაზღვევო შენატანი კი შემდგომში მას უფლებას მისცემს მიიღოს პენსია.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა სოციალური გადასახადებისა და სხვა შენატანების გადახდაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის თავმჯდომარე მერაბ თორია, რომელმაც აღნიშნა, თუ რა პრობლემები აქვთ გადამხდელებთან ურთიერთობისას, როგორ ბალანსდება მიმდინარე წელი, როგორ სრულდება მობილიზაციის გეგმა თუ ნარჩენების დაგეგმვა...

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა ნახუცრიშვილი, რომელმაც ისაუბრა ფინანსურ პრობლემებზე. აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან ყოველი თვის განმავლობაში ხდება ხელფასების გაცემა, მაინც უმთავრესად გაიცემა დაგვიანებული, წინა წლის ხელფასები და დავალიანებები.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალურ სფეროს ხელშეწყობის განყოფილების უფროსმა დაზმირ ჯოჯუამ თავის სიტყვაში წინა პლანზე წამოსწია დევნილთა სოციალური პრობლემები.

დასასრულს ბატონმა თედო ისაკაძემ დასძინა, რომ წესრიგი და სიმკაცრეა საჭირო აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად. ამ მიზნით მისივე ხელმძღვანელობით შეიქმნა საკოორდინაციო რგოლი, რომელიც თვეში ორჯერ მოისმენს ინფორმაციებს შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ლია ჭიღლაძე

სამართალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ იაკობ ფუტკარაძის (თავმჯდომარე), ოთარ ბენიძის, ნიკოლოზ შაშკინისა და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის შემადგენლობით განმწესრიგებელ სხდომაზე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხი. დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს „დოსააფის" საქმიანობის შეწყვეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 13 თებერვლის №91 დადგენილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

სასამართლო კოლეგიის განჩინებაში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება შემოტანილია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-20 მუხლის პირველ პუნქტსა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით.

კონსტიტუციური წარდგინების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოში ზედამხედველობის წესით შესამოწმებლად შეტანილია საქართველოს პატრიოტული სპორტულ-ტექნიკური საზოგადოების (ამჟამად რეგისტრირებული „საქართველოს სამხედრო ძალთა აღმშენებლობის ხელშემწყობი პატრიოტული სპორტულ-ტექნიკური კავშირის") „დიდგორის" „სარჩელი თავდაცვის სამინისტროს მიმართ ქონების დაბრუნების თაობაზე". „დიდგორის" სარჩელი 1998 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლომ. ეს გადაწყვეტილება 1998 წლის 24 აპრილის განჩინებით უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ „იმის გამო, რომ მოქმედია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 13 თებერვლის №91 დადგენილება საქართველოს დოსააფის საქმიანობის შეწყვეტის და მისი უძრავ-მოძრავი ქონების საქართველოს ეროვნული გვარდიისათვის გადაცემის შესახებ".

კონსტიტუციური წარდგინების თანახმად, მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება „თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის I პუნქტს, რომლითაც საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია, მისი მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება დაუშვებელია". წარდგინების ავტორი მოითხოვს განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 13 თებერვლის №91 დადგენილების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ გამოარკვია, რომ კონსტიტუციურ წარდგინებაში დაცული არ არის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს: „თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს".

აქედან, კერძოდ, ჩანს, რომ: 1) კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება მაშინ, როცა საქმე განიხილება შესაბამის სასამართლოში; 2) კონსტიტუციური წარდგინება უნდა შეიტანოს სასამართლომ: 3) კონსტიტუციური წარდგინების შეტანისას სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა.

ორგანული კანონის ეს იმპერატიული მოთხოვნები სრულიად უგულებელყოფილია საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანილ წარდგინებაში.

1. კონსტიტუციური წარდგინება შემოტანილია ისე, რომ შესაბამის სასამართლოში არ დაწყებულა საქმის განხილვა. საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე შეტანილია საჩივარი ზედამხედველობის წესით ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 24 აპრილის განჩინებაზე, მაგრამ არ არის შედგენილი პროტესტი, არაა იგი შეტანილი შესაბამის სასამართლოში და, ცხადია, არც საქმის განხილვა არ არის დაწყებული.

2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, კონსტიტუციური წარდგინების ავტორი უნდა იყოს სასამართლო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კი კონსტიტუციური წარდგინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. გაბუნიამ მიმართა. ამით აშკარად უგულებელყოფილია, აგრეთვე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 42-ე მუხლის დებულება, რომ „ამ კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლება აქვს საქმის განმხილველ სასამართლოს". ამჟამად მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 335-ე მუხლის ძალით, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო, რომელსაც ექვემდებარება პროტესტის განხილვა ზედამხედველობის წესით, არის თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი და სწორედ მას — ამ კოლეგიურ ორგანოს და არა ერთპიროვნულად მოსამართლეს უნდა შეეტანა კონსტიტუციური წარდგინება. ამგვარად, კონსტიტუციური წარდგინება არ არის შემოტანილი უფლებამოსილი სუბიექტის მიერ.

3. კანონის მიხედვით, სასამართლო „...შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს". საქმის განხილვის შეჩერება, ცხადია, გამორიცხულია იმ პირობებში, როცა განხილვა არ დაწყებულა. კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესრულების (საქმის განხილვის შეჩერების) დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად კონსტიტუციურ წარდგინებას თან ერთვის „ცნობა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ" („თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა... შეჩერებულია საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღებამდე"), რომელსაც ხელს აწერს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ა. კალმახელიძე, ამის გათვალისწინებით, არასწორად არის კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული, რომ „საქმე შეჩერებულია საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღებამდე". მართალია, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 334-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ შესაბამისი თანამდებობის პირებს უფლება აქვთ შეაჩერონ სათანადო გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება ზედამხედველობის წესით საქმის წარმოების დამთავრებამდე, მაგრამ კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არ ითვალისწინებს ამ საფუძველით (გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებით) კონსტიტუციური წარდგინების შეტანის შესაძლებლობას.

გარდა ამისა, კონსტიტუციურ წარდგინებაში არასწორად მოიხსენიება წარდგინების შემომტანი სუბიექტი. წარდგინებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს „მოსარჩელე" ჰქვია, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად კი მას „წარდგინების ავტორი" ეწოდება.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 31-ე მუხლისა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. მასში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული „მტკიცებულებები", რომლებიც ...კონსტიტუციური წარდგინების ავტორის აზრით ადასტურებენ... კონსტიტუციური წარდგინების საფუძვლიანობას". თბილისის საქალაქო სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება კი არსებითად დაუსაბუთებელია. მასში მხოლოდ ზოგადად არის ნათქვამი, რომ სადავო დადგენილება თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს. ამასთან, აღნიშნული პუნქტი, რომელთან მიმართებითაც დასმულია სადავო აქტის კონსტიტუციურობის საკითხი, არაზუსტად არის მოყვანილი კონსტიტუციურ წარდგინებაში.

კონსტიტუციური წარდგინების მიხედვით გაურკვეველია მოთხოვნის მოცულობა. წარდგინების ავტორი მოითხოვს „განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 13 თებერვლის №91 დადგენილების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა". ამ დადგენილებით კი (1) შეწყდა საქართველოს „დოსააფის" საქმიანობა და (2) მისი ქონება გადაეცა საქართველოს ეროვნულ გვარდიას. საერთო სასამართლოში განხილული სარჩელი თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომლის გამოც საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინება შემოვიდა, ეხებოდა მხოლოდ ქონების დაბრუნების საკითხს. ამ გარემოების გათვალისწინებით გაურკვეველია — მოიცავს თუ არა მოთხოვნის არსი სადავო დადგენილების იმ ნაწილსაც, რომელიც საქართველოს „დოსააფის". საქმიანობის შეწყვეტას შეეხება.

წარდგინებაში სრულად არ არის დაცული „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის მოთხოვნა. სახელდობრ, მითითებული არ არის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 42-ე მუხლი და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, რომლებიც კონსტიტუციური წარდგინების ავტორს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლებას აძლევს.

კონსტიტუციურ წარდგინებაში თვით ამ დოკუმენტის შედგენის თარიღიც კი არ არის მითითებული.

ამგვარად, კონსტიტუციური წარდგინება არც ფორმით და არც შინაარსით არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, იხელმძღვანელა რა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტებით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-18 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებითა და 21-22 მუხლებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 39-ე და მე-40 მუხლებით,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია

ადგენს:

1. არ იქნეს მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საქართველოს „დოსააფის" საქმიანობის შეწყვეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 13 თებერვლის №91 დადგენილების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით და შეწყდეს სამართალწარმოება ამ საქმეზე;
2. ეს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
3. განჩინება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია

იაკობ ფუტკარაძე,
თავმჯდომარე;

ოთარ ბენიძე,
წევრი;

ნიკოლოზ შაშკინი,
მომხსენებელი მოსამართლე;

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი,
წევრი.

მამული

რუბრიკას უძღვება როინ მეტრეველი

საქართველოს ცნობიერების გვირგვინი

დამფუძნებელი კრების მოწვევიდან 80 წლისთავის გამო

საქართველოს ეროვნული საბჭო (პარლამენტი), რომელიც ძირითადი შემადგენლობით ეროვნულ ყრილობაზე 1917 წლის 19 ნოემბერს შეიქმნა, კონსტიტუციურად ქართველი ხალხის ნებას არ გამოხატავდა. რადგან მის მიერ პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით არჩეული არ ყოფილა. მთავრობა, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის იურიდიულ აღიარებას ესწრაფოდა, ისეთი უზენაესი სახელმწიფოებრივი ორგანოს დასტურს საჭიროებდა, რომელიც მთელი მოსახლეობის ნების გამომხატველი იქნებოდა. ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს შექმნა საგარეო ფაქტორების გარდა, საშინაო სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობითაც იყო ნაკარნახევი, ამიტომაც ჩქარობდა მთავრობა ქვეყანაში დამფუძნებელი კრების მოწვევას.

ეს საკითხი ეროვნულ პარლამენტში საგანგებოდ დააყენა ნოე რამიშვილმა. 1918 წ. 22 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა დამფუძნებელი კრების შესახებ დებულება შეიმუშავა.

დამფუძნებელი კრების შემადგენლობა 130 დეპუტატით განისაზღვრა. არჩევნები პროპორციული წესით უნდა გამართულიყო. მასში მონაწილეობის მიღება რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს შეეძლო, რომელსაც 20 წელი შეუსრულდა. შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია სოციალ-დემოკრატ ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. 1918 წლის მიწურულიდან ინტენსიური საარჩევნო სამზადისი გაჩაღდა. არჩევნების დღედ 1919 წლის 14 თებერვალი დაინიშნა.

დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის მზადება დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მას ბოიკოტი მხოლოდ ბოლშევიკურმა პარტიამ გამოუცხადა. რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტი თავის მოწოდებაში ჯარისკაცების მიმართ აღნიშნავდა, რომ მომავალი დამფუძნებელი კრება მოწოდებულია საქართველო რუსეთს მოგლიჯოს და კონტრრევოლუციური ხელისუფლება დააკანონოსო. მოწოდება ჯარისკაცთა მასებს ავალებდა ყოველმხრივ შეეშალათ ხელი არჩევნებისათვის, ჩაეშალათ იგი და ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

არჩევნები 1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალს გაიმართა. რა თქმა უნდა, იგი უნაკლო არ ყოფილა. იყო ცალკეულ დარღვევათა შემთხვევებიც, მაგრამ ეს ნაკლი მის კანონზომიერებას არსებითად არ უპირისპირდებოდა. სწორედ ამიტომ, შემდგომ კრების არც ერთ ფრაქციას არჩევნების კანონიერებასა და დამფუძნებელი კრების უფლებამოსილებაში ეჭვი არ შეუტანია. აღინიშნა, რომ ეს ნაკლოვანებები მომავალი არჩევნებისათვის გაეთვალისწინებინათ.

ხმის რაოდენობის მიხედვით, დეპუტატთა ყველაზე მეტი რაოდენობა წილად სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ხვდა. მის 109 დეპუტატს შორის იყვნენ ამ პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ირაკლი (კაკი) წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, ნოე ხომერიკი, ისიდორე რამიშვილი, რაჟდენ არსენიძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ვალიკო ჯუღელი, ვიქტორ თევზაია, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ ურატაძე, ვლასა მგელაძე, სიმონ სურგულაძე და სხვები, რომელთაც ამ პარტიაში რევოლუციური მოღვაწეობის მრავალი წლის სტაჟი გააჩნდათ და ამავე დროს დიდი საზოგადოებრივი აღიარებაც ჰქონდათ მოპოვებული.

ოპოზიციური პარტიებიდან დეპუტატების თანასწორი რაოდენობა (8-8) ჰყავდათ ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალ-ფედერალისტთა პარტიებს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან გასულ დეპუტატთა შორის იყვნენ: ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე, ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ მაჭავარიანი, ალექსანდრე ასათიანი, პეტრე სურგულაძე, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ფრაქცია წარმოდგენილი იყო შალვა ნუცუბიძის, გიორგი ლასხიშვილის, გრიგოლ რცხილაძის, სამსონ ფირცხალავას, ალექსი მესხიშვილის, იოსებ გედევანიშვილის, სიმონ მდივანის, იესე ბარათაშვილის შემადგენლობით.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან დეპუტატები გახდნენ: ლეო შენგელაია, გრიგოლ ნათაძე, ივანე გობეჩია, იოსებ გობეჩია, ილია ნუცუბიძე, დანარჩენ პარტიებს დამფუძნებელ კრებაში არც ერთი მანდატი არ ხვდათ წილად, რადგან დადგენილი მეტრის საზომზე (3424) ნაკლები ხმები ჰქონდათ მიღებული.

დამფუძნებელი კრების გახსნას მოუთმენლად მოელოდა მთელი ქართული საზოგადოებრიობა. დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა თბილისში, მთავრობის სასახლეში 1919 წლის 12 მარტს, 12 საათსა და 12 წუთზე გაიხსნა. კრების გახსნას მრავალი უცხოელი საპატიო სტუმარი ესწრებოდა. კრებას დამფუძნებელი კრების უხუცესი დეპუტატი სილიბისტრო ჯიბლაძე თავმჯდომარეობდა. მასვე შესავალი სიტყვის წარმოთქმის პატივი ხვდა წილად.

შემდეგ სილიბისტრო ჯიბლაძემ დააყენა საკითხი დამფუძნებელი კრების მუდმივი თავმჯდომარისა და მისი უფროსი ამხანაგის (მოადგილის) არჩევის შესახებ. დეპუტატმა ნოე ცინცაძემ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ხოლო მის უფროს ამხანაგად — ალექსანდრე ლომთათიძე დაასახელა. ორივე სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო და ცნობილი მოღვაწეები იყვნენ და ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ამიტომაც დასახელებულ კანდიდატებს დავა არ გამოუწვევიათ. კრებამ ღია კენჭისყრით ორივე ერთხმად აირჩია. ამის შემდეგ ტრიბუნაზე დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ლომთათიძე ავიდა. მის გამოსვლაში პარლამენტის სამოქმედო პროგრამა აისახა.

იგი აღნიშნავდა: „მოქალაქენო, ჩვენ გვინდა ერთი რამ, ნურავინ შეგვიშლის ხელს ამ მუშაობის დროს, ჩვენ გვინდა განვაცხადოთ აქედან და გვსურს, რომ ეს ჩვენი განცხადება ისმინოს მთელმა კაცობრიობამ და სათანადო ანგარიში გაუწიოს მას: ჩვენ გვინდა აზია დავტოვოთ, ევროპის საერთო ხალხთა ოჯახში შევიდეთ, და ჩვენი ძალით და სხვის დახმარებითაც, თუ ეს დახმარება ვინმესგან გველირსება, გავხდეთ სრულუფლებიანი წევრი ევროპიულ ხალხებთან, ევროპიულ დემოკრატთა და მათ სახელმწიფოთა საერთო ოჯახისა"...

დამფუძნებელი კრების ამ სხდომის დროს წესრიგში კიდევ იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. დამფუძნებელ კრებას საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი უნდა დაემტკიცებინა.

ალექსანდრე ლომთათიძე კითხულობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელსაც დეპუტატები ფეხზე ადგომით ისმენენ და ტაშის გრიალით იღებენ ისტორიულ დადგენილებას: „საქართველოს დამფუძნებელი კრება, არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარეს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5-ს და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

დადგენილების გამოცხადების შემდეგ აქტს დამფუძნებელი კრების დამსწრე ყველა დეპუტატმა მოაწერა ხელი.

დამფუძნებელი კრების მეორე სხდომაზე, რომელიც 1919 წ. 14 მარტს შედგა, აირჩიეს მისი პრეზიდიუმი. კრებამ მოისმინა მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას განცხადება, რომელიც იმ საქმიანობის მოკლე ანგარიშს შეიცავდა, რასაც მთავრობა 1918 წ. 26 მაისიდან ეწეოდა. „პარლამენტის მთავრობა მიდის და ადგილს უთმობს დამფუძნებელი კრების მთავრობას — აცხადებდა ნოე ჟორდანია. კრებამ მიიღო დადგენილება: „შეწყნარებულ იქნას განცხადება მთავრობისა და გადადგომის შესახებ და დაეკისროს იმავე მთავრობას განაგრძოს რესპუბლიკის საქმეთა მართვა ახალი მთავრობის შედგენამდე".

იმავე კრებაზე დადგა ახალი მთავრობის შედგენის საკითხი, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა წინადადება: „რესპუბლიკის მთავრობის შესადგენად დამფუძნებელი კრება ორჯერ ირჩევს ერთ პირს, რომელიც იქნება მთავრობის თავმჯდომარე. მთავრობის თავმჯდომარე ამავე დროს არის უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა. ოპოზიციურმა ფრაქციებმა მოითხოვეს უმაღლესი წარმომადგენლობის რწმუნებისაგან დამფუძნებელ კრებას დროებით თავი შეეკავებინა, მაგრამ კრებამ ამ მოსაზრებას ხმის უმრავლესობით მხარი არ დაუჭირა. დეპუტატმა რაჟდენ არსენიძემ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით მთავრობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია დაასახელა. ეს წინადადება ერთხმად მიიღეს.

იმავე სხდომაზე დამფუძნებელი კრების გახსნის გამო, წაიკითხეს მისალოცი დეპეშები აზერბაიჯანის პარლამენტისაგან, სომხეთის მთავრობისა და ეროვნული საბჭოსაგან, საქართველოს მაჰმადიანთა, გერმანელთა, ებრაელთა საბჭოებისაგან.

დამფუძნებელი კრების მესამე სხდომაზე (18 მარტს) დამფუძნებელი კრების წევრ ნოე ჟორდანიას რესპუბლიკის მთავრობის შედგენა დაევალა. ამავე დროს აირჩიეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრები: ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ მდივანი, ქრისტინე შარაშიძე, ამავე დღეს შეიქმნა სარეგლამენტო, საკონსტიტუციო, საბიუჯეტო-საფინანსო და სარედაქციო კომისიები.

განსაკუთრებით საინტერესოა დამფუძნებელი კრების IV და V სხდომები, რომლებიც ფრაქციათა პროგრამების განხილვას მიეძღვნა.

1919 წლის 21 მარტს — დამფუძნებელი კრების მეოთხე სხდომაზე, მთავრობის მომავალი სამოქმედო პროგრამის შესახებ მოხსენებით ნოე ჟორდანია წარდგა. მეხუთე სხდომაზე კი თავიანთი პროგრამებით სოციალისტ-ფედერალისტების (მომხს. შალვა ალექსი-მესხიშვილი), ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის (მომხს. სპირიდონ კედია), სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის (მომხს. ლეო შენგელაია) წარმომადგენლები გამოვიდნენ. მათს გამოსვლებში მკაცრად იყო გაკრიტიკებული მთავრობის წარსული საქმიანობა და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ზოგიერთი საპროგრამო დებულებანი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სპირიდონ კედიას სიტყვა, რომელშიც სოციალ-დემოკრატიული მთავრობის კურსის მწვავე კრიტიკაა მოცემული. მიუხედავად ასეთი კრიტიკული დამოკიდებულებისა, როდესაც საქმე საქართველოს დამოუკიდებლობას ეხება, ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერი მთავრობისადმი აბსოლუტურ ლოიალობას იჩენს: „მაგრამ არის ერთი საკითხი, გარდაუვალად ყველასათვის სავალდებულო საკითხი, უზენაესი სავალდებულო კატეგორია — ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი. ამ საკითხში ყველა მთავრობასთან ვიქნებით ყოველ გასაჭირის დროს".

დამფუძნებელი კრების ამავე სხდომაზე თავიანთი დეკლარაციებით გამოვიდნენ სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიები.

დამფუძნებელი კრების ფრაქციათა საპროგრამო გამოსვლებიდან და დეკლარაციებიდან ჩანს, რომ, საკანონმდებლო ორგანოში მთავრობის კურსთან უკომპრომისო ოპოზიციაში მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო, რომელიც მმართველი პარტიის მიერ არჩეულ კურსს — სოციალიზმის მშენებლობას უარყოფდა და მოითხოვდა, რომ საქართველოს მომავალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გზით წარმართულიყო. მთავრობას ოპოზიციაში ედგნენ სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიებიც, მაგრამ მათი დამოკიდებულება მთავრობის კურსისადმი არ იყო ისეთი ნეგატიური, როგორც ეროვნულ-დემოკრატებისა და უპირატესად საშინაო და საგარეო პოლიტიკის ტაქტიკურ პრობლემებს შეეხებოდა. დამფუძნებელი კრების საქმიანობის შემდგომი განხილვა ცხადყოფს, რომ არც მმართველ, არც ოპოზიციურ პარტიებს თავიდანვე აღებული გეზი არ შეუცვლიათ და დამფუძნებელი კრების სხდომები ბოლომდე ცხოველი კამათის, აზრთა შეჯახების ასპარეზს წარმოადგენდა, თუმცა იგი ზომიერების ფარგლებს არასოდეს არ გასცდენია და მაღალი პოლიტიკური კულტურით ხასიათდებოდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ორგანო, არჩევის დღიდანვე შეუდგა ქვეყანაში დემოკრატიული წყობილების დადგინების, სტაბილიზაციისა და სახელმწიფოებრივ საქმეთა მოგვარებას. მის მიერ შემუშავებული კანონები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული და კულტურული ცხოვრების ყველა მხარეს შეეხებოდა და ფართო დემოკრატიზმის, სოციალური სამართლიანობის, ეროვნული თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. დამფუძნებელმა კრებამ თავისი არსებობის განმავლობაში დაახლოებით 126 კანონი მიიღო.

საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონები: რესპუბლიკის მოქალაქეობის, ადგილობრივ ორგანოთა არჩევნების, ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის, აგრარული, სასამართლო ორგანიზაციის, ეროვნულ უმცირესობათა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის, სახალხო განათლების ორგანოების გაეროვნულების შესახებ, აგრეთვე, კანონები და დებულებანი, რომლებიც ფულისა და კრედიტების, საქართველოს რკინიგზის, ვაჭრობა-მრეწველობის ორგანიზაციის და სხვა საკითხებს შეეხებოდა.

უმნიშვნელოვანეს კანონთა რიგიდან უპირველესად ყურადსაღებია კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 27 მაისს მიიღო, რითაც გააუქმა საქართველოს პარლამენტის მიერ 1918 წლის 16 ივლისს მიღებული დადგენილება მოქალაქეობის შესახებ.

ახალი კანონი აწესებდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ. სტილით). საქართველოს მოქალაქეობის დასადგენად 1914 წლის 19 ივლისი (ახალი სტილით 2 აგვისტო) სავსებით კანონზომიერ მიჯნად იყო მიჩნეული. ომმა, რომელშიც უნებლიეთ, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი, საქართველოც მონაწილეობდა, არსებითი ცვლილებები შეიტანა მისი მოსახლეობის სტაბილურობაში. საქართველო თურქეთთან ომის ასპარეზს წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობის გაძლიერებული ემიგრაცია-მიგრაცია, ამასთან უცხო ეთნიკური მოსახლეობის მომრავლების პროცესი მიმდინარეობდა. საკმარისია გავიხსენოთ თურქეთში სომხური მოსახლეობის გენოციდი, რასაც შედეგად საქართველოში სომეხთა მასობრივი ლტოლვილობა მოჰყვა. ამ კანონით რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, თუ პირველ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წლის იანვრის პირველიდან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის განმავლობაში დღიდან კანონის გამოქვეყნებისა, განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ მე-4 მუხლში აღნიშნული წესით. [illegible] წესით კი მოქალაქეობის უფლებას ადგილობრივი სასამართლო დაადასტურებდა, თუ მოქალაქეობის მიღების მსურველს გააჩნდა რაიმე უძრავი ქონება საქართველოში, ან თავისი საქირავო შრომით ირჩენდა თავს, და ან, არანაკლებ სამი წლისა, ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე. კანონით საქართველოს მოქალაქედ ითვლებოდა არა მარტო კანონიერი შვილი საქართველოს მოქალაქისა, არამედ ქორწინების გარეშე შობილნი საქართველოს მოქალაქე დედისაგან, ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა, კანონიერი წესით შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქის მიერ, უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქის ქალი, რომელიც დაქვრივების, ან განქორწინების შემდეგ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობის სურვილს, უცხოელთა უწლოვანი შვილი ქორწინებაში თუ მის გარეშე შობილი, იმ დღიდან, როცა მისი მშობლები მიიღებდნენ საქართველოს მოქალაქეობას. ნებადართული იყო საქართველოს მოქალაქეობის უფლების მოპოვება ნატურალიზაციით.

კანონი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობას უკრძალავდა. ამასთან გამოცხადდა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში პოლიტიკური უფლებებით მხოლოდ მისი მოქალაქე არის აღჭურვილი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქალაქეობის კანონი არავითარ ეროვნულ დისკრიმინაციას არ გულისხმობდა. იგი საქართველოში მკვიდრად მცხოვრებ ყველა ეროვნების მოქალაქეს თანასწორუფლებიანად აღიარებდა და მათ რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის გზას უხსნიდა.

ქვეყნის შეიარაღებული ძალების მშენებლობა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, როგორც საქართველოს პარლამენტის, ისე შემდეგში საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმიანობაში ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლებოდა. დამფუძნებელი კრება თავისი მწირი შესაძლებლობის პირობებში შეიარაღებული ძალების შემდგომი სრულყოფისათვის სახსრებს ნამდვილად არ იშურებდა.

პაატა სურგულაძე,
საქართველოს პარლამენტის მუდმივი წარმომადგენელი დსთ საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

(დასასრული იქნება).

პარტიებსა და მოძრაობებში

თუ არ ვიაქტიურებთ, 2000 წლისათვის ქვეყანაში მრეწველობა აღარ იარსებებს

თბილისის ყოფილი საქარხნო, ამჟამად კი სამგორისა და ისნის რაიონებში დღეისათვის იქ არსებული ქარხნების მხოლოდ 5 პროცენტი მუშაობს. ნიშანდობლივია, რომ პირველად სწორედ ამ რაიონებში, რომელთა მოსახლეობა დაუსაქმებელია, მოხდა პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბება.

საქართველოში თავის დროზე მრეწველობაში 600 ათასი კაცი იყო დასაქმებული, რომლის 95 პროცენტი დღეს ბაზრობებზე ვაჭრობით ირჩენს თავს. სახელმწიფოს კი მრეწველობის განვითარების სტრატეგიაც არ აქვს.

მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" უმთავრეს მიზანს სწორედ მრეწველობის განვითარება წარმოადგენს, რაც თავის მხრივ დაასაქმებს მოსახლეობას და ხელს შეუწყობს სახელმწიფოში საშუალო ფენის შექმნას.

მრეწველობის განვითარების გარდა, ჩვენს მოძრაობას სხვა ამბიცია არ აქვს. თუ არ გამოვიჩენთ აქტიურობას, 2000 წლისათვის საქართველო გახდება სამომხმარებლო ქვეყანა და მრეწველობა აღარ იარსებებს — განაცხადა მოძრაობის თავმჯდომარემ გოგი თოფაძემ პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბების დროს და დასძინა, რომ სახელმწიფო, სადაც პარალიზებული იქნება წარმოება, განწირულია მათხოვრული არსებობისთვის.

სწორედ ამ პრობლემების მოგვარების მიზნით ერთიანდებიან მრეწველები, რომელთაც თანადგომას თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები უცხადებენ.

პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" პრესსამსახური.

ალმოჩენა

ქართველი მეცნიერი-მედიკოსი იური მალაშხია ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატია

(პირველი გვერდიდან)

— ბატონო იური, ამბობენ, რომ ყოველი უდიდესი აღმოჩენა, თავისი არსით, ძალიან მარტივია. შეგიძლიათ თქვენი აღმოჩენის შესახებ მარტივად და გასაგებად გვიამბოთ?

— ვეცდები. საქმე ის გახლავთ, რომ 1970-იან წლებამდე მეცნიერებაში გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ თავის ტვინი შემოსაზღვრულია დამცველი ბარიერით და იმუნიტეტის უჯრედები ტვინში არ ფუნქციონირებენ.

მაგრამ ჩვენს მიერ (იური მალაშხია, ლია რაგიანი, მაყვალა გელაძე, ნანა დუგლაძე, ზურაბ ნადარეიშვილი, რევაზ ლუკავა, ნატო ჭანტურია) თავზურგტვინის სითხის ლუმინესცენტური მიკროსკოპის საშუალებით ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა მეცნიერებაში გაბატონებული აზრის სრულიად საწინააღმდეგო მონაცემები: თავზურგტვინის სითხეში აღმოჩენილ იქნა ტვინის დამცველი, იმუნიტეტის უჯრედები, რომლებიც ტვინს იცავენ ინფექციებისა და სიმსივნეების განვითარებისაგან. დადგინდა თვითონ ტვინის უჯრედების (მიკროგლიის, ასტროციტების და სხვა ნეიროგლიის უჯრედების) იმუნოლოგიური ფუნქცია და ტვინში დამცველი იმუნოლოგიური ბარიერის არსებობა.

— მეცნიერებაში დამკვიდრებული და დაკანონებული აზრის წინააღმდეგ გამოსვლას დიდი ვაჟკაცობა სჭირდება. მით უმეტეს სჭირდებოდა მაშინ, 70-იანი წლების საბჭოთა კავშირში.

— ნეიროიმუნოლოგიაში მუშაობა ჩვენ 1975 წლიდან დავიწყეთ. ჩვენი აღმოჩენის თაობაზე მეცნიერული სტატია გავუგზავნეთ საკავშირო მეტად პრესტიჟულ ჟურნალს „Невропатология и психиатрия" პასუხი ერთი თვის შემდეგ მივიღეთ — უარყოფითი.

— „ეს ასე არ არის, იმიტომ, რომ არ შეიძლება ასე იყოს"... ალბათ, ასეთი, არა?

— დაახლოებით. გული არ გავიტეხეთ და სტატია ახლა სხვა, ასევე სოლიდურ და ანგარიშგასაწევ ჟურნალს „Успехи современной биологии" გავუგზავნეთ. პასუხად ისევ გვაცნობეს, რომ საბჭოთა მეცნიერები უარყოფენ თავის ტვინში ჩვენს მიერ აღმოჩენილი უჯრედების არსებობას, და რომ ეს ავტორთა (ე. ი. ჩვენი) დიდი და სავალალო შეცდომაა... მაგრამ ჩვენ ხომ დარწმუნებული ვიყავით ჩვენი გამოკვლევის სისწორეში, ჩვენ ხომ ეს საკუთარი თვალით ვნახეთ და დავაფიქსირეთ კიდეც! ამიტომ ნებართვა ვითხოვეთ და ჩვენი გამოკვლევის მონაცემები გავაგზავნეთ ამერიკის შეერთებული შტატების ნევროლოგიის აკადემიის ოფიციალურ (და მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ) ჟურნალში „ნევროლოჯი".

სხვათა შორის, არც ამ ჟურნალის რედაქციამ დაიჯერა თავდაპირველად ჩვენს მიერ წარმოებული გამოკვლევის სისწორე, ვინაიდან ის ეწინააღმდეგებოდა ბიოლოგიასა და ნეირომეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებულ და უკვე ჭეშმარიტად აღიარებულ დოგმას. მაგრამ შემდეგ თვითონ გაიმეორეს ჩვენივე მეთოდიკით ეს ცდები და როცა დარწმუნდნენ, რომ ჩვენი დასკვნა მართალი და სწორი აღმოჩნდა, მასალა დაბეჭდეს თავიანთ ჟურნალში.

სენსაციური და მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებული აზრის საწინააღმდეგო მონაცემების გამოქვეყნებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს მეცნიერ იმუნოლოგებში და ნევროლოგებში. ჩვენ ყოველდღე ვღებულობდით წერილებს სხვადასხვა ქვეყნების (მათ შორის ამერიკის, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, კანადის, რუსეთისა და სხვა) მეცნიერებისაგან. 176 წერილი მივიღეთ თხოვნით, გაგვეზიარებინა მათთვის ჩვენი გამოცდილება და გამოკვლევის მეთოდი, რასაც შეძლებისდაგვარად ვაკეთებდით კიდეც.

— ადვილი წარმოსადგენია, როგორ „მადლობას" გეტყოდნენ „ძლიერნი ამა სოფლისა", მაშინდელი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის თავკაცები. როგორც კომშარი, ისე მახსოვს, რა გოლგოთაზე ატარეს პასტერნაკი „დოქტორ ჟივაგოს" საზღვარგარეთ გამოქვეყნებისათვის. ნობელის პრემიაც ხომ შხამად შეარგეს! ყბადაღებულმა „დათბობის პერიოდმაც" ვერ უშველა.

— ალბათ, იმიტომ, რომ ის იდეოლოგიის სფეროს განეკუთვნებოდა... თუმცა, არც ჩვენთვის გადაუსვიათ თავზე ხელი. ჩვენც გვატარეს უშიშროების კომიტეტში. შემდეგ თბილისში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რემ პეტროვი ჩამოვიდა და დიდი საყვედური მითხრა: ამერიკულ ჟურნალში გამოქვეყნებული აღმოჩენა ხომ საბჭოთა მეცნიერებას არაფერში ჩაეთვლებოდა. რომ ვუამბე, როგორ გვითხრა გამოქვეყნებაზე უარი ჩვენი ქვეყნის ორმა ჟურნალმა, არ დაიჯერა, ვიდრე იქიდან გამოგზავნილი პასუხები არ ვუჩვენე. ვფიქრობ, მოსკოვში დაბრუნებულმა დიდი რისხვა დაატეხა იმ რედაქციებს.

მაგრამ ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი (სწორედ ასეთი გახლავთ რემ პეტროვი!) ანგარიშსწორებას არასოდეს მოჰყვება. მან მიირჩია, ნაშრომი სადოქტორო დისერტაციად გამეფორმებინა და შემდეგ ამ დისერტაციის დაცვას თვითონ ესწრებოდა, როგორც ოპონენტი.

* * *

როგორ აფასებენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები აღნიშნულ ნაშრომს? უპირველეს ყოვლისა, რემ პეტროვის რეცენზიის ამონარიდს გაგაცნობთ: „აღნიშნული ნაშრომი არის ახალი აღმოჩენა და ღირსშესანიშნავია ერთის მხრივ იმით, რომ კვლევის მეთოდი წმინდა კლინიკური და მარტივია, რის საშუალებითაც ავტორმა, მსოფლიოში პირველმა, აღმოაჩინა T და B უჯრედები თავზურგტვინის სითხეში".

„ი. მალაშხია პიონერია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კლინიკური ნეიროიმუნოლოგიის განვითარებას მსოფლიო მასშტაბით (ვიქტორ მანკო, იმუნოლოგიის ინსტიტუტის (მოსკოვი) დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში).

მაღალ შეფასებას აძლევს ი. მალაშხიასა და მ. გელაძის აღმოჩენას ჟურნალ „ნევროლოჯის" მაშინდელი მთავარი რედაქტორი რასელ დილონჯი: „ავტორებმა პირველებმა აღმოაჩინეს თავის ტვინში იმუნიტეტის ფუნქციის მატარებელი T და B უჯრედები (ლიმფოციტები) და მიკროგლიის, ასტროციტების იმუნოლოგიური ფუნქცია, რამაც მკვლევარებს საფუძველი მისცა უარეყოთ მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული აზრი და ტვინი ეღიარებინათ, როგორც არა მარტო იმუნიტეტისა და ორგანიზმის სხვა ფუნქციების მარეგულირებელი ორგანო, არამედ როგორც იმუნიტეტის ცენტრალური ორგანოც, რამაც სრულიად შეცვალა დღემდე არსებული წარმოდგენა იმუნიტეტზე.

ასევე მაღალ შეფასებას აძლევენ ი. მალაშხიას და მ. გელაძის აღმოჩენას რუსეთის ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია და ცნობილი მეცნიერები: ლოურენსი (შვეცია), იკიო იამაშინა (იაპონია) და სხვები.

— რა მოჰყვა შემდგომ თქვენი შრომის ასეთ აღიარებას?

— მალე მიმიწვიეს ამერიკის ნევროლოგიის აკადემიის სესიაზე, სადაც ამირჩიეს ნევროლოგიის აკადემიის წევრად და ამის შემდეგ, 6 წლის განმავლობაში ვესწრებოდი აკადემიის სესიას. დღემდე უფასოდ მიგზავნიან თავიანთ ოფიციალურ ჟურნალს — „ნევროლოჯი". ამის შემდეგ მრავალ ქვეყანაში (ავსტრალიაში, ინგლისში, იაპონიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, იტალიაში, საფრანგეთში) მიმიწვიეს სამეცნიერო კონგრესებზე (მათივე გრანტით). იქ ვხვდებოდი მსოფლიოში სახელგანთქმულ მკვლევარებს, ნობელის პრემიის ლაურეატებს, რომლებმაც ტვინი იმუნიტეტის ცენტრალურ ორგანოდ აღიარეს, ჩვენი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატთან მ. გელაძესთან ერთად შესრულებული ნაშრომი „თავზურგტვინის სითხის უჯრედების თვისება განახორციელოს იმუნოლოგიური ზედამხედველობა თავის ტვინში და სუბარაქნოიდალურ სივრცეში", რომელიც აღმოჩენაზე იყო წარდგენილი ჯერ კიდევ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერულ აღმოჩენათა და გამოგონებათა კომიტეტში 1983 წელს, მისი გაუქმების შემდეგ, 1998 წლის მაისში დაამტკიცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ. პროფესორ რევაზ სეფიაშვილთან ერთად შესრულებული ჩვენი ფუნდამენტური გამოკვლევა „ტვინი, როგორც იმუნიტეტის ცენტრალური ორგანო" გამოქვეყნდა „ინტერნაციონალურ ჟურნალში" 1995 წელს.

— ბატონო იური, მოდით, ახლა ყველაზე მთავარ კითხვას ვუპასუხოთ. კერძოდ: რა მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება აქვს თქვენს აღმოჩენას კლინიკური მედიცინის, კერძოდ, ნეირომეცნიერებისა და ნევროლოგიის განვითარებისათვის.

— ჩვენმა აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა კლინიკური მედიცინის ახალი დარგის — კლინიკური ნეიროიმუნოლოგიის ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბებას და განვითარებას. კლინიკური ნეიროიმუნოლოგიის პირველი სახელმძღვანელო „ტვინის იმუნური ბარიერი" 1986 წელს დაისტამბა მოსკოვში.

დადგინდა ნეიროიმუნური და ნეიროქიმიური პროცესების მნიშვნელობა ნერვული სისტემის ისეთ მძიმე დაავადებათა პათოგენეზში, როგორიცაა ეპილეფსია, გაფანტული სკლეროზი, პოლირადიკულონეიროპათიები, ნევრიტები და სხვა. და მოწოდებული იქნა ამ დაავადებათა ეტიოპათოგენეზური მკურნალობის ახალი პრინციპები;

აღმოჩენამ ბიძგი მისცა მთელს მსოფლიოში კლინიკური ნეიროიმუნოლოგიის განვითარებას; დაარსდა ახალი სამედიცინო ჟურნალები: „ნეიროიმუნოლოგია", „ნეიროიმუნომოდულაცია", „ნეიროიმუნოპათოლოგია". დადგინდა ადამიანის ორგანიზმის ორი ადაპტაციური სისტემის (ნერვული და იმუნური) მჭიდრო კავშირის არსებობა მათ მიერ სინთეზირებული დაბალმოლეკულური ცილოვანი ნივთიერებების — ციტოკინების მეშვეობით;

შემუშავდა სეროზული მენინგიტების და ტუბერკულოზური მენინგიტის დიფერენციალური დიაგნოსტიკის მეთოდი (მიღებულია საავტორო მოწმობა-პატენტი);

შემუშავებულია ორგანიზმის აუტოიმუნიტეტის და აუტოალერგიის გამოვლინების მეთოდები ნერვული სისტემის დაავადებათა დროს (მიღებულია საავტორო მოწმობა — პატენტი);

თავზურგტვინის სითხეში აღმოჩენილია დედა უჯრედები, რომლებისგან შემდეგ დიფერენცირდება სხვა იმუნოკომპეტენტური სისტემები და უჯრედები. ეს, მონოკლინური ანტისხეულების OKT-10-ის მეშვეობით გამოავლინა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა რევაზ ლუკავამ.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ადამიანის ტვინი მსოფლიოს მეცნიერებმა აღიარეს როგორც იმუნიტეტის ორგანო. მაგალითად, ჟურნალ ნეიროიმუნოლოგიაში (1998 წ.) და ნეიროიმუნოლოგთა მსოფლიო კონგრესის მასალებში დაბეჭდილია მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერ-იმუნოლოგთა ნაშრომები: მ. პარტის (აშშ), ლ. კუზნერის (ინგლისი) და დ. ეალენბერგის (ავსტრალია) ნაშრომი სათაურით — „ცენტრალური ნერვული სისტემა, როგორც იმუნიტეტის ორგანო", კ. დოროვინის (კანადა) „იმუნური პასუხის რეგულაცია ნერვული სისტემის მიერ" და ა. კროსისა და ს. მილერის (აშშ) „ციტოკინები ტვინში და იმუნური პასუხი";

და ბოლოს: ჩვენი აღმოჩენა და მის შემდგომ გამოქვეყნებული ნაშრომები „ტვინის იმუნური ბარიერი" და „ტვინი, როგორც იმუნიტეტის ორგანო," მეცნიერულ აღმოჩენათა საერთაშორისო ასოციაციამ და თბილისის ექიმთა დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის დიდმა სამეცნიერო საბჭომ ნობელის პრემიის მისაღებად წარადგინეს.

— თქვენს კოლეგებზე რას გვეტყვით?

— დიდი ხანია, თბილისის სამედიცინო აკადემიაში ვმუშაობ ნერვულ სნეულებათა კათედრაზე. აკადემიის რექტორებმა სხვადასხვა დროს სიმონ ხეჩინაშვილმა, ზაზა კახიანმა და პეტრე მოთაძემ, ასევე სამედიცინო აკადემიის ნერვულ სნეულებათა კათედრის თანამშრომლებმა, პროფესორებმა თამარ ღლონტმა, მინა შაც-მშველიძემ და ამჟამად კათედრის გამგემ, პროფესორმა ცოტნე ჩხიკვიშვილმა და სხვებმა დიდი დახმარება და თანადგომა გამიწიეს წარმოდგენილი სამუშაოს შესრულებაში...

— კოლეგების მიმართ თქვენი მადლიერების სიტყვებს ჩვენც სიამოვნებით ვუერთდებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველასთან ერთად, ჩვენც, არამედიკოსები, მთელი ქართველი საზოგადოება მოუთმენლად ველოდებით მომავალი წლის 10 დეკემბერს, როცა სტოკჰოლმში გაიმართება ნობელის პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი. წარმატებას გისურვებთ.

ესაუბრა
ნანული ბარათაშვილი.

გამოიცა

წიგნი ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ

გამოვიდა ბატონ ნოდარ ჭითანავას ახალი წიგნი „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები"-ს (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) II ნაწილი.

1997 წელს გამოცემული წიგნის პირველ ნაწილში, რომელიც მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო, განხილული იყო გარდამავალ პერიოდში საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები, რომლებიც გარდაქმნების საწყის ეტაპზე დაფიქსირდა და მათ მიმართ პოზიციის ჩამოყალიბება ავტორმა აუცილებლად მიიჩნია. კერძოდ, ეს ეხებოდა გარდამავალი პერიოდის თავისებურებებს, გარდაქმნებში ეკონომიკური მეცნიერების როლს და ადგილს, ქვეყნის ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირების თეორიისა და ორგანიზაციის, მაკროეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, საფინანსო პოლიტიკის, ეკონომიკური დაგეგმვის, მიკროეკონომიკური სფეროს და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მწვავე პრობლემებს.

ეს იყო, ფაქტობრივად, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური განვითარების რთულ პროცესებთან ავტორის პირველი მიახლოება და, ბუნებრივია, მისი ამოცანაც საზოგადოებრივი გარდაქმნების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების ზოგადი დახასიათებით, ძირითადად ამოსავალი დებულებებისა და კონცეპტუალური მიდგომების ჩამოყალიბებით, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურ კანონზომიერებათა ავტორისეული შეფასების გადმოცემით შემოიფარგლა.

ამ ახალ წიგნში კი ავტორმა მკითხველთა მოსაზრებების, რეკომენდაციების გათვალისწინებით ფართოდ განიხილა სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების ფუძემდებლური პრინციპები, თავისებურებები, ტენდენციები და დაასაბუთა მათი მეცნიერულად შეფასების აუცილებლობა.

ავტორი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება გლობალური პრობლემაა. მსოფლიოს პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს მრავალწახნაგოვანი თემა სხვადასხვა რაკურსით განიხილებოდა და განიხილება. ჩამოყალიბდა განსხვავებული მიდგომები, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლისა და ადგილის შეფასების ურთიერთსაპირისპირო, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი კრიტერიუმები და ა. შ. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა 90-იან წლებში, რაც, ბუნებრივია, შემთხვევითი არ არის. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკის გლობალიზაციის რთულ პროცესთან.

წიგნში ნაჩვენებია, რომ საქართველოში საზოგადოებრივი გარდაქმნები კვლავაც წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები უფრო გამწვავდა, სამწუხაროდ, მათი რთულ კვანძებად ფორმირების სტიქიური პროცესიც ღრმავდება. ამასთან ეკონომიკის, განათლების, მეცნიერების, კულტურის დეგრადაციის, საზოგადოების კრიმინალიზაციის საშიში ტენდენციები ძლიერდება, ფესვი ღრმად გაიდგა სხვის ხარჯზე ცხოვრების ფსიქოლოგიამ და ა. შ.

ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ასეთ პირობებში საზოგადოებაში, განსაკუთრებით მეცნიერებაში, თანდათანობით გზას იკვლევს აზრი იმის შესახებ, რომ გარდამავალ პერიოდში საბაზრო ეკონომიკის ფორმირება, მისი ეფექტიანი ფუნქციონირების მიღწევა ქრესტომათიული მეთოდებით, ხერხებით და სტერეოტიპებით, როგორც დღეს ამას სახელმწიფო სტრუქტურები ცდილობენ, არ შეიძლება. ავტორის აზრით, საჭიროა ჩამოყალიბდეს არაორდინარული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესაბამისი პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა მოქნილი სისტემა, რომელიც საბაზრო ურთიერთობათა ფუძემდებლური პრინციპების საფუძველზე ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებებსა და მეურნეობრიობის ტრადიციებზე დაყრდნობით, პროცესების ადეკვატური ორგანიზაციულ ურთიერთობათა ჩამოყალიბება-სრულყოფით, ჯანსაღი საზოგადოებრივი პროცესებისადმი მხარდაჭერით, მწვავე სოციალური საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობის გაგებით სასურველ გავლენას მოახდენს საზოგადოებრივი განვითარების ზიგზაგისებურ პროცესზე და ხელს შეუწყობს დაბალანსებული ეკონომიკის შექმნას.



ნოდარ ჭითანავა

გარდამავალი პერიოდის
სოციალურ-ეკონომიკური
პრობლემები

II ნაწილი

როგორც ბატონი **ნოდარ ჭითანავა** სამართლიანად მიუთითებს, ასეთი მიდგომა გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების განსაკუთრებული როლის გაგებიდან გამომდინარეობს. საქმე ის არის, რომ გარდამავალ პერიოდში მხოლოდ საბაზრო ურთიერთობებზე ორიენტაცია (რომ იგი თავისთავად უზრუნველყოფდა ეკონომიკურ ზრდას) საკმარისი პირობა არ აღმოჩნდა ეფექტიანი ეროვნული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის. პრაქტიკამ უკვე მერამდენჯერ დაადასტურა დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება კვლავწარმოებითი პროცესის ორგანული ნაწილია.

სარეცენზიო ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ეფექტიანობა და მის საფუძველზე მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა საბოლოოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოხერხდება მოცემულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შეხამება.

წიგნის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ იგი მკაცრ მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ ლოგიკას ეყრდნობა. მასში სისტემური მიდგომითაა განხილული და შეფასებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი პროცესები, თავისებურებები, ეკონომიკური ტენდენციები.

წიგნი შედგება ოთხი თავისაგან. პირველ თავში — „სოციალური მიმართულების ეკონომიკა და სახელმწიფოს როლის თავისებურებები გარდამავალ პერიოდში" — ვრცლად არის განხილული ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, სოციალური მიმართულების საბაზრო ეკონომიკის არსი და სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, საქართველოში შერეული, სოციალური მიმართულების ეკონომიკის ჩამოყალიბების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ასპექტები.

მეორე თავში — „თანამედროვე პირობებში ეროვნული ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ზოგიერთი თავისებურება" — დასაბუთებულია გარდამავალი პერიოდის ამჟამინდელ ეტაპზე ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა, პრივატიზაციის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საკითხები, მცირე ბიზნესის განვითარებაში სახელმწიფოს როლის განმსაზღვრელი მნიშვნელობა.

მესამე თავში — „გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს სამრეწველო პოლიტიკის თეორიისა და ორგანიზაციის საკითხები" — დასაბუთებულია სახელმწიფოს სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბებების პრინციპები და ძირითადი მიმართულებები, მსხვილი სამეურნეო სტრუქტურების როლი ინტეგრაციულ პროცესებში და მათი ჩამოყალიბების პერსპექტივა საქართველოში.

მეოთხე თავში — „გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბების პრინციპები და ძირითადი მიმართულებები" — განხილული და შეფასებულია აგრარული სამრეწველო კომპლექსის განვითარების დღევანდელი შედეგები, დასაბუთებულია ახლანდელი აგრარული პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობა, ნაჩვენებია რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში პროგრამული მიდგომის განსაკუთრებული მნიშვნელობა და სხვა.

დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოება კმაყოფილებით მიიღებს და ინტერესით გაეცნობა ბატონ ნოდარ ჭითანავას ამ ახალ წიგნს. იგი სჭირდება ყველას, ვინც დაინტერესებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებით, ვისაც სურვილი აქვს გაიგოს ამჟამად ეროვნულ მეურნეობაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამომწვევი მიზეზ-ფაქტორები, ვინც ეძებს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის რეალურ გზებს.

ჩვენი აზრით, მომწიფდა საკითხი იმის შესახებ, რომ გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, როგორც ახალი დისციპლინა (ახალი საგანი) ისწავლებოდეს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე.

ამასთან, ეკონომისტთა საზოგადოება, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც, მეცნიერებიც, პრაქტიკოსებიც აქტიურად უნდა ჩაერთონ გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლაში.

ალექსანდრე კუჭუხიძე,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

თვალსაზრისი

პარლამენტის მიერ შარშან, 20 თებერვალს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, მრავალი ღირსების მიუხედავად, ჯერაც რომ სერიოზული სრულყოფა-გადამუშავება სჭირდება, უკვე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა. ეს „ნაკლულოვნობა" ბუნებრივია — სრულყოფილი კანონი, ფაქტობრივად, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, მით უმეტეს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი — გარდამავალი რეჟიმის ქვეყანაში. არადა, ამ კოდექსის სრულყოფა, არსებულ „ქართულ" რეალიებთან მაქსიმალურად მისადაგება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა, რომლის გადაუწყვეტლობა, ან კიდევ ამ პროცესში დაშვებული ყოველი სერიოზული ხარვეზი (მით უმეტეს — კონცეპტუალური მცდარობა) ამა თუ იმ ხარისხით, უსათუოდ შეიცავს, ერთის მხრივ, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება-თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების „დაზიანების", მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს სამართალდამცავი მექანიზმის „დადამბლავების" (ანემირების) საშიშროებას. ეს უკანასკნელიც, უეჭველია, ბუმერანგის წესით ასევე მოქალაქეებს უბრუნდებათ.

ამ წერილში მოკლედ შევჩერდები გამოძიების და მისი „დამხმარე" — მოკვლევის და ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციების გამიჯვნის ზოგიერთ საკითხზე.

ვიდრე სამართალდამცავი მექანიზმი დადამბლავდება

საგამოძიებო და „დამხმარე" ფუნქციები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს

მოკვლევასთან დაკავშირებული „მცოცავი" ცნებების „დამაგრებისათვის"

„მოკვლევის", „მოკვლევის ორგანოს", „მომკვლევის" ცნებებს აღნიშნულ კოდექსში იმთავითვე უამრავი ბუნდოვნება დაჰყვა, რის თაობაზეც პროექტის გამოქვეყნებიდან მის მიღებამდე მრავლად ითქვა და დაიწერა (მათ შორის ამ წერილის ავტორის მიერაც). პროექტის ამ შენიშვნათა ერთი ნაწილის გათვალისწინებით გადამუშავების შედეგად ამ ინსტიტუტთა მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვნად დაიხვეწა, მაგრამ, სამწუხაროდ, ცალკეული (მათ შორის არსებითი) „ლაქები" მაინც დარჩა. საილუსტრაციოდ მოვიტან რამდენიმე მაგალითს.

კოდექსის 44-ე მუხლში, რომელიც ტერმინთა განმარტებას ეძღვნება, „მოკვლევა" და „მოკვლევის ორგანო" ნახსენები არ არის, ხოლო „მომკვლევი" განმარტებულია როგორც **„პირი, რომელიც თავდაპირველ (გადაუდებელ) საგამოძიებო მოქმედებას აწარმოებს"** (დავიმახსოვროთ ეს დებულება!). „მოკვლევა" კი რატომღაც განმარტებულია სულ სხვაგან — 270-ე მუხლში, რომელსაც ჰქვია „წინასწარი გამოძიების სახეები": „მოკვლევა წინასწარი გამოძიების თავდაპირველი ეტაპია" (ესეც დავიმახსოვროთ). როგორც ვხედავთ, მოკვლევა გამოძიების **ეტაპი** ყოფილა და არა **სახე (ნაირსახეობა)**. ამდენად, სათაური შინაარსს აშკარად „ასცდა". ნორმათა ამგვარ ალოგიკურ-ფრაგმენტულ კონსტრუირებას კი (რაც ამ კოდექსში — და არა მარტო მასში! — არაიშვიათია) ერთი დიდი ნაკლიც აქვს — მეტისმეტად აძნელებს ამგვარ ნორმათა დაძებნა-გამოყენებას, მით უმეტეს, 681-მუხლიან კოდექსში!...

ახლა ზემოთხსენებული დეფინიციები შევადაროთ სპეციალური IX თავის („მოკვლევის ორგანო და მომკვლევი") სულ სამ მუხლში (65-67-ე) მოცემულ ფორმულირებებს.

66-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ავსებს რა 44-ე მუხლის ხარვეზებს, განმარტავს, რომ „მოკვლევის ორგანო არის **სახელმწიფო დაწესებულება ან სახელმწიფო თანამდებობის პირი**, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედება, თუ რაიმე მიზეზით ამ მოქმედების ჩატარება არ შეუძლია გამომძიებელს ან პროკურორს, აგრეთვე, წინასწარი გამოძიების დროს ჩაატაროს **საგამოძიებო თუ საპროცესო (?!) მოქმედება** ან მონაწილეობა მიიღოს მის ჩატარებაში გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნით". პირველი, რაც ყურადღებას იქცევს ამ ნოველაში, არის ის, რომ სიტყვები „საგამოძიებო თუ" ამოსაღებია, რადგან **საგამოძიებო მოქმედება ხომ სწორედ ტიპიური საპროცესო მოქმედებაა,** ხოლო თუ კანონმდებელს უნდა ხაზგასმით გამოჰყოს „საგამოძიებო მოქმედება" სხვა საპროცესო მოქმედებათაგან (რაც არც ერთ სხვა დასახელებულ მუხლში არ გვხვდება და სამართლიანადაც), მაშინ სიტყვა „საპროცესო"-ს წინ უნდა ჩაემატოს „სხვა". მაგრამ აქ უფრო მთავარი ის არის, რომ იქვე, 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილი („მოკვლევის ორგანო — თანამდებობის პირი ან დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს მოკვლევა — 65-ე მუხლში აღნიშნულ ამოცანებს ასრულებს დამოუკიდებლად ან მათს შესრულებას ავალებს მომკვლევს"), ცოტა არ იყოს, გვაბნევს და აი რატომ:

ჯერ ერთი, გაუგებარია, თუ რა საჭიროა ერთ კანონში ერთიდაიგივე ცნების ორჯერ განმარტება. რაც მთავარია, ეს განმარტებები (მრავლობითში იმიტომ ვწერ, რომ ტერმინი „მომკვლევიც" 44-ე და 66-ე მუხლებში ორჯერაა განმარტებული) რატომღაც იდენტური არ არის, მეტიც — ზოგჯერ წინააღმდეგობრივიც გახლავთ. კერძოდ: ა) „მომკვლევის" პირველ განმარტებაში (მუხ. 44) **გამოტოვებულია, რომ იგი არის სწორედ მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირი** (შეადარეთ 66-ე მუხლის მე-2 ნაწილს); ბ) როგორც ვნახეთ, 66-ე მუხლი გვეუბნება, რომ მოკვლევის ერთ-ერთი ორგანო არის სახელმწიფო დაწესებულება, 67-ე მუხლი კი დაწესებულების (სახელმწიფო აქ უკვე არ მოიხსენიება, რაც უხეში შეცდომაა!) ხელმძღვანელი, რაც ერთიდაიგივე სულაც არ არის (ესეც რომ არა, რომელი სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელია, თანამდებობის პირი რომ არ იყოს?!); გ) ამ ნოველებიდან გამოდის, რომ „ორგანო არის... პირი!...

ზოგიერთი შედეგი თეორიული „ვარჯიშისა" თემაზე: „ორგანო არის... პირი"!

მესმის, რომ ამგვარ „ოპერაციას" („მოკვლევის ორგანო არის თანამდებობის პირი") გარკვეული — თეორიული განზოგადების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მიმართული „ხერხი" უდევს საფუძვლად (ამ ხერხის ბაზაზე ამავე კოდექსში „რაიონული (საქალაქო) სასამართლოს" ცნებაში არაიშვიათად იგულისხმება ერთპიროვნული მოსამართლე"), მაგრამ ამგვარი „ლოგიკური ნონსენსი", რომელიც სამართლის თეორიაში შედარებით ადვილად საბუთდება ზოგიერთ სახელმწიფო-სამართლებრივ ინსტიტუტთან მიმართებაში, ამ კოდექსში თეორიულადაც საკმაოდ უსუსურად გამოიყურება და, რაც მთავარია, იგი პრაქტიკაში თვითონ კანონმდებელსაც და მის „მომხმარებელსაც" არანაკლებ უხერხულობას უქმნის.

კანონმდებელი რომ საკმაოდ გაიხლართა ამგვარ უხერხულობათა აბლაბუდაში, ვფიქრობ, საკმაოდ თვალნათლივ ცხადყოფს შემდეგი გარემოებაც:

66-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოთვლის 9 სუბიექტს, რომელთაც აქვთ მოკვლევის წარმოების უფლებამოსილება, აქვე განსაზღვრული თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. მათგან სამი არის **დაწესებულების ხელმძღვანელი** („უფროსის", „მეთაურის" ან „კაპიტნის" სახელწოდებით) დანარჩენი კი — **ორგანოები**. ამ 6 „ორგანოდან" ცენტრალურია შინაგან საქმეთა სამინისტროს **„ორგანოები და ქვედანაყოფები** (ეს უკანასკნელი ტერმინი ამ მუხლში და მთლიანად თავშიც პირველად და უკანასკნელად არის ნახსენები — ი. გ.), რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი მოკვლევის საწარმოებლად" — ისინი იკვლევენ ყველა იმ დანაშაულის საქმეს, რომელიც დანარჩენ 8 სუბიექტთაგან არც ერთის კომპეტენციას არ განეკუთვნება. ამგვარი ხაზგასმის გარეშე სპეციალური „მოკვლევის ორგანოები" ეგულება კოდექსს სახელმწიფო უშიშროების (სამინისტრო რატომღაც ნახსენები არ არის), სასაზღვრო დაცვის და საგადასახადო სამსახურის სისტემებში, ხოლო საბაჟო სამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სტრუქტურებში ცალკე მოკვლევის ორგანო ნახსენები არ არის. რატომ? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ ორ სამსახურში, წინა ორისაგან განსხვავებით, ყველა (მათ შორის რიგით!) მუშაკს მოკვლევის უფლება აქვს?! მაგრამ ეს ხომ, რბილად, რომ ვთქვათ, უსწორო იქნებოდა"...

და მაინც: ვინ მოიკვლევს დანაშაულს?

საკითხი ასე დგას: ზემოთხსენებული ხელმძღვანელი (ოჰ, ეს ყოვლისმცოდნე, ყველგანმყოფი და ყოვლისშემძლე უფროსები!..), თუ პირი, რომელიც სპეციალურადაა გამოყოფილ-მომზადებული იმისათვის, რომ აწარმოოს ერთ-ერთი ურთულესი (საგამოძიებო!) საქმიანობის თავდაპირველი ეტაპი, შემთხვევის ადგილის დათვალიერებიდან, კვლების ამოღება-დამაგრებიდან, ექსპერტიზის დანიშვნიდან და დაკითხვა-დაპირისპირებიდან დაწყებული!... თავის დროზე ვწერდი (პროექტთან დაკავშირებით) და ახლაც ვიმეორებ: სულაც არაა აუცილებელი და არც გამართლებული, რომ ეს ტვირთი პერსონალურად დაწესებულების ხელმძღვანელს „ავკიდოთ" — იმავე საზღვაო ხომალდის კაპიტანს ან სამხედრო ნაწილის უფროსს. ხომ შეიძლება რომელიმე მისი თანაშემწე გამოიყოს (თუნდაც დელეგირების წესით) საამისოდ (იქნებ, სულაც, ვთქვათ იურისტი მუშაობს გემზე!) და შეძლებისდაგვარად მოვამზადოთ კიდეც, რომ გაკეთების ნაცვლად საქმე უნებლიედ არ გააფუჭოს (ეს კოდექსი ხომ კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებებს არარად თვლის!). კანონმდებელმა ეს გარემოება თითქოს გაითვალისწინეს კიდეც — ზემოთ ტექსტუალურად მოყვანილი 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილი თანამდებობის პირს ან დაწესებულების ხელმძღვანელს უფლებას აძლევს მოკვლევის ჩატარება დაავალოს ხელქვეით თანამდებობის პირს „მომკვლევს", მაგრამ არ ჩანს, იგი წინასწარ სპეციალურად გამოყოფილი პირია, თუ „საჭიროებისდამიხედვით" (სპონტანურად) ავალებენ (ე. ი. მისი უფლებამოსილება მუდმივია თუ მხოლოდ კონკრეტული დანაშაულის მოკვლევაზე ვრცელდება). ვისაც „ახლოით მოუხილავს" ჩვენი გამომძიებლების ერთი ნაწილის მონაღვაწები, იქნებ იმან მაინც წარმოიდგინოს (თუნდაც მიახლოებით) თუ როგორი „მარგალიტები" იქნება გაბნეული ჯერ ამგვარ „თანამდებობით მომკვლევთა" ნამუშევარში და მერე სპონტანურად „გამომძიებლებულთაში". და ერთიც, — თუ ზემოხსენებული ცხრავე სუბიექტის მიერ მკვეთრად, გარკვევით არ იქნა გამოყოფილი (მომზადებაზე უკვე არაფერს ვამბობ) ამ სახელმწიფო ორგანოთა შიგნით ზემოთ მითითებული „მოკვლევის ორგანოები და ქვედანაყოფები", გაუპიროვნებულობიდან გამომდინარე გაუგებრობები და განზრახი „ბოროტად გამოყენებები" წაგვლეკავს!... (ამის მაგალითი პრაქტიკაში მრავლადაა!)

მოკვლევა — ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის „გორდიას კვანძი"

65-ე მუხლი, რომელზეც უთითებს ზემოთ მოტანილი 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და, რომელსაც საკმაოდ „უწყინარი" სათაური აქვს — „მოკვლევის ორგანოს ამოცანები", — სინამდვილეში გვარიანი **კონგლომერატია!** — მასში ლაპარაკია არა იმდენად მოკვლევაზე ზემოხსენებული გაგებით, არამედ **„მოკვლევის ორგანოების მიერ დანაშაულის ნიშნებისა და დანაშაულის ჩამდენი პირის დასადგენად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებაზე!.."** ამგვარად, აქამდე რომ გვეგონა — მოკვლევის ორგანო მხოლოდ მოკვლევას (ანუ პირველდაწყებით საგამოძიებო მოქმედებებს) ატარებსო, უცებ აღმოჩნდა, რომ იგივე მომკვლევი პირი (გავიხსენოთ: მოკვლევის ორგანო ხომ თანამდებობის პირი ან დაწესებულების ხელმძღვანელია, რომელიც ან თვითონ აწარმოებს მოკვლევას, ან ამას ავალებს მომკვლევს), ანუ საპროცესო ფიგურა (საპროცესო-ლეგალური საქმიანობისათვის მოწოდებული), თურმე „შეთავსებით" ოპერატიულ-სამძებრო მუშაკიცაა და, ამდენად, არასაპროცესო (პროცესის „მიღმა" დარჩენილ „არალეგალურ") საქმიანობასაც ახორციელებს!... მაგრამ, სხვა რომ არაფერი, რა ვუყოთ ამავე კოდექსის მე-14 მუხლში მოცემულ **ნორმა-პრინციპს, რომელიც მომკვლევს**, ისევე როგორც გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს, **უფლებას აძლევს ჩაატაროს არა ყოველგვარი, არამედ სწორედ ამ კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო (!) მოქმედებანი".** ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა კი, როგორც ცნობილია, საზოგადოდ რეგულირდება ცალკე კანონით (როგორც, მაგალითად, რუსეთში — 1992 წლის 13 მარტის კანონით) ან (და) სხვა ნორმატიული აქტებით (რაც ჩვენში ჯერაც მისაღებია). ამ, რბილად რომ ვთქვათ, შეუსაბამობის (სხვა რომ არაფერი, მთელი ამ „ორმაგი" ტვირთის ზიდვა ვით შეიძლება ხელეწიფებოდეს ერთ პირს — მომკვლევს!...) ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩანს, სწორედ ტერმინობრივი აღრევა-გაუმიჯნაობაა, რაც უნდა აღმოიფხვრას (კონსტატაციის წესით აღვნიშნავ: ეს კოდექსი სხვადასხვა მუხლებში ხან „მომკვლევს" ახსენებს, ხან კი — ანალოგიურ კონტექსტშივე — „მოკვლევის ორგანოს", ზოგჯერ კი — ორივეს, ერთმანეთის გვერდით!.. — იხ. მე-7, მე-8, მე-16, მე-18, 56-ე და სხვა მუხლები).

იური გაბისონია,
საქართველოს გენერალური პროკურატურის სისხლის სამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსი პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

(დასასრული იქნება).

მეათე მუზა

მესიზმრება საქართველო...

საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ქვეყანა, რომელიც ატარებს დამოუკიდებელ პოლიტიკას და ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ ძალიან მალე, ათასი დაბრკოლების მიუხედავად, ძლიერ, მდიდარ და მართლაც რომ თავისთავად ქვეყანად იქცეს.

ეს ფრაზა ძვალივით აქვს გაჩხერილი ყელში ზოგიერთ ჩვენს „სტრატეგიულ მოკავშირე“ სახელმწიფოს და მოსვენებას არ აძლევს, ძილს უკარგავს. თავად დაფხავებულსა თუ გაქუცულს, მათხოვრად ქცეულს, მაინც საქართველოზე უჭირავს თვალი, მაინც საქართველო აბოდებს.

რა ვქნათ, ეს „სტრატეგიული მოკავშირე“ თავისას არ იშლის. ლამისაა ილფისა და პეტროვის პერსონაჟად იქცეს. ხომ გახსოვთ კისა ვორობიანინოვი – რუსული დემოკრატიის მამა და მსოფლიო აზროვნების გიგანტი, უკაცრავული პასუხია და, საჯდომთან შარვალი რომ ჰქონდა გახეული და მაინც არ იშლიდა თავისას. სახელმწიფო ასე დამსგავსებოდეს ლიტერატურულ პერსონაჟს, ჯერ არ მინახავს და არ გამიგია.

და მაინც, ლოჯებს აჩენს სტრატეგიული მოკავშირე. ჯერ აფხაზეთი წაგვგლიჯა, მერმე შიდა ქართლს დაადო ბინძური ტორი; ხოლო ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს ისე დარია ხელი ნოსტალგიამ, რომ სულ დაკარგა ორიენტაციის უნარი (ალბათ აზროვნებისაც!) და ბომბორას თუ ეშერას მისადგომებთან ამერიკელი ჯარისკაცები ელანდება. აფხაზეთი და სამაჩაბლო ამერიკამ წაგვართვაო, გაჰყვირიან იმით გათამამებულნი, რომ ავლიპი ზურაბაშვილი აღარაა ამქვეყნად, მათნაირების დიდი ქომაგი და მკურნალი. ის კი ავიწყდებათ, რომ ბატონმა ავლიპმა დიდი სკოლა დასტოვა... ეს ისე, სხვათაშორის...

ერთი სიტყვით, „სტრატეგიულმა მოკავშირემ“ თითქმის მთელი ჩრდილოეთი კავკასია აგვიმხედრა და საქართველო, ფაქტიურად, მარტოდმარტო დარჩა გადამთიელთა წინაშე. მარცხი აფხაზეთში და სამაჩაბლოში ამანაც განაპირობა.

შეიძლება ამაში ჩვენი, ქართველთა ბრალიც იყოს, რომლებმაც ხონჩით მორთმეული დამოუკიდებლობის პირველ წლებში ეროვნული დროშების ფრიალის მეტი ვერაფერი ვისწავლეთ. არადა, რამდენი რამის გაკეთება შეიძლებოდა, რამდენი საძმო ხიდის გადება ჩვენს გუშინდელ და პოტენციურ მეგობრებთან, იმავე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან, რომლებიც ისევე ესწრაფვიან თავისუფლებას, როგორც ჩვენ...'

მესიზმრება საქართველო...

საქართველომ შემაძლებინა ჩემი სამშობლოს შეცნობა...

საქართველოზე ჯერ კიდევ მის ნახვამდე ვიყავი შეყვარებული...

ეს სიტყვები რასულ გამზათოვს ეკუთვნის, დიდ დაღესტნელ პოეტსა და მოქალაქეს, კაცს, რომელიც გულით ატარებს საქართველოს სიყვარულს.

საოცრად გულწრფელ და ალალ სიტყვებს იგი იმ დოკუმენტურ ფილმში წარმოთქვამს, რომელიც მე, ჩემი მეგობრის მიხეილ მჭედლიძის სამუშაო ოთახში ვნახე საქართველოს ტელევიზიაში.

ფილმი საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. იგი ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმის „საქართველო და დაღესტანი – მიზიდულობის ფორმულა“ პირველი ნაწილია და ჰქვია „გამზათოვი და საქართველო“.

ამ ფილმს მე სიყვარულის ახსნას დავარქმევდი, მართლაც რა მოწიწებით, რა სიყვარულით ახსენებს ბატონი რასული საქართველოს, რა როლს აკუთვნებს მისი, როგორც პოეტად ფორმირების საქმეში.

ჩვენს თვალწინ გაიელვებს უნიკალური კადრები შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის თუ თავად რასულ გამზათოვის იუბილეებისა.

, რასულ გამზათოვი ამ დოკუმენტური ფილმით ჩვენს წინაშე კიდევ ერთხელ წარმოსდგა როგორც ქართველი ხალხის, ქართველ პოეტთა ერთგული და ნაცადი მეგობარი. შესცქერი ტელეეკრანს და რწმუნდები, თუ როგორ ელერება თვალებში ერთდროულად სევდაცა და სიხარულიც მისი მეგობრების ირაკლი აბაშიძის, რევაზ მარგიანის, იოსებ ნონეშვილის, კარლო კალაძის, სერგი ჭილაიას ხსენებისას. არც იუმორის გრძნობა აკლია: ირაკლი აბაშიძე ქართული პოეზიის ყველაზე მაღალი მწვერვალი იყოო, კარლო კალაძე კი – ყველაზე ფართოო. კარლოს გვარი გამოვუცვალეთ და მახაჭკალაძე ვუწოდეთო. ფილმში მონაწილეობენ ქართული მწერლობისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, რომლებსაც ძმობა და მეგობრობა აკავშირებთ რასულ გამზათოვთან: ჯანსუღ ჩარკვიანი, გიგა ლორთქიფანიძე, ეთერ გუგუშვილი, გიორგი ციციშვილი, ნანა ღვინეფაძე, რეზო ჩხეიძე, სანდრო ნონეშვილი. ეკრანზე ვიხილე აწ გარდაცვლილი ბატონები ოთარ ჭელიძე და გურამ ფანჯიკიძე...

ერთი სიტყვით, ეს არის ფილმი ჭეშმარიტ ძმობასა და მეგობრობაზე, ფილმი იმ ფესვებზე, რომლებითაც დაღესტანი და საქართველო არიან გადაჯაჭვულნი ერთმანეთთან.

აი, საქართველოს პოტენციური და მართლაც რომ ჭეშმარიტად სამომავლო სტრატეგიული მოკავშირე (ახლა ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე) ოღონდ ყველაფერ ამას სულის ბერვა, მოფერება და ყოველდღიური მკლავდაკაპიწებული შრომა სჭირდება.

აი ეს ფილმი სწორედ ასეთი მუშაობის ნაყოფი გახლავთ. მადლობის მეტი რა გვეთქმის მისი ავტორების მიმართ, რომელთა ბედი საოცრად ჰგავს მათი ქვეყნების ბედს. ავტორები კი ცოლქმარნი არიან – დაღესტნელი ალი ისაევ-ავარსკი, საქართველოს დამსახურებული არტისტი და მისი აწ გარდაცვლილი მეუღლე – მზია იაშვილი – თბილისის კონსერვატორიის დოცენტი. მათ გვერდით ფილმზე მათი ვაჟიშვილი ბექა ისაევ-ავარსკიც მუშაობდა, როგორც რეჟისორი.

ამ ოჯახურმა ტრიომ საყოველთაო გაჭირვებისა და ქაოსის პირობებში შეუძლებელი შესძლო და თითქმის შიშველი ენთუზიაზმის წყალობით შექმნა უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი ფილმი იმაზე, თუ როგორ უნდა ეპყრობოდნენ ისტორიული მეზობლები ერთმანეთს, როგორ უნდა უფრთხილდებოდნენ ერთმანეთს. ფილმი მართლაც დიდი რუდუნებითა და წვალებით შეიქმნა და შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი მზია სწორედ ამ ფილმის შექმნას შეეწირა, სწორედ მისი ლამაზი სიცოცხლე დასჭირდა იმ ფაქტის დოკუმენტურად დადასტურებას, რომ ქართველი და დაღესტნელი ხალხების ისტორიულ ძმობასა და მეგობრობას ალტერნატივა არ გააჩნია და ვერავინ ვერ ხელყოფს მას.

ზემოთ მოგახსენეთ, ფილმი დილოგიის პირველი ნაწილია და მეორე ფილმი გადაღებას ელოდება-მეთქი. სამწუხაროდ, ქალბატონ მზიას გარეშე დარჩენილ გადამღებ ჯგუფს ერთი თეთრიც კი არ გააჩნია ამ დიდი საქმის გასასრულებლად.

აი, ახლა გვჭირდება სახელმწიფოებრივი გონიერების და შორსმხედველობის გამოჩენა. იქნებ ბატონმა მამუკა არეშიძემ მოიცალოს ამ ეროვნული მნიშვნელობის საქმისათვის და მისთვის ჩვეული ენერგიით იზრუნოს ფილმისათვის სპონსორების მოვნაზე. ისე კი, ბატონო ბიზნესმენებო, გახსოვდეთ, რომ ამ ფილმში ჩადებული თითოეული ლარი ასმაგად დაგიბრუნდებათ, რადგანაც სიქველე, მით უმეტეს მშობელი ქვეყნისათვის გაწეული, ქვაზე დადებული სიკეთეა, წინ რომ დაგხვდებათ.

მხოლოდ ასე თუ მივაღწევთ სასურველ მიზანს.

საქართველო მესიზმრებაო, ბრძანა რასულ გამზათოვმა.

საქართველო მესიზმრებაო, უნდა ბრძანოს ჩვენმა ყველა ჩრდილოელმა მეზობელმა.

ამაში ჩვენც უნდა შევიტანოთ წვლილი.

ზაალ ბოტკოველი.

სურათზე: მარცხნიდან: არჩილ ჩხარტიშვილი, ირაკლი აბაშიძე, რასულ გამზათოვი, მზია იაშვილი, არჩილ კერესელიძე, ალი ისაევ-ავარსკი, რევაზ მარგიანი, ოთარ თაქთაქიშვილი. თბილისი, 1972 წელი.

წინასწარმეტყველებენ



ამ ზაფხულს დედამიწაზე რაღაც საშინელება მოხდება, მაგრამ რა?

ნაირ-ნაირმა გულთმისნებმა და ასტროლოგებმა, მათ შორის, ნოსტრადამუსმა, იწინასწარმეტყველეს: ამა წლის 18 ივლისიდან 12 აგვისტომდე მოხდება საშინელი კატასტროფა — შეიძლება, დედამიწას ასტეროიდიც კი დაეცეს. და ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, მოგვეცემა შესაძლებლობა, დავადგინოთ: ვინ არიან ეს ასტროლოგები— შარლატანები თუ ნათელმხილველები?

ჩვენ უკვე რამდენიმე ასეულჯერ გაგვიღიმა ბედმა

აპოკალიფსის წინასწარმეტყველებათა დასაწყისს უკავშირებენ ძველთაძველ წიგნს „აპოკალიფსისს“ და სამ კაცს: საფრანგეთის ევანგელიზატორს წმ. ცეზარიუსს (470-542 წწ), ჯადოქარ მერლინს (VI-VII საუკუნეები) და გულთმისანს დ’ორვალს (XVI საუკუნე). ყველამ XX საუკუნის დამლევს იწინასწარმეტყველა სამყაროს დაღუპვა.

დავიჯეროთ, თუ არ დავიჯეროთ? ყოველ შემთხვევაში, თანამედროვეობის გულთმისანთა უმრავლესობას მაინცდამაინც არ აფიქრებს თავისი ავბედითი პროგნოზების ეფექტიანობა.

1995 წლის 21 ნოემბერს ჩვენს პლანეტაზე უნდა მომხდარიყო უდიდესი კატასტროფა. იგი იწინასწარმეტყველა მექსიკელმა არქეოლოგ-ასტრონომმა ხესუს ფერალმა, რომელიც ძველი ეგვიპტელების, აცტეკებისა და მაიას მემკვიდრეობას ეყრდნობოდა. გადავრჩით...

იგივე მაიას კალენდრის თანახმად, ქვეყნიერების აღსასრული უნდა დადგეს 2012 წლის 21 დეკემბერს, რაც გვაუწყა მეორე ნათელმხილველმა დიმიტრი დაბუნსკიმ.

1997 წელს ჩერნობილისაზე გაცილებით უარესი ატომური კატასტროფა „გამოითვალა“ ფიზიკოსმა, ერთ-ერთი კოსმოსური საწარმოს წამყვანმა ინჟინერმა იური ფეტიანოვმა. აქაც გადავრჩით.

„სოლიდარულ მიწისძვრათა“ შედეგად ცივილიზაციის დაღუპვა განჭვრიტა 1998 წელს აკადემიკოსმა გიორგი მოროზოვმა. მაგრამ ამავე წელს, „ცოცხალი საქრისტიანოს“ მოძრაობის წარმომადგენელთა გაანგარიშებით, დედამიწა უნდა შეხრუკულიყო 1995 წელს აფეთქებული ალფა ცენტავრას ვარსკვლავის მომაკვდინებელ სხივთა ნაკადში: აქაც დაგვინდო ბედმა...

ყველაზე მოკრძალებული გაანგარიშებით, კაცობრიობის დამწერლობითი ისტორიის ათასობით წლის მანძილზე რამდენიმე ასეულჯერ იწინასწარმეტყველეს ქვეყნიერების აღსასრული. ჯერჯერობით გადავრჩით! მაგრამ 1999-ის აპოკალიფსური ზაფხული ყველა გულთმისანმა ერთსულოვნად „მოგვისაჯა“.

კიდევ ცოტაც და...

ჩილელმა ასტრონომმა კარლოს მუნიენ ფერარომ აღმოაჩინა პლანეტა „ბერნარ-1“, რომელიც დედამიწას უახლოვდება ყოველ 7 ათას წელიწადში ერთხელ. ახალი სახიფათო დაახლოება, მისი მტკიცებით, 1999 წელს უნდა მომხდარიყო. ასეთი დასკვნა გამოიტანა ცნობილმა ფანტასტმა მწერალმა ალექსანდრე კაზანცევმა, რომელმაც ნოსტრადამუსის შრომები თარგმნა: ვეებერთელა ასტეროიდი შეიძლება დაეჯახოს დედამიწას დონბასის რაიონში.

მაგრამ ყველაზე გრანდიოზულ მოვლენას, რომელსაც უკავშირდება მთელი აპოკალიფსური განწყობილება, მოელიან 11 აგვისტოს: ცაში 16.10-ზე გაჩნდება „ჯვარი“ – მზე და მთვარე გამწკრივდებიან ურანის პირდაპირ, ხოლო მათ პერპენდიკულარულად დაუდგებიან მარსი და სატურნი. და სწორედ ამ მომენტში ევროპაში ზღართანი უნდა მოადინოს ან „მირ“ სადგურმა, ანდა სიდნეის მიდამოებში ჩამოვარდეს რაღაც ჯერ აღმოუჩენელი კომეტა ან ასტეროიდი, რომლის დიამეტრი 200 კილომეტრს შეადგენს.

იელის უნივერსიტეტის ასტრონომებმა კიდევ უფრო ღრმად შეტოპეს. მათი ვერსიით, ჩვენს მნათობზე შეიძლება მოხდეს ზეაფეთქება, რის შედეგადაც მზის სიკაშკაშე საათში ათასი პროცენტით გაძლიერდება და მზისმიერი ქარი გადაიქცევა ნამდვილ რადიაქტიულ გრიგალად, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს აღგვის.

ფილოსოფიის დოქტორები მარკ პარინი, სარა ოინეტი, დიანა სტანტი, დონალდ ბაიერსი და ჯონ ტრეილერი დარწმუნებული არიან: ქვეყნიერების აღსასრული დადგება 1999 წლის 31 დეკემბერს! ეს თარიღი დაასახელა მსოფლიოს სამასზე მეტმა „წინასწარმეტყველმა“.

1998 წლის ბოლოს ინტერნეტში გაჩნდა გვერდი „აპოკალიფსისი“, რომელშიც ანონიმი ავტორი იუწყება, რომ 1999 წლის 11 აგვისტოს დილის 9.30-ზე, მზის დაბნელების დროს, მთლიანად განადგურდება ბაღდადი და ნიუ-იორკი ორმხრივი ბირთვული დარტყმებით.

რაოდენ უცნაურიც უნდა გვეჩვენოს, ამ თარიღის შესახებ იცოდნენ აშშ-ში 80-იან წლებში გამოსული ნოსტრადამუსისადმი მიძღვნილი ფილმის შემქმნელებმა: ომის ოფიციალური დასაწყისი ნამდვილად არის „დანიშნული“ 1999 წლისათვის, მაგრამ მისი წანამძღვრები 1994 წელს უნდა წარმოშობილიყო რუსეთის სამხრეთში. და მართლაც სწორედ 1994-ის დეკემბერში დაიწყო ჩეჩნეთის ომი.

კატასტროფის თარიღს ადასტურებს მათემატიკოსი და პროგრამისტი ელი რიპსი, რომელმაც 1997 წელს კომპიუტერის მეშვეობით გაშიფრა ძველი ბიბლიის კოდი. ბევრ სხვა წინასწარმეტყველებას შორის იქ არის აგრეთვე გაფრთხილება ორივე მსოფლიო ომისა და ბირთვული ომის შესახებ, რომელიც შეიძლება დაიწყოს 2000 ან 2006 წელს.



ყველაზე გრანდიოზული მოვლენა მოსალოდნელია ამა წლის 11 აგვისტოს: ამ მომენტში დედამიწას უნდა დაენარცხოს „მირ“ სადგური ან 200 კმ დიამეტრის ასტეროიდი.

მერედა რა, რომ 2000 წელია?

ასეა თუ ისე, დედამიწის გადასვლა ახალ რეალობაში გულთმისნებმა 2000 წელს დაგვიგეგმეს. რატომ აიკვიატეს ასე ეს თარიღი? სამი ნულის მაგია ხომ არ არის? მაგრამ სინამდვილეში 2000 წელი საიუბილეოა მხოლოდ იულიანესეული და გრიგოლეული (და არა გრიგორიანული! **რედ.**) კალენდრით, სხვა კალენდრების მიხედვით – იგი სრულიად ჩვეულებრივია: „სამყაროს შექმნის“ თარიღები ორასამდეა. ძველებრაული კალენდრის მიხედვით „იუბილე“ მოდის 5761 წელზე, ჩინელები ამავე წელს შეხვდებიან 4698 წელს. ჰინდის კალენდრით კი ეს იქნება 2080 წელი. რაც შეეხებათ მაჰმადიანებს, ისინი საიუბილეო წელს მხოლოდ 1378 წელს აღნიშნავენ.

სხვათა შორის, 1000 წელს ასევე მოელოდნენ სამყაროს აღსასრულს, წერს ვადიმ ჩერნობროვი **„კომსომოლსკაია პრავდაში“**, მაგრამ გადავრჩით... იმედია, ახლაც გადავრჩებით.

სამაგიეროდ, არის კარგი ახალი ამბავიც — 2013 წელს დედამიწელები კიბოს დაამარცხებენ!

ახალ მეცნიერულ წინასწარმეტყველებებს შორის ყველაზე მეტად არის ცნობილი პროგნოზისტების ტ. გორდონისა და ო. ჰალმერის გამოკითხვა, რომლის დროსაც გაეცნენ 82 ექსპერტის მოსაზრებებს. აი, როგორ შეადგინეს მათ ჩვენი მომავლის ქრონოლოგია:

2000 წელი — ჩვენ ვსწავლობთ ამინდის მართვას;

2007 წელი — ვამარცხებთ შიდსს;

2013 — ვთავისუფლდებით კიბოს დაავადებებისაგან;

2015 — ვქმნით ბაზას მთვარეზე;

2017 — შევძლებთ განვკურნოთ ფსიქიკური დაავადებები;

2022 — გაჩნდება პირველი კიბორგი — კიბერნეტიკული ორგანიზმი, მანქანისა და ადამიანის სიმბიოზი;

2024 — გამოვიგონებთ წამლებს, რომლებიც ზრდიან ინტელექტის დონეს;

2025 — ქიმიური პრეპარატების მეშვეობით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 50 წლით გაიზრდება;

2033 — დაიწყება მაიმუნებისა და დელფინების გამოყენება არაკვალიფიციურ სამუშაოებზე;

2038 — ვისწავლით გრავიტაციის მართვას;

2039 — კავშირის საშუალება გახდება ტელეპათია;

თბილისის
ყოფილ ვაჟთა 42-ე
(ამჟამად 87-ე)
სკოლის

კურსდამთავრებულებს ვიწვევთ სკოლის დირექტორთან ა.წ. 2 მაისს, 12 საათზე, სკოლის დაარსების 50 წლისთავის იუბილის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

საორგანიზაციო ჯგუფი.

სააქციო საზოგადოება „ელიტა“-ს დირექცია გაცნობებთ, რომ 1999 წლის 21 მაისს, 12 საათზე გაიმართება სააქციო საზოგადოება „ელიტა“-ს აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. ს/ს „ელიტა“-ს 1998 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. 1999 წლისათვის აუდიტორის არჩევა;
3. სხვადასხვა;

კრება გაიმართება ქ. გორში, შინდისის გზატკეცილი №25, სააქციო საზოგადოება „ელიტა“-ს ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზი.

დირექცია.

პოლიცია

გასულ კვირაში საქართველოში რეგისტრირებულია 150 სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთაგან 125 (83,4 პროცენტი) უკვე გაიხსნა. წინა კვირასთან შედარებით 5 ერთეულით შემცირდა განზრახ მკვლელობათა რიცხვი, 3 ერთეულით – სხეულის დაზიანება, რაც დამაიმედებელი სიმპტომია.

გაიხსნა წინა წლებში ჩადენილი 4 დანაშაული, მათ შორის 2 მკვლელობა. დაკავებულ იქნა 48 ძებნილი.

გასულ კვირაშიც ინტენსიურად მუშაობდნენ კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლები. მათ გამოავლინეს 34 დანაშაული ეკონომიკის სფეროში, 19-დან 25 აპრილამდე საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად აღმოაჩინეს 10.169 ლარის ღირებულების 6.611 კოლოფი სიგარეტი და 1630 ლარის ღირებულების 407 ბოთლი ალკოჰოლიანი სასმელები აქციზური მარკების გარეშე. აღკვეთეს მექრთამეობის ერთი შემთხვევა და ყალბი ფულის რეალიზაციის ერთი შემთხვევა.

სწორედ ამ უკანასკნელის თაობაზე გესაუბრებით დღევანდელ წერილში.

2 მილიონი ყალბი დოლარი...

პოლიციის ძალისხმევა რომ არა, რას უქადდა იგი საქართველოს ეკონომიკასა და მოსახლეობას?!

თებერვალ-აპრილში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ყალბი 2 მილიონზე მეტი აშშ დოლარი ამოიღეს.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დარტყმას მიაყენებდა ყალბი ვალუტის ეს კოლოსალური მასა ჩვენი ქვეყნის ფინანსურ სისტემას, ეკონომიკასა და მოსახლეობას. 2 მილიონი ყალბი ვალუტა ხომ 4-5 მილიონი ლარია, რომელიც არაფრის მაქნის ქაღალდში უნდა გადახდილიყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბევრი მოქალაქე შეფიქრიანებულია ლარის კურსის რყევით, ამიტომ ყიდულობს დოლარს და ინახავს მას „შავი დღისათვის“. პოლიციის ძალისხმევა რომ არა, ვინ იცის რამდენ ადამიანს გაუთენდებოდა შავი დილა, როცა ხელში მტკიცე ვალუტის ნაცვლად მაკულატურა შერჩებოდა, რამდენ ოჯახს გადაეყრებოდა წყალში მთელი წლის გარჯა, როცა გაყიდული პირუტყვის საფასურს ყალბი დოლარებით გადაუხდიდნენ...

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო მიმოქცევაში ფულის მასის გაზრდა გამოიწვევდა ბაზრის გაძვირებას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

ამგვარ საფრთხეს რეალურს ხდიდა ამოღებული ყალბი ვალუტის დამზადების მაღალი ხარისხიც, თითოეულ კუპიურას ჰქონდა დამოუკიდებელი ნომერი, ე. ი. არ იყო ქსეროქსზე გადაღებული.

15 თებერვალი. შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა თბილისში, ვარკეთილის მეტროსთან მდებარე ავტოგასამართ სადგურთან ყალბი აშშ დოლარების რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს ყალბი ვალუტის გამსაღებელთა ჯგუფი, რომელმაც საქართველოში სარეალიზაციოდ შემოიტანა 500.000 ყალბი აშშ დოლარი, საიდანაც 50000 აშშ დოლარს რეალიზაცია გაუკეთეს 14 ათას ნამდვილ აშშ დოლარად. (სწორედ ამ მომენტში დააკავა ისინი პოლიციამ).

ჯგუფის ორგანიზატორის თამარ ბეკოევას საცხოვრებელი სახლიდან ჩხრეკისას ამოღებული იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული 450.000 ყალბი აშშ დოლარი.

2 მარტი. შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე ყალბი 990 ათასი აშშ დოლარის 450 ათას დოლარად რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს თბილისის მცხოვრებნი ადრე ნასამართლევი ომარ გიორგის ძე სოხაძე და მისი შვილი ომარ ომარის ძე სოხაძე.

21 აპრილი. შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელთა მონაწილეობით, ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოტანილი 490 ათასი ყალბი აშშ დოლარის 250 ათას აშშ დოლარად რეალიზაციის ფაქტზე ქალაქ გორში, კოსტავას ქუჩაზე სასტუმრო „ინტურისტის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მხილებული და დაკავებულნი იქნენ თბილისელები გიორგი გაგნიძე, თამაზ ბერიძე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ქალაქ პროხლადნოეს მცხოვრები ზურაბ გოგოლაძე და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შს სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის სერჟანტი, ცხინვალის მცხოვრები ალსარ კოზაევი. ყალბი 490 ათასი აშშ დოლარი მთლიანად ამოღებულია. ა. კოზაევს ჩამოერთვა პისტოლეტი „მაკაროვი“ ერთი მჭიდითა და 8 ვაზნით.

ყალბი ვალუტის ამოღების პირველი და მეორე ოპერაცია თბილისში განხორციელდა. ამ ოპერაციების შესრულების მაღალ ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კონტრაბანდულად შემოტანილი 1,5 მილიონი ყალბი ვალუტა მთლიანად, უკანასკნელ დოლარამდე იქნა ამოღებული, თანაც მათი რეალიზაციის ფაქტზე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩადენილი დანაშაულის ყველა ასპექტის გამომზეურებისა და სამართლებრივი შეფასებისათვის. და რაც მთავარია, პროფესიონალების გააზრებულად და ოპერატიულად მოქმედების შედეგად დაკავებულ იქნა ყალბი ვალუტის რეალიზატორთა ორივე ჯგუფის ყველა მონაწილე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ ჩრდილოეთიდან ყალბი ვალუტის მოძალება ჩვენი ქვეყნის საფინანსო სისტემის მოშლისა და ეკონომიკის დანგრევისაკენ მიმართულ ტოტალურ დივერსიას წარმოადგენდა (კონტრაბანდულ ბენზინთან, დიზელის საწვავთან და სხვა პროდუქტებთან ერთად). ამიტომ სასწრაფოდ განხორციელდა სათანადო კონტრღონისძიებები, რომელთა დაკონკრეტებისაგან გასაგები მიზეზების გამო თავს ვიკავებთ.

2 მარტს თითქმის მილიონი ყალბი დოლარის ამოღების შემდეგ – შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ინფორმაცია, რომ შემოსატანად მზადდებოდა ყალბი ვალუტის კიდევ ერთი დიდი პარტია.

კორუფციისა და ეკონომიკური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებისთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ორი ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ, ყალბი დოლარების პირველწყარო დიდ სიფრთხილეს იჩენდა, განსაკუთრებით შიშობდა მორიგი პარტიის თბილისში შემოტანას.

„პირველწყარომ“ გამოგზავნის მარშრუტიც შეცვალა. პირველ ორ შემთხვევაში თუ ვლადიკავკაზის გამოვლით შემოიტანეს ყალბი ვალუტა, ამჯერად მას გვერდი აუარეს, ყალბი 490 ათასი დოლარი, ჯერ ყაბარდო-ბალყარეთში გადაიტანეს, იქიდან კი ცხინვალში „გადმოისროლეს“, დანარჩენი ოპერაციები ამ ქალაქიდან ხორციელდებოდა. ბოროტმოქმედთა ჯგუფმა გადაწყვიტა თბილისამდე არ ჩაეტანა ყალბი ვალუტა, გორში მოეხდინა მისი რეალიზაცია. სავარაუდო მყიდველებს საგანგებოდ არჩევდნენ, მერე დღედაღამ უთვალთვალებდნენ, პოლიციასთან ხომ არ არის „შეკრული“, ყოველი შემთხვევისათვის შეიარაღებული დაცვაც აიყვანეს: სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის სერჟანტი ალსარ კოზაევი.

მკითხველს გვინდა ვაუწყოთ, რომ ბოროტმოქმედთა ორგანიზებულ ჯგუფს მთელი ერთი თვის განმავლობაში თავის მხრივ მუდმივად უთვალთვალებდნენ შსს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურები, ხდებოდა მათი ყოველი ნაბიჯის ვიდეო და აუდიო დაფიქსირება. ამას, რა თქმა უნდა, ვერ ამჩნევდნენ. ყალბი ვალუტის შემომტანები, თუმცა ძალიან ფრთხილობდნენ. (მაგალითად, ისინი შეუთანხმდებოდნენ მყიდველებს, რომ ცხინვალიდან გორში 20 აპრილს გადმოიტანდნენ „საქონელს“, მაგრამ მყიდველები ამაოდ ელოდნენ დაპირებულ ყალბ ვალუტას. ამასობაში, ვალუტის გამსაღებლები ჩუმად უთვალთვალებდნენ მათ. რაკი დარწმუნდნენ, რომ მყიდველები სანდო ხალხი იყო და პოლიციაც „აზრზე არ იყო“, მეორე დღეს, 21 აპრილს მშვიდად დაიძრნენ ცხინვალიდან გორისაკენ. რას წარმოიდგენდნენ, რომ წინა დღეს მათ მიერ „უსაფრთხოების მიზნით“ განხორციელებული ოპერაცია, თავიდან ბოლომდე გაშიფრული ჰქონდათ შსს კორუფციისა და ეკონომიკური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშომლებს.

„ვაჭრობა“ გორის ცენტრში სასტუმრო „ინტურისტის“ გვერდით შედგა. მუშტრისათვის გადაცემული 490 ათასი ყალბი აშშ დოლარის საფასურად 250 ათასი ნამდვილი დოლარის მიღებისას. ისინი პოლიციელების ალყაში აღმოჩნდნენ.

ვალერიან გოგოლაშვილი,
შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მრჩეველ-სპეციალისტი.

(დასასრული იქნება).

ვის ემუქრება ვირუსების ეპიდემია?

1999 წლის 26 აპრილი ნამდვილი „მეორე ჩერნობილი" გახდა კომპიუტერთა ბევრი მფლობელისათვის. ამ დღეს „აფეთქდა" სავალალოდ ცნობილი ვირუსის Win95.CIH-ის აპრილის ვერსია.

„კასპერსკის ლაბორატორიის", ანტივირუსული კომპლექსის ცნობილი შემმუშავებლის ჯგუფის მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, კომპიუტერის ბევრმა მოსარგებლემ მაინც განიცადა ვირუსის დამანგრეველი ზემოქმედება. 26 აპრილს პირველ სამუშაო საათებში თავი იჩინა ამ ვირუსის დამახასიათებელმა ფრიად საგანგაშო სიმპტომმა: ბევრი კომპიუტერი უარს ამბობდა ჩატვირთვაზე, ზოგიერთი კი საერთოდ არ ჩაირთო.

შეგახსენებთ, რომ ყოველი თვის 26 რიცხვში Win95.CIH შლის Flash BIOS მიკროსქემების შინაარსს და ანადგურებს ყველა მაგარი დისკის ინფორმაციას. პირველ შემთხვევაში სიტუაცია სწორდება მიკროსქემის გამოცვლით, მეორეში — ვირუსმატარებლის ფორმატირებით. ზოგიერთ შემთხვევაში ვირუსით დაზიანებულ მაგარ დისკოებზე ინფორმაციის აღდგენა მაინც შესაძლებელია, მაგრამ ეს ძვირადღირებული ხანგრძლივი ოპერაციაა.

თუ ამჯერად ვირუსმა გვერდი აუარა თქვენს კომპიუტერს, არ გეგონოთ, რომ გადარჩით. როგორც „კასპერსკის ლაბორატორიის" ექსპერტები აღნიშნავენ, არსებობს სხვა CIH მოდიფიკაციების გაჩენის რეალური საფრთხე, რომელიც ნაირ-ნაირ თარიღებზეა დაპროგრამებული. გარდა ამისა, ვირუსის უამრავი ასლი დღემდე „თვლემს" მეკობრულ დისკეტებსა და კომპაქტ-დისკებზე: ეს ნიშნავს, რომ ყოველი თვის 26 რიცხვი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს კომპიუტერის ყველა მფლობელისათვის.

მოსარგებლეებს, რომლებიც პრინციპულად უგულებელყოფენ ანტივირუსულ დაცვას ან სხვა ანტივირუსებით მუშაობენ, დაბეჯითებით ურჩევენ, სინჯონ და ისარგებლონ Win95.CIH ვირუსალმომჩენი უფასო უტილიტიტით, რომელიც შეუძლიათ იპოვონ მისამართით: http://www.kaspersky.ru/eng/trial/nocih.zip.

სახელმწიფოთა მეთაურების მოლაპარაკება

ახლო აღმოსავლეთის ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი და ორმხრივი ურთიერთობის საკითხები განიხილეს ეგვიპტისა და ისრაელის პრეზიდენტებმა ჰოსნი მუბარაქმა და ეზერ ვეიცმანმა კაიროში გამართულ შეხვედრაზე. სახელმწიფოთა მეთაურები შეეხნენ აგრეთვე 4 მაისს დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს გამოცხადებასთან დაკავშირებულ საკითხს. როგორც ცნობილია, ორივე ქვეყანა მხარს უჭერს უფრო გვიანი ვადით ამ საკითხის გადაწყვეტის გადატანას.

როგორც ცნობილი გახდა, შეხვედრის დროს ვეიცმანმა ეგვიპტის ხელისუფალთ მოუწოდა, გაათავისუფლონ ეგვიპტეში დაპატიმრებული — თელ-ავივის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით 15 წლის პატიმრობამისჯილი ისრაელის მოქალაქე აზამ მუთააბა აზამი, რომელიც 1997 წელს გაასამართლეს.

კაიროში ეზერ ვეიცმანის ვიზიტი გაიმართება 17 მაისს ისრაელში დანიშნული ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ვადამდელი არჩევნების წინ.

ხელმძღვანელობა იცვლება

ბრიტანეთის ბი-ბი-სი რადიოსამაუწყებლო კორპორაციაში მალე მოელიან უმაღლესი ხელმძღვანელობის შეცვლას: გენერალური დირექტორის ჯონ ბერტის ადგილზე, რომლის კონტრაქტის ვადაც გადის აპრილის დამლევს, მოელიან კორპორაცია „სონის" ამერიკის ფილიალის მეთაურის ფოვარდ სტრინგერის მოსვლას.

წარმოშობით უელსელ სტრინგერს მიღებული აქვს ოქსფორდის განათლება და მუდმივად ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი დიდხანს მუშაობდა ამერიკის სი-ბი-ეს ტელესამაუწყებლო კომპანიაში, ხოლო ოთხმოცდაათიან წლებში „სონის" ფირმაში გადავიდა.

საქმეში ჩახედული წყაროების მონაცემებით, თუ სტრინგერი ბი-ბი-სიში დაიწყებს მუშაობას, იგი საკმაოდ ბევრ ფულს დაკარგავს. დიდ ბრიტანეთში მას 380 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტს როდი გადაუხდიან წელიწადში, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი „სონისაგან" იღებს ორ მილიონ დოლარს (1,3 მილიონი გირვანქა სტერლინგს).

ამრ მუსას განცხადება

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრს ამრ მუსას მიზანშეწონილად არ მიაჩნია კოსოვოელ ლტოლვილთა დასახლება ბალკანეთის ფარგლებს გარეთ. „კოსოვოელ ლტოლვილებთან დაკავშირებული სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალია მათი დაბინავება სამშობლოს მახლობლად", — განაცხადა მინისტრმა. სწორედ ეს არის იმის მტკიცე გარანტია, რომ საერთაშორისო გაერთიანება განაგრძობს მშობლიურ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნებისათვის ძალისხმევას.

ამრ მუსამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტე მზად არის, მიიღოს ლტოლვილთა ნაწილი, მაგრამ ამასთან განაცხადა, რომ ლტოლვილთა ჩასახლება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იმის მიზეზი იქნება, რომ „ეს პრობლემა მომავალში კონტროლს ვეღარ დაექვემდებარება".

ამასობაში ეგვიპტის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებამ კოსოვოელი ლტოლვილებისათვის მოამზადა სასწრაფო ჰუმანური დახმარება. უახლოეს ხანს ალბანეთში გაიგზავნება თვითმფრინავი, რომელიც წაიღებს 30 ტონა სურსათს, საბნებსა და ტანსაცმელს. ახლახან ეგვიპტის თვითმფრინავმა ტირანაში ჩაიტანა 40 ტონაზე მეტი პროდუქტები და მედიკამენტები კოსოვოელი ალბანელებისათვის.

ნატო განიხილავს პარტნიორულ ურთიერთობას კავკასიასთან

როგორც აშშ სახელმწიფო მდივნის საგანგებო დავალებათა ელჩმა და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საქმეებში სპეციალურმა მრჩეველმა სტივენ სესტანოვიჩმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ნატოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამიტის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი კოსოვო იყო, ალიანსმა მომავალზეც იზრუნა. „ნატო ამუშავებს მთელ რიგ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება ალიანსის ადაპტაციას, მისი ამოცანების ახლებურ განსაზღვრას, ახალი წევრების მიღებას, აგრეთვე იმას, რომ ნატომ უნდა იკისროს ვალდებულება, გააფართოოს პარტნიორული ურთიერთობა „სამშვიდობო პარტნიორობას" მიმხრობილ ქვეყნებთან, რომელთა რიცხვში შედიან სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები", — განაცხადა მან იუსიას უორლდნეტის სატელევიზიო პროგრამაში გამოსვლისას.

იბომბება მილოშევიჩის შტაბბინები

ნატოს ძალებმა კვლავ დაბომბეს მმართველი სოციალისტური პარტიის ლიდერის სლობოდან მილოშევიჩის შტაბბინა. ადგილობრივი მცხოვრებნი იუწყებიან, რომ დარტყმების სამიზნე იყო 23-სართულიანი სახლის სახურავზე დაყენებული სატელევიზიო გადამცემი. ამავე შენობაში იმყოფება იმ პარტიის შტაბბინა, რომელსაც მილოშევიჩის ცოლი უდგას სათავეში, და იმ ტელეკომპანიის გადამცემები, რომლებიც მილოშევიჩის ქალიშვილს ეკუთვნის. დაზარალებულთა შესახებ არაფერს იუწყებიან. ტანიუგის ცნობით, ნატოს უკანასკნელი დარტყმების დროს დაიღუპა სულ ცოტა 17 ადამიანი.

წითელი ჯვარი კოსოვოში ბრუნდება

იუგოსლავიის ხელისუფლებმა ნება დართეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, განაახლოს კოსოვოში საქმიანობა. როგორც ამ ორგანიზაციის მეთაურმა კორნელიო სომარუგამ განაცხადა, პრეზიდენტმა მილოშევიჩმა მას აღუთქვა, რომ წითელ ჯვარს მშვიდად შეუძლია, ჩავიდეს კოსოვოს ნებისმიერ რაიონში. წითელი ჯვრის ხელმძღვანელმა იუგოსლავიაში მოინახულა, აგრეთვე, სამი ამერიკელი ჯარისკაცი, რომლებიც სერბებმა დაატყვევეს მარტში მაკედონიის საზღვარზე. ბი-ბი-სისადმი ინტერვიუში კორნელიო სომარუგამ თქვა, რომ შეძრწუნებულია სერბებზე განხორციელებული დარტყმების შედეგებით. იგი იყო ქალაქ ნოვი სადში, სადაც ნახევარი მოსახლეობა უწყლოდ დარჩა.

ბერეზოვსკის ბრალდებები წაუყენეს

რუსეთის გენერალურმა პროკურორმა გაველენიან ბიზნესმენს ბორის ბერეზოვსკის წაუყენა ბრალდებები სისხლის სამართლის კოდექსის სამი პუნქტის გამო და ჩამოართვა ფეხმოუცვლელობის ხელწერილი. პროკურორის თქმით, ბერეზოვსკიმ ერთ-ერთი შვეიცარული ფირმა გამოიყენა აეროფლოტის მონაწილეობით მიღებული 250 მილიონი დოლარის გადასარიცხად. ბერეზოვსკი, რომლის დაკითხვამ 4 საათს გასტანა, უარყოფდა ბრალდებებს და აცხადებდა, რომ ისინი ყოვლად უნიადაგოა და მხოლოდ პოლიტიკური სარჩული აქვს.

ასამართლებენ ყოფილ გესტაპოელს

შტუტგარტში სასამართლოს წინაშე წარსდგა გესტაპოს ყოფილი ოფიცერი ალფონს გოტსფრიდი. მას ბრალად ედება 500 ებრაელის დახოცვა პოლონეთის მაიდანეკის საკონცენტრაციო ბანაკში 1943 წელს. ბრალდების თანახმად, გოტსფრიდი, რომელიც ახლა 79 წლის არის, მონაწილეობდა ტუსაღთა დახვრეტაში, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა. მას შემდეგ, რაც მწყობრიდან გამოვიდა გაზის კამერები. მას ბრალად ედება, აგრეთვე, თანამონაწილეობა პოლონეთისა და უკრაინის საკონცენტრაციო ბანაკებში. 17.000 სხვა ადამიანის მკვლელობაში.

დელი: დაითხოვეს პარლამენტი

ინდოეთის პრეზიდენტმა ნარაიანანმა დაითხოვა პარლამენტი და გამოაცხადა ახალი არჩევნების მოწყობა, რომელიც უკვე მესამეა უკანასკნელი 3 წლის მანძილზე. არჩევნების თარიღს მოგვიანებით განსაზღვრავენ, როდესაც საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართება.

ერების თანამეგობრობა იუბილეს აღნიშნავს

ბრიტანეთის ერების თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები მისი შექმნის 50 წლისთავს დღესასწაულობენ. თანამეგობრობა რვა სახელმწიფოს მონაწილეობით შეიქმნა 1949 წელს და მას სათავეში ჩაუდგა ბრიტანეთის დედოფალი. ამის შემდეგ მცირერიცხოვანი ჯგუფი გადაიზარდა ორგანიზაციად, რომელსაც 54 წევრი ჰყავს რამდენიმე კონტინენტზე.

ალბანეთში ავარია განიცადა ამერიკულმა შვეულმფრენმა

აშშ შეიარაღებული ძალების კუთვნილმა „აპაჩი" შვეულმფრენმა ავარია განიცადა ალბანეთის ჩრდილოეთში საწვრთნელი ფრენის დროს. ორი პილოტი მიიყვანეს ტირანის სამხედრო ჰოსპიტალში. როგორც პენტაგონი აცხადებს, მოწინააღმდეგეს შვეულმფრენისათვის ცეცხლი არ დაუშენია.

პალესტინელები დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე ბჭობენ

ღაზაში მიმდინარეობს პალესტინის ავტონომიის ლიდერთა შეხვედრა. მათ უნდა გადაწყვიტონ, გამოაცხადებენ თუ არა 4 მაისს პალესტინის დამოუკიდებელ სახელმწიფოს. სწორედ ამ დღეს გაუდის ვადა ავტონომიის ხუთწლიან პერიოდს, რომელიც ოსლოში ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმებით არის გათვალისწინებული. ისრაელი იმუქრება, რომ ანექსიაჰყოფს იორდანეს დასავლეთი ნაპირის და ღაზის სექტორის ნაწილს იმ შემთხვევაში, თუ პალესტინელები დამოუკიდებლობას გამოაცხადებენ. ავტონომიის მთავარმა საკანონმდებლო ორგანომ — პალესტინის საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას მოუწოდებს, განაგრძოს ძალისხმევა სახელმწიფოებრიობის დასამყარებლად, თუმცა ამასთან არ ასახელებს კონკრეტულ თარიღებს. როგორც ბი-ბი-სის იერუსალიმელი კორესპონდენტები იუწყებიან, პალესტინელი ლიდერები, ალბათ, ყურად იღებენ ზოგიერთი მსოფლიო ლიდერისა და არაბული სამყაროს წარმომადგენლების რჩევებს, გადადონ დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი ისრაელის საყოველთაო არჩევნების საბოლოო დამთავრებამდე, რომელიც მაისში უნდა გაიმართოს.

المقاومة حق مشروع
لشعبنا لدحر الاحتلال

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.

ფეხბურთი

დიდი მატჩის წინ

UEFA
EURO 2000

თემურ ქეცბაია ნორვეგიის ნაკრებთან თბილისში სათამაშოდ, წინა განცხადებების მიუხედავად, მაინც ჩამოვა, — გვაცნობა საქართველოს ეროვნული ნაკრების ექიმმა ანზორ გაბიტაშვილმა. ეს ამბავი თემურ ქეცბაიას ოჯახშიც დაგვიდასტურეს: „თემურის თავის ტრავმა მართლაც მიუღია და იწვა კიდეც. თბილისში კი ჩამოვა, მაგრამ თამაშს შეძლებს თუ არა, ძნელი სათქმელია".

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედის" მოთამაშეს თემურ ქეცბაიას რამდენიმე თვეა, რაც კონფლიქტური სიტუაცია შეექმნა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ვლადიმერ გუცაევთან. ამის გამო ქეცბაია აცხადებდა: „ნაკრებში მანამ არ ვითამაშებ, სანამ მისი მწვრთნელი გუცაევია".

როგორც ჩანს, საქართველოსა და ნორვეგიის ეროვნულ ნაკრებთა 28 აპრილის მატჩის მნიშვნელობამ ქეცბაიას აზრი შეაცვლევინა. მოგების შემთხვევაში, ქართველები ქულებით ეწევიან ნორვეგიას, რომელიც 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ჯგუფში, ლატვიასთან ერთად 7-7 ქულით პირველ-მეორე ადგილს იყოფს.

როგორც ცნობილი გახდა, ქეცბაიას გარდა, ნაკრებს შეუერთდებიან გელა შეყილაძე, კახი კალაძე, არჩილ არველაძე და გიორგი ქინქლაძე. არ ჩამოვა მხოლოდ მოთა არველაძე, რომელსაც ტრავმა აწუხებს.

ორშაბათს 18 საათისთვის კი, საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" დილმის საწვრთნელ ბაზაზე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შემდეგი შემადგენლობით ივარჯიშა: მეკარეები — ნიკა ტოგონიძე, სოსო გრიშიკაშვილი; მცველები— გივი დიდავა, მამუკა წერეთელი, ლევან სილაგაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ ფოფხაძე, ლევან ცქიტიშვილი, ნახევარმცველები — გიორგი ნემსაძე, ლევან კობიაშვილი, გოჩა ჯამარაული, გიორგი კიკნაძე, რატი ალექსიძე; თავდამსხმელები— გიორგი დემეტრაძე, შოთა ჯანაშია, მიხეილ ფოცხვერია.

ნორვეგიის ეროვნული ნაკრები თბილისში ორშაბათს 16 საათზე ჩამოფრინდა. სასტუმრო „მეტეხი-შერატონ-პალასში" დაბინავების შემდეგ ნორვეგიელებმა თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშეს.

ნორვეგიის ნაკრებს არ ჩამოჰყვა სამი წამყვანი მოთამაშე — ინგლისის „ლივერპულისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები: ჰეგემი, იონსენი და ბერგი.

ნორვეგიელები თბილისს შემდეგი შემადგენლობით ესტუმრნენ: მეკარეები — ტომას მირე („ევერტონი"), ფროდე ოლსენი („სტაბეკი"), მცველები — ანდრე ბერგდოლმი („რუსენბორგი") ბიორნ ოტო ბრაგსტადი („რუსენბორგი"), დან ეგენი („სელტა"), გუნარ ჰალე („ლიდს იუნაიტედი") ერიკ ჰოფტუნი („რუსენბორგი), ალფ-ინგე ჰალანდი („ლიდს იუნაიტედი"), ტორე პედერსენი („აინტრახტი"), ნახევარმცველები და თავდამსხმელები — იონ კარე („ვალერენგა") ტორე ანდრე ფლო („ჩელსი"), სტეფან ივერსენი („ტოტენჰემ ჰოტსპური"), ერიკ მიუკლანდი („პანათინაიკოსი"), ვიდარ რისეტი („სელტიკი"), პეტერ რუდი („შეფილდ უენსდეი"), სტალე სოლბაკენი („ოლბორგი"), ოლე გუნარ სოლსკიაერი („მანჩესტერ იუნაიტედი"), როარ სტრანდი („რუსენბორგი").

დავით ბაკურაძე,
„პრაიმ-ნიუსი".

„უნივერსიადა-99"

ფრენბურთელებმა დავა დაამთავრეს

როგორც ვიუწყებოდით, სტარტი აიღო „უნივერსიადა-99"-ის ფინალურმა შეჯიბრებებმა, რომელიც „სტუდენტური დღეები-99"-ის პროგრამით იმართება.

შაბათ-კვირას უმაღლესი სასწავლებლის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდებმა იასპარეზეს. ქალთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, 3. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი.

ვაჟთა გუნდებს შორის პრიზიორები გახდნენ: 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, 2. ბათუმის პედაგოგიური კოლეჯის, 3. აგრარული უნივერსიტეტის გუნდები.

უნდა აღინიშნოს, რომ აგრარული უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრამ უსასყიდლოდ დაუთმო თავისი სპორტული ბაზები ფრენბურთელებს და ყოველნაირად შეუწყო ხელი ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას.

გოჩა გაგნიძე.

ჭადრაკი

ბოლო ტურის წინ

ბათუმში მიმდინარე საქართველოს პირველობაზე 10 წლის გოგონათა და ბიჭებს შორის გუშინ გაიმართა ბოლოსწინა, მერვე ტურის შეხვედრები.

გოგონათა პაექრობა ასე დამთავრდა: თეონა მესხი — ანა ბუცხრიკიძე 1:0, მადონა ბოკუჩავა — თინა არველაძე 1:0, ნინო კორძაძე — ნინო ჩოჩოლაშვილი 1:0.

ბიჭების ორთაბრძოლების შედეგია: გიორგი ჯავახაძე — ვახტანგ ხიზანიშვილი 0:1, ვახტანგ თევდორაშვილი — დავით სიჭინავა — 1:0, სანდრო ცქიტიშვილი — დათო ჯოჯუა 1:0, თორნიკე სანიკიძე — ნიკა ბრეგაძე 1:0.

დასკვნითი, IX ტურის წინ მდგომარეობა ასეთია: გოგონები: მესხი 7 ქულა, ბოკუჩავა, კორძაძე 6,5 — 6,5. ბიჭები: ჯავახაძე, სანიკიძე 7-7 ქულა, ცქიტიშვილი, თევდორაშვილი 6,5 — 6,5.

დღეს გაიმართება დასკვნითი, მე-9 ტური.

ანდრო ბარძაია.

ძველი საჭიდაო

„პეტრეს დარბაზი" — ჩემპიონთა სამჭედლო

თბილისში, რკინიგზის სადგურთან ახლოს, გიორგი ჩუბინაშვილის 38 ნომერ სახლს მთელს მსოფლიოში იცნობენ. ეს „პეტრეს დარბაზია". ოფიციალურად კი — თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს საჭიდაო დარბაზი. აქ აღიზარდნენ პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე, პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი გივი კარტოზია, „ჭიდაობის პროფესორი" ვახტანგ ბალავაძე, ოლიმპიური ჩემპიონები მირიან ცალქალამანიძე, არსენ მეკოკიშვილი, მსოფლიოს ჩემპიონები შოთა ლომიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, გურამ სადარაძე, ვლადიმერ რუბაშვილი, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი რომან რურუა, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ავთანდილ ქორიძე ევროპის ჩემპიონი ომარ ბლიაძე, ოლიმპიური პრიზიორი რომან ძნელაძე, მსოფლიოს პრიზიორი ომარ ეგაძე, სსრკ ჩემპიონი ოთარ კანდელაკი და უამრავი სხვა ფალავანი. დარბაზის გვერდით ფეხბურთის მცირე ზომის მოედანია. აქ, ოდესღაც, დიდი ეკლესია ყოფილა, რაც შეეხება თვით „პეტრეს დარბაზს", ისიც ძველი ეკლესიის შენობა უნდა იყოს, ოღონდ შენობის არქიტექტურა ერთობ უცხოა.

რკინის ლახვეულ კიბეს მოჩუქურთმებულ [illegible]ვარი, თაღოვან საჭიდაოს რომ დასცქერის ზემოდან. სარბიელის ფართობი არც ისე დიდია, სულ 130 კვადრატული მეტრი, ამიტომაც მაყურებელი აივანზე ადის.

კარგა ხნის წინათ ამ აივანზე ყოველდღე მოდიოდა ერთი პატარა ბიჭი და ინტერესით უცქერდა გაოფლილი ფალავნების წვრთნას. ის ბიჭუნა იქვე გოგოლის ქუჩაზე, მამიდასთან ცხოვრობდა. ერთ დღეს მწვრთნელმა ცნობისმოყვარე ყმაწვილი ქვემოთ იხმო. ასე დაიწყო რომან რურუას სპორტული გზა....

1939 წლიდან ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა წვრთნა დაიწყო ფრანგულის მოჭიდავე პეტრე იორდანიშვილმა (1907-1977). მშობლებთან და ოთხ ძმასთან ერთად კალინინის 56 სახლში ვიწროდ ცხოვრობდა, ამიტომ საცხოვრებლად საჭიდაო დარბაზში გადავიდა. საჭიდაო დარბაზსაც ამის გამო „პეტრეს დარბაზი" დაერქვა. პეტრეს ქალიშვილს, ქალბატონ ლარისას, დღესაც კარგად ახსოვს ამ საჭიდაო დარბაზში ცხოვრების პერიოდი.

პეტრე იორდანიშვილი 40 წელი მწვრთნელობდა და მსაჯობდა. 1964 წელს ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებზე სსრკ ნაკრების მწვრთნელი იყო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მისი აღზრდილია პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე დავით ციმაკურიძე (1952 წელი, ჰელსინკი, 79 კგ). პეტრე იორდანიშვილის, ამ დიდებული პიროვნების ნაღვაწი ფასდაუდებელია. მასთან ერთად, ძველ დარბაზში მოღვაწეობდნენ დამსახურებული მწვრთნელები: ლეონიდ ძეკონსკი, ლევ კაპიტონოვი, ნერსეს აკოფოვი, შალვა ნოზაძე, ვასილ ილურიძე. ყველანი პრაქტიკოსები, დიდი ჩემპიონებისა და პრიზიორების აღმზრდელები იყვნენ. იყო კიდევ ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი და მწვრთნელი — ვახტანგ კუხიანიძე, რომლის ამაგი საქართველოში ჭიდაობის განვითარებაში მართლაც დიდია.

1967 წელს თბილისში, ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის გვერდით გაიხსნა მოჭიდავეთა დაოსტატების ახალი კერა — „ფალავანთა კლუბი". პეტრეს დარბაზიდან უმრავლესობა სწორედ ვაკეში წავიდა სავარჯიშოდ. დიდხანს ძველი საჭიდაო კრიზისს განიცდიდა. ნაკლები იყო მოვარჯიშეთა რიცხვი და, აქედან გამომდინარე, შედეგიც. დღეს კი ძველი საჭიდაო კვლავ ახლებურად სუნთქავს. 100-მდე ჭაბუკი და მოზარდი ვარჯიშობს ამ არენაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ამ საქმეს უძღვებიან მწვრთნელები: დავით დავითაია, ალექსანდრე ჭყონია და ლეონიდ კაპიტონოვი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით დავითაია — ამავდროულად „პეტრეს დარბაზის" დირექტორი — ენერგიას არ ზოგავს, ალსაზრდელებსაც მიხედოს და არენასაც. იგი ხომ სხვა მხრივაც გამორჩეულია — მას აქვს არაჩვეულებრივი ბუნებრივი განათება. გვიან საღამომდე მისი თაღოვანი ფანჯრებიდან იმდენი სინათლე იღვრება, რომ ელექტროენერგია დაღამებამდე არც კი სჭირდებათ. ქანგბადის სიუხვით კი გუმბათოვანი შენობა ერთობ ხელსაყრელია მოჭიდავეებისათვის. შენობაში ზამთრობით შედარებით თბილა, ზაფხულში კი გრილა. როგორც მწვრთნელები ამბობენ, აქ ყველა პირობაა ინტენსიური მუშაობისათვის. დარბაზს აქვს კომპლექსური საქვაბე და ორთქლის აბანო საშხაპეებით. დარბაზის დირექტორი და გამოცდილი მწვრთნელი დავით დავითაია დიდად ემადლიერება თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსს ვლადიმერ კანკავას, რომლის დიდი დახმარებითაც მოხერხდა შენობის დაზიანებული სახურავის შეცვლა. შენობის ფასადის და გასამაგრებელი სამუშაოებისათვის. ვფიქრობთ, ძველმა ჩემპიონებმაც უნდა იზრუნონ, რომ არ შეწყდეს ტალანტების ნაკადი ძველი დარბაზიდან. ბოლო ხუთ წელიწადში „პეტრეს დარბაზში" დასტაგდნენ და დღესაც იწრთობიან: ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს პირველობის მესამე და მეორე პრიზიორი ბადრი ხასაია (69 კგ), ჭაბუკთა შორის მსოფლიოს პირველობაში გამარჯვებულები გოჩა მინაძე (83 კგ), გიორგი რურუა (76 კგ), ილია ლეჟავა (95 კგ), საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული გიორგი წურწუმია (მძიმე), ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს პირველობის მეორე პრიზიორი თამაზ გოგელია (მძიმე), მოსკოვის მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების მესამე პრიზიორი პაატა ბიწაძე (52 კგ), საქართველოს ორგზის ჩემპიონი ვაჟა ომანიძე (54 კგ), ოზურგეთელები, ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობის სამგზის პრიზიორი კობა ბალავინოვი (49 კგ) და ორგზის გამარჯვებული ბესარიონ ზურაბიანი (76 კგ).

„პეტრეს დარბაზში" უკვე ყველაფერი მზადაა საქართველოს ჭიდაობის მუზეუმის გასახსნელად, სადაც ახალბედები ფიცს დადებენ, აქვე გამართავენ შეხვედრებს ძველ ჩემპიონებთან.

სხვათა შორის, ძველ დარბაზში ძველი მოჭიდავეების — შოთა და მალხაზ მორჩილაძეების, ნიკო ბაბიაშვილის, გელა დოლუზაშვილის, მალხაზ და თემურ ლეჟავების, კოტე ლულუნიშვილის ვაჟებიც ვარჯიშობენ...

„პეტრეს დარბაზი" რკინიგზის სადგურიდან ორ ნაბიჯზეა და აქ მისვლაც ყველასთვის იოლია. ვინ იცის, რამდენი ოფლი დაღვრილა ამ საჭიდაოზე, ოფლი, რომლის შედეგსაც სპორტული დიდება მოუტანია საქართველოსთვის. ძველი საჭიდაო კერის ღირსება კვლავ რომ ბრწყინავდეს, მას ხელის შევლებაც უცილობლად სჭირდება.

გაბრიელ ბარჯაძე.

სურათზე: „პეტრეს დარბაზის" მოძღვარი პეტრე იორდანიშვილი (მარჯვნივ) წინ: თემურ ხითარიშვილი, ვახტანგ ბალავაძე, ნოდარ ხოხაშვილი. შუაში: გურამ სადარაძე, როსტომ აბაშიძე, დავით გვანცელაძე, რომან რურუა. დგანან: ზარიბეგ ბერიაშვილი, შოთა ლომიძე.

ყოველი მხრიდან

კუერტენი იმარჯვებს

პირველი დიდი, თანაც სენსაციური გამარჯვება ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა ამ ორი წლის წინ „როლან გაროსზე" მოიპოვა. ამ ტრიუმფის შემდეგ მას ასეთი წარმატება აღარ ჰქონდა და აი, მის ქუჩაზე კიდევ დადგა დღესასწაული — მან პირველად გაიმარჯვა „სუპერ ცხრიანის" ტურნირში. მონტე კარლოს ღია ჩემპიონატის ფინალში მისი მეტოქე იყო ჩილელი მარსელო რიოსი. მატჩის 53-ე წუთზე ორი კვირის წინ მიღებულ ბარძაყის ტრავმის შეხსენების გამო ჩილელმა თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა.

უჩვეულო ფინიში

ავტორბოლა დამთავრდა, მაგრამ ტრიბუნებზე შეკრებილ 120 ათას მაყურებელს დიდხანს მოუხდა ცდა, რათა გაერკვიათ, ვინ გაიმარჯვა ტადატეგაში ამერიკული რბოლის სერიის NASCAR მორიგ ეტაპზე. მსაჯებმა, იმისათვის, რომ დაედგინათ ოვალურ ტრასაზე ვინ იყო პირველი, ტერი ლაბონტი თუ ჯო ნემეჩეკი, ფოტოფინიში გამოიყენეს. ელექტრონიკამ გამარჯვებულად ლაბონტი დაასახელა, რომელმაც მოწინააღმდეგეს მხოლოდ 0,002 წამით გაუსწრო. ამ რბოლის ისტორიაში ასეთი მჭიდრო ფინიში არასდროს ყოფილა. „დიახ, ამგვარი წაგება დიდად არასასიამოვნოა, — განაცხადა ნემეჩეკმა, — და მაინც ვამაყობ იმით, რომ ასეთი ფინიშის მონაწილე ვიყავი!"

საბონისი საუკეთესოა

ამერიკის ეროვნული კალათბურთის ასოციაციამ ინტერნეტში თავისი ოფიციალური საიტის მეშვეობით მოაწყო გულშემატკივართა გამოკითხვა, რათა გამოევლინებინა 90-იანი წლების საუკეთესო უცხოელი მოთამაშე. გამოკითხვაში მონაწილეობდა 3960 კაცი. გამარჯვებულად ცნეს ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი, რომელიც ახლა „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" ცენტრალური მოთამაშეა. მას ხმა მისცა გამოკითხულთა 27.1 პროცენტმა. მეორე ადგილზეა ხორვატი დრეჟენ პეტროვიჩი — 17.7 პროცენტი, მესამე კი მისი თანამემამულე, ამერიკული ასოციაციის სამგზის ჩემპიონი „ჩიკაგო ბულზის" შემადგენლობაში, ტონი კუკოჩი — 13,8 პროცენტი. სხვათა შორის, მეშვიდე ადგილზე გამოვიდა ბრაზილიელი ოსკარ შმიტდი, — რომელსაც არასოდეს უთამაშია... ეროვნულ ასოციაციაში (?!).

უძღვება
ანზორ ბასილაია.

„საქართველო ევროპაში დაბრუნდა არა მარტო და არა იმდენად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მრავალათასწლოვანი ისტორიით, არამედ მომავალზე ორიენტირებული აწმყოთი — უმძიმეს პირობებში, დროის მცირე მონაკვეთში ჩამოყალიბებული სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მყარი საფუძვლებით“.

1999 წლის 27 აპრილს სტრასბურგში, ევროპის სასახლის წინა მოედანზე აღიმართა საქართველოს სახელმწიფო დროშა.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

რუსთავცემენტი
Rustavcement
შეიძინეთ მხოლოდ ამ ნიშნით!

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №110 (3151) ოთხშაბათი, 28 აპრილი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

კანონმდებლები

„ჩვენ მოვიპოვეთ ევროპული მგზავრობის ბილეთი, იმის საშუალება, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ დაიწყოს საქართველოს ინტეგრაციის პროცესი სხვა ევროპულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებთან“



27 აპრილს საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას მიეძღვნა. საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოს პარლამენტარები და მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი, საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები შემოქმედებითი კავშირებისა და სამეცნიერო წრეებიდან, მოსწავლე ახალგაზრდობა, ჟურნალისტები, საზეიმო სხდომას უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

ზურაბ ჟვანია, ჩვენი ქვეყნის ევროპის საბჭოში გაწევრიანების თარიღთან დაკავშირებით მოწვეულ სტუმრებს საქართველოს პარლამენტის სახელით გულთბილად მიესალმა და აღნიშნა, რომ დღეიდან, საქართველო, კავკასიის ქვეყნებს შორის პირველი გახდა ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი.

იხ. მე-3 გვ.

მოვლენა

„აღსრულდა ყველა დროის, ყველა თაობის ქართველთა ოცნება — საქართველო დიდი ევროპის ბინადარი გახდა“



ზუსტად სამი თვის წინათ, 27 იანვარს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებას. ასეთი ერთსულოვნება საკმაო იშვიათობაა ამ ორგანიზაციის პრაქტიკაში. ეს საქართველოს პრეზიდენტის, მთლიანად ქართველი ხალხის დამსახურებააო, — ითქვა მაშინ.

და აი, გუშინ, 27 აპრილს სტრასბურგში, ევროპის სასახლეში გაიმართა საზეიმო ცერემონიალი საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა.

საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტის დასრულების შემდეგ, 26 აპრილს ღამით, ჩავიდა სტრასბურგში.

ამაღელვებელი იყო ეს ცერემონიალი თავისი დიდებულებითა და ისტორიულობით.

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის დანიელ ტარშისის სიტყვა:

— რამდენიმე წუთში ამ შენობის წინ აღიმართება საქართველოს დროშა, რომელიც ქართულ ფერებს შეიტანს ევროპის ეროვნულ ფერებში. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ევროპისათვის, მოვლენა, რომელიც ერთი ნაბიჯით გვაახლოებს ევროპის საბჭოს დამაარსებელთა თავდაპირველ იდეასთან — გაეერთიანებინათ მთელი ევროპა დემოკრატიული ერების ერთ ოჯახად. კეთილი იყოს ქართველი მეგობრების შემობრძანება ჩვენს ოჯახში.

ბატონო საქართველოს პრეზიდენტო, თქვენ კარგად გიცნობდნენ ევროპაში მანამ, სანამ საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდით. თქვენ იმ პოლიტიკას ედექით სათავეში, რომელმაც შესაძლებელი გახადა ბერლინის კედლის დანგრევა, ევროპაში ცივი ომის დასრულება და ევროპის გაერთიანება.

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა სტრასბურგში, ევროპის სასახლეში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე

ტელეფოტო.

ქალბატონებო და ბატონებო!

გამოგიტყდებით, მსოფლიოს ტრიბუნებსა და აუდიტორიებს შეჩვეული არცთუ ახალგაზრდა კაცი, მღელვარებას ვერ ვფარავ. აუწერელია იმ სიხარულისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელსაც ახლა განვიცდი. ვლაპარაკობ რა არა მარტო ჩემს თანამედროვეთა და თანამოქალაქეთა სახელით. ასე მგონია, აქ — ევროპის ცენტრში თავს დაგვტრიალებენ ჩვენი დიდი წინაპრების სულები და მე მათი სახელითაც გამოვედივარ თქვენს წინაშე. დღეს აღსრულდა ყველა დროის, ყველა თაობის ქართველთა ოცნება — საქართველო დიდი ევროპის ბინადარი გახდა. მადლობა შენ, უფალო, საუკუნეთა და ათასწლეულთა ოცნება რომ აუხდინე ჩემს ხალხს.

იხ. მე-2 გვ.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ევროპა ის სივრცეა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და უსაფრთხო განვითარება უნდა უზრუნველყოს

სტრასბურგი, 1999 წლის 27 აპრილი. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ლორდი რასელ ჯონსტონი:

ბატონო პრეზიდენტო, სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ორივემ მივიღეთ მონაწილეობა საზეიმო ცერემონიაში, რომელიც ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებას მიეძღვნა. თქვენს გამოსვლაში აღნიშნეთ, თუ როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოს გაწევრიანებისადმი. ის მოვლენები, რომლებიც დღეს ვითარდება საქართველოში, სწორედ ისეთი ადამიანის ძალისხმევით ხდება, როგორიც თქვენ ბრძანდებით. დიდია ჩვენი თქვენდამი პატივისცემა.

მე პირველად მაშინ შეგხვდით, როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრძანდებოდით და მაშინ ჩამოგართვით ხელი. მიხეილ გორბაჩოვთან ერთად თქვენ დემოკრატი ბრძანდებით და ეს დემოკრატობა სწორედ თქვენი სახელმწიფოს წინსვლას მოახმარეთ. თქვენ გადაურჩით სიცოცხლის ხელყოფის მცდელობას, თქვენს სახელმწიფოში არჩეულია პარლამენტი დემოკრატიული გზით. თქვენ ბრძანდებით ძალიან გაბედული კაცი, რომელსაც აქვს მოვლენების წინასწარ განჭვრეტის უნარი.

მინდა სიტყვა გადმოგცეთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

პატივცემულო დეპუტატებო,

ქალბატონებო და ბატონებო,

ნება მიბოძეთ, მადლობის სიტყვებით მოგმართოთ საპარლამენტო ასამბლეის ყველა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელს და ეროვნული დელეგაციების წევრებს ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანების დიდ საქმეში ერთსულოვანი მხარდაჭერისათვის. დიდი მადლობა თქვენ.

ამ მაღალი ტრიბუნიდან მსურს მადლიერებით აღვნიშნო ევროპის საბჭოს ერთგულება დემოკრატიის და ადამიანის უფლებების, პლურალიზმის და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებისადმი, რითაც ორგანიზაციამ, მთელი თავისი 50-წლიანი არსებობით, უდიდესი წვლილი შეიტანა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა განმტკიცებაში.

უპირველეს ყოვლისა, ეს გამოვლინდა „ევროპული საჯარო წესრიგის“, როგორც ერთიანი პოლიტიკური, სამართლებრივი და, მე დავუმატებდი, კულტურული სივრცის ფორმირებაში.

ევროპის საბჭო, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პირმშოა. იგი ჩამოყალიბდა, როგორც ევროპის სულიერი აღორძინების ინსტიტუტი, თუმცა მისი მოქმედების არეალი ცივი ომის გამო მხოლოდ დასავლური დემოკრატიებით შემოიფარგლა. იმ პირობებში საერთო-ევროპული ოჯახის იდეას განხორციელება არ ეწერა, რადგან „რკინის ფარდის“ მიღმა დარჩენილი აღმოსავლეთ ევროპის დიდი ნაწილი, მათ შორის საბჭოთა იმპერიაში შემავალი ხალხები, რამდენიმე ათეული წლით ჩამოსცილდნენ დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებულ დასავლურ ცივილიზაციას.

ასეთი თვალთახედვით, „ცივი ომის“ დასრულება ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, ევროპის ცხოვრებაში მართლაც მეორე უდიდეს მოვლენად აღიქმება. მან კვლავ მოგვცა ევროპის სულიერი სივრცის აღდგენა-განვითარების ისტორიული საშუალება და იგი განახლებული ევროპის საბჭოს ახალ, უმნიშვნელოვანეს ფუნქციად ჩამოაყალიბა.

ევროპამ ახალი სუნთქვა შეიძინა და საერთო ოჯახში თავიანთი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრეს აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში შემავალმა მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა.

დამოუკიდებელი საქართველოც ამ მოვლენების წიაღში იშვა. ჩვენ საკუთარ თავს ევროპის ერთიანი სივრცის ნაწილად განვიხილავდით და განვიხილავთ. ეს ის სივრცეა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და უსაფრთხო განვითარება უნდა უზრუნველყოს.

იხ. მე-2 გვ.

აღმოჩენა

ქართველი მეცნიერი-მედიკოსი იური მალაშხია ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატია

ეს, მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული პრემია, 1901 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად გაიცემა. მისი დამაარსებლის, ალფრედ ნობელის ანდერძით, პრემია ენიჭება რასის, ეროვნების, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად ფიზიკის, ქიმიის, მედიცინისა და ფიზიოლოგიის, მხატვრული ლიტერატურის დარგში მნიშვნელოვანი და უახლესი მიღწევებისათვის.

ოქროს მედალი ალფრედ ნობელის გამოსახულებით მკერდს უმკობდა მეოცე საუკუნის ბუმბერაზ მეცნიერებს: აინშტაინს, ბორს, რეზერფორდს, ფერმის, სკლადოვსკაია-კიურის...

ქართველ მეცნიერთაგან ეს პატივი ჯერჯერობით არავის ხვდომია. და აი, ორიოდე დღის წინათ, ცნობა მოვიდა, რომ ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატად მეცნიერულ აღმოჩენათა საერთაშორისო ასოციაციის (აშშ) მიერ, წარდგენილია იური მალაშხია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის ნევროლოგიის აკადემიის წევრი.

იხ. მე-5 გვ.

გვწერენ

საფუძველი ქვეყნის შენებისა

პატივცემულო რედაქცია!

დიდ ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის და უმორჩილესად გთხოვთ გამოგვიქვეყნოთ ეს მისალოცი ბარათი. ჩვენ არ ვიცოდით, რა მისამართით გაგვეგზავნა იგი, არც იმაში ვიყავით დარწმუნებული, ბარათი ნამდვილად მივიდოდა თუ არა ადრესატამდე. ამიტომ ერთადერთ რეალურ გზად „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით მილოცვა ვარჩიეთ.

პატივისცემით,

ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი რუსლან ძირკვაძე; მიწათმომწყობი ლია ძირკვაძე; ბუღალტერ-ეკონომისტი ეთერ ქათამაძე; ფილოლოგი მერი ძირკვაძე. ხულოს რაიონი.

ძვირფასო პრეზიდენტო!

დიდი მოკრძალებით და წრფელი გულით გვინდა მოგილოცოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ჩაწერილი 17 აპრილის გამარჯვება — სუფსის ტერმინალისა და ფოთის ნავსადგურში საბორნე გადასასვლელის გახსნა. ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე თქვენ აღადგინეთ საქართველოს სატრანზიტო მისია. აღუდგინეთ ჩვენს ქვეყანას ისტორიულად ის დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რაც დიდი აღმაშენებლის, სულმნათ თამარ მეფის დროს ჰქონდა. მოლოცვასთან ერთად მადლობაც გვინდა გადაგიხადოთ ასეთი დიდი ძალისხმევისათვის.

ღმერთმა ქნას თქვენი ღვაწლი ღირსეულად დაფასებულიყოს და ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა გამხდარიყოს ქვაკუთხედი XXI საუკუნის მშენებარე საქართველოსი.

ინტეგრაცია

ევროპული საქართველო — უპირველეს ყოვლისა

საქართველო ოფიციალურად გახდა ევროპის საბჭოს წევრი. ეს ჩემთვის განსაკუთრებული დღეა. რვა წლის წინათ პირველად ვესტუმრე ამ ორგანიზაციას. მაშინ დავდიოდი კაბინეტიდან კაბინეტში. ვესაუბრებოდი ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან ოფიციალურ პირს, ვინც ზოგჯერ უბრალოდ ცნობისმოყვარეობის გამო თანხმდებოდა მოესმინა 23 წლის სტაჟიორი სტუდენტისათვის მათთვის ნაკლებად ცნობილი ქვეყნიდან.

საქართველოს რამდენიმე თვის გამოცხადებული ჰქონდა დამოუკიდებლობა, რომელსაც არავინ ცნობდა, უფრო მეტიც, სწორედ იმ დღეებში ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოზე მიანიშნა როგორც დამოუკიდებლობის არასასურველ მაგალითზე: ევროპის საბჭო ჯერ კიდევ იყო ელიტური დასავლური კლუბი, რომლის წევრობაზე წამყვანი აღმოსავლურ-ევროპული ქვეყნები მხოლოდ ოცნების დონეზე თუ ფიქრობდნენ.

იხ. მე-3 გვ.

ვიზიტი

მთიანი ყარაბაღისა და აფხაზეთის კონფლიქტები აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს

27 აპრილს, ევროპის სასახლის პრესისა და ინფორმაციის ცენტრში გამართულ საქართველოს პრეზიდენტის პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები სხვა მრავალ საკითხთან ერთად განსაკუთრებით დაინტერესდნენ კავკასიის რეგიონში, კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებითაც. კავკასია, როგორც ევროპასა და აზიას შორის საკომუნიკაციო სივრცის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონი, თამამად შეიძლება ითქვას, დღეს უკვე გლობალური ინტერესების ცენტრად მიიჩნევა. ამის დასტურია ვაშინგტონში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში გამართული შეხვედრა, რომელზეც განიხილეს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოწესრიგებისა და რეგიონული თანამშრომლობის საკითხები. ეს იყო სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს პრეზიდენტების შეხვედრა ამერიკის სახელმწიფო მდივანთან მადლენ ოლბრაიტთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ეუთოს მინსკის ჯგუფის წევრი ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის, დანიის, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე, ნორვეგიის — ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი.

როგორც ამერიკის სახელმწიფო მდივანმა თქვა, თავად ის ფაქტი, რომ ეს სახელმწიფოები ერთად განიხილავენ კავკასიის პრობლემებს, უკვე უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო რეგიონის ქვეყნებისათვის, არამედ გლობალური მასშტაბითაც. „ჩვენი სურვილია, რომ კავკასია მშვიდი და სტაბილური რეგიონი იყოს, რადგან იგი ევროპისა და აზიის შემაერთებელი ხიდია და მისი სტაბილურობა ხელს შეუწყობს მშვიდობასა და სტაბილურობას მთელს კონტინენტზე“. ამ თვალსაზრისით მადლენ ოლბრაიტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს მთიანი ყარაბაღისა და აფხაზეთის კონფლიქტები. მისი აზრით, უნდა გაძლიერდეს ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურების ძალისხმევა რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის სახელმწიფო მდივნის აზრით, უფრო ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ ის საერთაშორისო პროექტები, რომლებიც სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემების განვითარებას ითვალისწინებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ამ უაღრესად აქტუალური შეხვედრის ორგანიზებისათვის. ედუარდ შევარდნაძის აზრით, ამგვარი კონტაქტები ხელს უწყობს პოზიციათა დაახლოებასა და ნდობის ატმოსფეროს აღდგენას. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სომხეთი შეუერთდა „მშვიდობიანი კავკასიისათვის“ მოძრაობას.

უფრო ვრცლად ხვალინდელ ნომერში.

უკანასკნელ საათს

პრეზიდენტმა ბორის ელცინმა შინაგან საქმეთა მინისტრი სერგეი სტეპაშინი პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნა მინისტრის პორტფელის შენარჩუნებით. იგი ვადიმ გუსტოვის ადგილს დაიკავებს და რეგიონებთან ურთიერთობის კურირება დაევალება.

საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა გუშინ პირველად შეძლეს შეხვედროდნენ სამ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც იუგოსლავიის ხელისუფლებას ჰყავს დატყვევებული. მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო გუშინ მოსკოვს ეწვია რუსეთთან კავშირის თაობაზე მოლაპარაკებების გასამართავად. ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტ ბორის ელცინთან დღევანდელი შეხვედრისას იუგოსლავიის საკითხსაც განიხილავენ, თუმცა სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტში იუგოსლავიის წინადადება ჯერ არ ფიგურირებს.